პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 10. მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის — 1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში — 1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქონი — 1 მ. 50 კაპ., ტექსტში — 3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად — შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები — 15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 11 მაისი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 108 (2756)

[illegible] ბიბლიოთეკა

დღიური

— ამ დღეებში განახლდება გერმანია საბჭოთა-კავშირის მოლაპარაკება.
— რეფორმისტებმა ჩაშალეს მ ელითონეების გაფიცვა ბუდაპეშტში (უნგრეთი).
— კრიზისი ლანკაშირის (ინგლისი) საფეიქრო მრეწველობაში.
— საბჭოთა კავშირის მიწსახკომმა ამიერ - კავკასიისათვის გამოყო 83 ტრაქტორი.
— საკავშირო სახკომსაბჭომ საქართველოში დაზღვეულთა საექიმო დახმარების ფონდ ის გასაძლიერებლად გადასდო 300.000 მანეთი.

პარტიის მეშვიდე ყრილობისათვის

საქართველოს კომპარტია (ბ) მე-7 ყრილობაზე მიდის მთლიანი, შემჭიდროებული რიგებით და საყურადღებო მიღწევებით სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ძირითადი დაბრკოლებანი, რომელნიც გამომდინარეობენ ჩვენი ქვეყნის ტეხნიკურ-ეკონომიურ ჩამორჩენილობიდან და ნაციონალურ თავისებურებათაგან გასულ წელშიაც ართულებდა ჩვენს მუშაობას, ქმნიდა მთელ რიგ დამატებით სიძნელეებს საბჭოთა კავშირის მოწინავე მხარეებთან შედარებით და მოითხოვდა მუშაობის მეტად დაჭიმულ ტემპს.

მე-6 ყრილობის ძირითადი დირექტივა იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარება, მეტი ყურადღების მიქცევა მძიმე ინდუსტრიის განვითარებისათვის. თუ საბჭოთა კავშირის ხსნას, ამხ. ლენინის თქმით, წარმოადგენს მძიმე ინდუსტრიის განვითარება, ყველაზედ მეტი ეს უნდა ითქვას ამიერ - კავკასიის და კერძოთ საქართველოს შესახებ, სადაც ჩვენ საქმე გვაქვს ქვეყნის კიდევ უფრო მეტ ჩამორჩენილობასთან, მისი ეკონომიკის კიდევ უფრო მეტ გლეხურ ხასიათთან. ამის გამო მე-6 ყრილობა მოითხოვდა, რათა განუხრელად გატარებულიყო პარტიის გენერალური ხაზი და მეტი სიმტკიცით წარმართულიყო ბრძოლა საქართველოს, როგორც აგრარულ - სამრეწველო ქვეყნის სამრეწველო - აგრარულ ქვეყნად გადაქცევისათვის.

პარტიის ამ გენერალური ხაზის გატარების საქმეში გასულ წელს აუცილებლად შეგვიძლია საკმაო მიღწევები აღვნუსხოთ. ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების დაწყება, შირაქის ნავთის მრეწველობა, ქაღალდის უდიდესი კომბინატის მშენებლობა, თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის ამუშავება, მარგანეცის მრეწველობის გაფართოება და ფერო-მარგანეცის ქარხნების მშენებლობა, სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის სამუშაოთა დაწყება, კასპის ცემენტის ქარხნის დამთავრება, რიონჰესის სამუშაოები, მრავალ მცირე ძალიან ელექტრო-სადგურების აგება, ბაქო-ბათუმის ნავთსადენი და მთელი რიგი სხვა წამოწყებანი იმის საუკეთესო დამამტკიცებელია, რომ საქართველო სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ ინდუსტრიალიზაციის გზაზე, რომ მე-6 ყრილობის დირექტივა ცხოვრებაში ტარდება.

არა ნაკლები ყურადღება მიექცა სოფლის მეურნეობას. დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული მე-6 ყრილობის დადგენილების განსახორციელებლად, რომ ფართოდ გავრცელებულიყო შრომის ტევადი კულტურები და გაძლიერებულიყო სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის ადგილობრივ გადამუშავება. ჩაის კულტურის უჩვეულო ზრდა, ჩაის გადამმუშავებელი ფაბრიკების აგება (დასავლეთ საქართველოში), ბამბის, შაქრის ჭარხლის, რამის, კენაფის და სხვა ძვირფას კულტურათა განვითარება, ხე-ტყის გადამმუშავებელ მთელ რიგ ქარხნების აგება და ამ დარგში უდიდეს საწარმოების წამოწყება (ფოთის და ზზიბის კომბინატები), ალაზნის და ტირიფონის უდიდეს სარწყავ არხების დამთავრება, აგრო - ინდუსტრიალური კომბინატის საფუძვლის ჩაყრა დასავლეთ საქართველოში, ხუთასამდე ტრაქტორის და სხვა მრავალ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეტანა სოფლად, კოლმეურნეობათა მშენებლობა — განა ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენ შევსძლებთ საქართველოს ჩამორჩენილ სოფლის მეურნეობის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე გარდაქმნას, ავსწევთ მის შემოსავლიანობას და გავაუმჯობესებთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მდგომარეობას?

ფართოდ გაშლილმა სამრეწველო მშენებლობამ ქალაქად და სოფლად გასულ წელს უდიდესი მუშა-ხელი შთანთქა და კვალიფიციური მუშახელის დიდ სიმცირეს განვიცდით. გარდა ამისა, ფაბრიკა-ქარხნებში ჩაება ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეების (აჭარისტანის და აფხაზეთის) მშრომელი მოსახლეობა, მათ შორის ქალთა დიდი რაოდენობა.

ჩვენი სამეურნეო წინსვლა ხდება ახალ სოციალ - ეკონომიურ საფუძველზე, კაპიტალისტურ ელემენტების შეზღუდვა - შევიწროების (ზოგან მათი სრული ლიკვიდაციის) და სოციალისტური პოზიციების ზრდის საფუძველზე როგორც წარმოების, ისე ბრუნვის სფეროში. მე-6 ყრილობის დირექტივა ბრუნვის შემდგომი განსაზოგადოებისა და სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ გასულ წელს ენერგიულად ტარდებოდა ცხოვრებაში. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ბრუნვის დარგში ჩვენ ყველგან ერთნაირი მიღწევები გვაქვს. უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა მომარაგების მხრივ კოოპერაციის მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მთელ რიგ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს განვიცდით, არაა მოგვარებული საზოგადოებრივი კვება და სხვ. ეს კი აბრკოლებს შრომის ნაყოფიერების აწევას და რეალური სამუშაო ხელფასის ხუთწლიანი გეგმით დასახულ რაოდენობით გაზრდას. საზოგადოებრივი კვების ფრონტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მუშათა მომარაგებაში გადამჭრელი გარდატეხა უნდა მოხდეს, ხოლო ამისთვის საჭიროა სამომხმარებლო და სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესება, მსხვილ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობათა ზრდა.

მე-6 ყრილობის დადგენილების განსახორციელებლად დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული მრეწველობის რაციონალიზაციის, ახალ ტეხნიკურ მიღწევათა გავრცელების, განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის, 7 საათის სამუშაო დღის გატარების, მუშათა საწარმოო აქტივობის ზრდის, სოციალისტური შეჯიბრების, წარმოების რაოდენობით და ხარისხობრივ მაჩვენებელთა ზრდის და პროლეტარიატის ახალი კადრების კლასიური აღზრდის მხრივ. მე-6 ყრილობის მითითებათა საფუძველზე პროფკავშირებმა შესძლეს **ნაწილობრივ** თავისი მუშაობის ძველი ფორმებისა და მეთოდების გარდაქმნა, მეტი დაახლოება, წარმოებასთან, ოლკვეთა მაჩანჩალობის და ტრედ-უნიონიზმისა, მაგრამ პროფკავშირთა მუშაობის შესახებ სოფლად არც ეს შეიძლება ითქვას. პროფკავშირებმა ვერც გასულ წელსაც შესძლეს სოფლად სასოფლო - სამეურნეო მუშებს, მოჯამაგირეებს, სოფლის მასწავლებლებს, აგრონომებს და სხვათა შორის მუშაობის გაცხოველება. ვერ გადაიტანეს ქალაქიდან საწარმოო გამოცდილება, სოცშეჯიბრება და ვერ გაავრცელეს ის ფართოდ პროფკავშირულ მასაში.

გასული წლის განმავლობაში საქართველოს კომპარტია (ბ) სათანადო ყურადღებას აქცევდა იდეოლოგიურ ფრონტს, ბრძოლას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში ნაციონალიზმის, მენშევიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან, — მენშევიზმის, რომელიც საერთაშორისო კაპიტალიზმის აგენტის სამარცხვინო როლს ასრულებს. მენშევიზმის ნამსხვრევებთან ერთად ჩვენი პარტია მედგარ ბრძოლას აწარმოებდა კონტრრევოლიუციონური უკლონიზმის, ტროცკიზმის, მემარჯვენე გადახრის და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტია (ბ) გამოიბრძმედა მენშევიზმთან და უკლონიზმთან ბრძოლაში, მან შესძლო როგორც თავის საკუთარ რიგებში, ისე მის გარეთ ყველა სახის ნაციონალიზმთან შეუპოვარი ბრძოლით ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარება და ამიერ-კავკასიის ფედერაციის, როგორც ამიერ-კავკასიის ხალხთა თანაცხოვრების იარაღის პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცება. საქართველოს კომპარტია (ბ) ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით აგრძელებდა თავის სწორ ნაციონალურ პოლიტიკას, ებრძოდა როგორც ქართულ და რუსულ დიდმპყრობელურ, ისე სხვა სახის (მეგრულ, სომხურ, აფხაზურ, თურქულ და სხვ.) შოვინიზმს და ყოველმხრივ ეხმარებოდა მცირე ეროვნებებს (აჭარლებს, აფხაზებს, ოსებს და სხვ.) მათს კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაში.

მე-7 ყრილობა ჯამს გაუკეთებს მე-6 ყრილობის შემდეგ ჩატარებულ მუშაობას, კრიტიკულად შეაფასებს ამ მიღწევებს და გამოიყენებს დაშვებულ შეცდომებს სოციალისტური მშენებლობის კიდევ უკეთესად წარმართვისათვის.

მოსკოვში ჩამოვიდა ჩინეთის დელეგაცია

ბრძოლა აჯანყებულებსა და მთავრობის ძალებს შორის ინდოეთში

ინგლის-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმებას კმაყოფილებით შეხვდნენ ინგლისის სამრეწველო წრეები

ჩან კაი-შის მოწინააღმდეგე გენერლები ემზადებიან ნანკინის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის

ინდოეთი აჯანყების ალში

შოლაპური აჯანყებულთა ხელშია

ლონდონი, 9 მაისი. **ქალაქი შოლაპური აჯანყებულთა ხელშია.** გასული დღე-ღამის განმავლობაში იქიდან არავითარი ცნობა არ მოსულა. **პოლიციასთან ბრძოლის დროს აჯანყებულებმა განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინეს. მოჰკლეს მრავალი პოლიციელი, დანარჩენი დაჭრილნი არიან დანებით და ტყვიით.** პოლიციელთაგან ქალაქში აღარავინ დარჩა. ევროპიელი ქალები და ბავშვები ბომბეის მახლობლად მდებარე ქალაქ პუნაში გაიხიზნენ. როგორც ლტოლვილნი იუწყებიან, **აჯანყებას ხელმძღვანელობას უწევენ გაფიცული მუშები. ქალაქი სამოქალაქო ომის ასპარეზად გადაიქცა. მსხვერპლთა რაოდენობა ძალიან დიდია. მარტო დახოცილთა რიცხვი 50 კაცს აღემატება. აჯანყებულებმა დასწვეს პოლიციის სამმართველოები, სამიკიტნოები და სასამართლოს შენობა.**

მანავალას რაიონში, ამრიძალის მახლობლად, **აჯანყებულები რკინის გზის რაიონში მოქმედებენ და მატარებლებს ესხმიან. მათ ტელეფონისა და ტელეგრაფის ხაზები გადასჭრეს.** (ადს).

ლონდონი, 9 მაისი. **შოლაპურში ხალხის დიდი მასები შეიჭრნენ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, დაიწყეს მაღაზიების ძარცვა და დასწვეს სასამართლოს შენობა. მოკლულ იქნა 6 პოლიციელი.**

სასწრაფო მატარებლით გაიხიზნა 200 ქალი და ბავში. (ადს).

სოფლები აჯანყების ალშია გახვეული

ლონდონი, 9 მაისი. **ინდოეთის ჩრდილოეთ - დასავლეთის სანაპირო სოფლებში აჯანყება გრძელდება. ინგლისის 40 აეროპლანმა ტურანგზაის ტომის ტერიტორიაზე დემონსტრაცია მოახდინა იმის გამო, რომ ამ ტომმა დახმარება აღმოუჩინა პეშევარის აჯანყებულებს.** (ადს).

დემონსტრაციები ინგლისის წინააღმდეგ

ლონდონი, 9 მაისი. მთელ ინდოეთში დემონსტრაციებია. ლაგორში დემონსტრანტები ნაციონალურ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. ევროპიულ ტანისამოსს ქუჩებში საჯაროდ სწვავენ. დაპატიმრებულ იქნა კონგრესის კომიტეტის მდივანი. კონგრესის რამდენსამე მოღვაწეს საპყრობილეში ჯდომა მიესაჯა.

„ჯამაიტულ ულემა"-ს მოწოდება

ლონდონი, 9 მაისი. ბომბეიში მაჰმადიანთა რელიგიურმა ორგანიზაციამ „ჯამაიტულ ულემა-"მ მოუწოდა მაჰმადიანებს—მიიღონ მონაწილეობა ნაციონალურ ბრძოლაში.

ინგლისელ და ინდოელ მუშებს საერთო მტერი ჰყავთ

ლონდონი, 9 მაისი. რეაქციონური გაზეთი „მორნინგ პოსტ"-ი ეხება კომპარტიის ორგანოს „დეილი უორკერ"-ის მოწინავე წერილს, რომელიც ილაშქრებს ლანკაშირის პოლკის ინდოეთში გაგზავნის წინააღმდეგ. „მორნინგ პოსტ"-ი ამბობს, რომ ეს წერილი „პირდაპირ მოუწოდებს ხალხს აჯანყებისაკენ და საფრთხეს უმზადებს სახელმწიფო ინტერესებს".

დღეს „დეილი უორკერ"-ი სწერს: **„ჩვენ უნდა შევაჩეროთ ინდოეთში ჯარისა და ამუნიციის გაგზავნა და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ინდოეთიდან გამოყვანილ იქნან ბრიტანეთის იმპერიალიზმის შეიარაღებული ძალები. ინგლისელ და ინდოელ მუშებს საერთო მტერი ჰყავთ".** (ადს).

ნანკინის ჯარის დამარცხება

პეიპინი, 9 მაისი. როგორც რეიტერის სააგენტო შანხაიდან იუწყება, **ნანკინის ჯარმა ხენანთან დიდი დამარცხება განიცადა და 7.000 კაცი დაჰკარგა.** პეიპინში ამის შესახებ არაფერი იციან. (ადს).

შეტევა ნანკინის წინააღმდეგ

პეიპინი, 9 მაისი. ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, **საერთო შეტევა ნანკინის წინააღმდეგ დაიწყება მახლობელ კვირის განმავლობაში.** (ადს).

ჩრდილოეთ-ჩინეთის პოლიტიკური ბელადების მიზანი

პეიპინი, 9 მაისი. ჩენ გუნ-ბომ („რეორგანიზაციონისტების" ერთი ბელადთაგანი) გაზეთ „ნორტ ჩაინა სტარ"-ის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ჩრდილოეთ ჩინეთის პოლიტიკური ბელადების მიზანია—ერთი წლის განმავლობაში შექმნან დემოკრატიული მთავრობა, ხოლო მანამდე დაარსონ დროებითი მთავრობა ენ-სი-შანის, ფინ-იუი-სიანის და პარტიის სხვა თვალსაჩინო ბელადების მონაწილეობით.

„კლასთა ბრძოლას ჩვენ ამოცანად არ ვისახავთ, განაცხადა ჩენ გუნ-ბომ,—ჩვენ ვიცავთ როგორც კაპიტალს, ისე შრომას" (ადს).

საფრანგეთ-იტალიის საზღვაო მეტოქეობა

ლონდონი, 9 მაისი. „დეილი ჰერალდი" ეხება იტალიის გადაწყვეტილებას 1930 წელს 42.070 ტონის ტევადობის სამხედრო-საზღვაო გემების აგების შესახებ და აღნიშნავს, რომ **„ჯერ მელანი არც კი შემშრობია საზღვაო ხელშეკრულებას და საფრანგეთ-იტალიის მეტოქეობა ზღვაზე უკვე დაიწყო. ლონდონის ხელშეკრულება ირღვევა, ვინაიდან იტალიის მშენებლობა ეხება არა მარტო საფრანგეთის, არამედ ყველა სახელმწიფოების ინტრესებს".**

ორლოვი, გერმანელი სამხედრო ტყვეების მკვლელი

„ყოფილი გერმანელი სამხედრო ტყვეების კავშირის" განცხადება

ბერლინი, 9 მაისი. გერმანიის „ყოფილ სამხედრო ტყვეთა კავშირმა" პროკურატურას გადასცა განცხადება: კავშირი ყალბი ჩერვონცების დამამზადებელს ორლოვს აბრალებს სამხედრო ტყვეების დახოცვას. 1917 წელს ორლოვის, როგორც მეფის კონტრდაზვერვის უფროსის, დაჟინებული მოთხოვნით, დახვრიტეს სამი გერმანელი სამხედრო ტყვე (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის წინ

ჩინეთის დელეგაცია მოსკოვის კონფერენციაზე

მოსკოვი, 10 მაისი. მოსკოვში ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე სპეციალური მატარებლით მოვიდა ჩინეთის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარე **მოდეგუი; დელეგაციაში შედიან აგრეთვე ლიუ ძეუენ, იშანი, ტუ ვენ-ძენ, ვან ჩუე-ნოი** და სამდივნოს პერსონალი. (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

ბანკეტი ამხ. სოკოლნიკოვის პატივსაცემად ლანკაშირში

„საბჭოთა დამკვეთლები ყველ აზე კეთილსინდისიერად და წესიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს".

ლონდონი, 9 მაისი. მანჩესტერში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. **სოკოლნიკოვის** პატივსაცემად ადგილობრივმა სავაჭრო პალატამ **მოაწყო ბანკეტი**, რომელსაც დაესწრნენ მანჩესტერის საწარმოების და ლანკაშირის მრეწველობის გაერთიანებათა წარმომადგენელნი.

პალატის თავმჯდომარემ ლეიგმა აღნიშნა, რომ **ინგლის-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დადებას მთელი ლანკაშირის სავაჭრო წრეები სრული კმაყოფილებით შეხვდნენ.** საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის პრაქტიკამ დაგვიმტკიცა, რომ **საბჭოთა შემკვეთლები ყველაზე უფრო კეთილსინდისიერად და წესიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.** (ადს).

გერმანია-საბჭ. კავშირის მოლაპარაკება

გერმანიის ელჩი მოსკოვში ბრუნდება მოლაპარაკების გასაგრძელებლად

ბერლინი, 9 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში ფონ-დირკსენი მოსკოვში ბრუნდება დავალებით — **განაგრძოს პოლიტიკური მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან. მოლაპარაკება მახლობელ დღეებში დაიწყება.** (ადს).

რეფორმისტებმა მოახერხეს გაფიცვის ჩაშლა

ვენა, 9 მაისი. რეფორმისტებმა ბუდაპეშტში იმღენი ჰქნეს, რომ შესწყვიტეს „განც დანიბიუს"-ის საწარმოების მელითონეთა გაფიცვა. გაფიცვა, რომელმაც ორ თვეს გასტანა, კაპიტალისტური რაციონალიზაციის გაძლიერების წინააღმდეგ იყო გამოცხადებული. (ადს).

კომპარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან

ბრედფორდის გაფიცული ფეიქრები

შალეულის წარმოების მუშათა საგაფიცვო კომიტეტი კომპარტიის პოზიციაზე დადგა

ლონდონი, 9 მაისი. შალეულის წარმოების მუშათა ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი, ინდოეთის ამბების მიმართ, კომპარტიის პოზიციას შეუერთდა. კომიტეტმა დაადგინა—მიიღოს მონაწილეობა იმ დემონსტრაციაში, რომელსაც კომპარტია მართავს 11 მაისს (ადს).

კრიზისი ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობაში

ლონდონი, 9 მაისი. როგორც მანჩესტერიდან იუწყებიან, ინდოეთის ამბების გამო, **სავაჭრო პალატა მოსალოდნელად სთვლის ლანკაშირის საფეიქრო მრეწველობის სრულ შეჩერებას.** დაზგების ნახევარი უკვე უმოქმედოთ დგას. დახურული ფაბრიკების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს (ადს).

კომპარტიის ხელმძღვანელობით

ბრედფორდი, 9 მაისი. შალეულის მრეწველობის გაფიცულ მუშა-ქალთა კონფერენციამ, რომელსაც 400 დელეგატი დაესწრო, ერთხმად დაადგინა—განაგრძოს გაფიცვა. კონფერენციამ მხარი დაუჭირა იმას, რომ შემდგომში გაფიცვა კომპარტიის ხელმძღვანელობით გაგრძელდეს ა(დს).

შტრეიკბრეხერებიც გაიფიცნენ

ლონდონი, 9 მაისი. ბრედფორდში დოუსენის ქარხნის 400 შტრეიკბრეხერმა ქარხნის ადმინისტრაციას მოსთხოვა ხელფასი 5 პროცენტზე მეტად არ შეამციროს. დირექციამ უარი განაცხადა, რის გამოც **400 შტრეიკბრეხერმა მუშაობა შესწყვიტა.**

შტრეიკბრეხერთა გაფიცვასთან დაკავშირებით, პოლიციამ დააპატიმრა და დააჯარიმა პიკეტების მონაწილე მრავალი მუშა, რომელთაც „პროვოკაციული სიტყვების" წარმოთქმას აბრალებენ (ადს).

ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ

მდგომარეობა სანქ-პელტენში

ვენა, 9 მაისი. სანქტ-პელტენში ატმოსფერა რამდენადმე გაიწმინდა, მაგრამ დაპატიმრებებს მაინც განაგრძობენ. კონფისკაცია უყვეს „როტე ფანე"-ს 8 მაისის ნომერს, რომელიც მოუწოდებდა მუშებს—ებრძოლონ ფაშიზმს და მოაწყონ პოლიტიკური გაფიცვა სანქტ-პელტენში (ადს).

ვენა, 9 მაისი. უკანასკნელი დროის ამბების გამო, ქვემო ავსტრიის მთავრობამ განკარგულება გასცა—არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული გამოსვლები მთავრობის მიერ ნებადართული დემონსტრაციებისა და კრებების წინააღმდეგ, რადგან,—ნათქვამია განკარგულებაში,—კონტრ-გამოსვლები შეტაკების საფრთხეს აჩენენ (ადს).

ფაშისტების თავხედობა

ჰელსინგფორსი, 9 მაისი. ვაზეს სადგურზე **ფაშისტები თავს დაესხნენ სეიმის მემარცხენე დეპუტატს სალოს იმის გამო, რომ მან ფაშისტების წინააღმდეგ აღძრა საჩივარი** ვაზეს სტამბის აკლებისათვის. სალო თავდამსხმელთ ხელიდან გაუსხლტა და ვაზეთან წავიდა. (ადს).

ახალი შეღავათები კოლმეურნეობებს

მოსკოვი, 10 მაისი. მთავრობამ მიანიჭა ახალი შეღავათები იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც აქვთ ხილის ბაღები, ვენახები და თამბაქოს პლანტაციები. მათ მოსავლიანობის გადიდების საქმეში აგრომინიმუმის განხორციელებისათვის დაწესებულია 20 პროცენტის ჩამოკლება გადასახადიდან. თუ ყვითელი თამბაქოს და „მახორკა"-ს მიწის ნაკვეთის არა ნაკლებ სამი მეოთხედი მოითხოვს ნიადაგის გაწმენდას და მელიორაციას, მთელი ნაკვეთი განთავისუფლდება გადასახადისაგან ორი წლის ვადით. თუ ნაკვეთი, რომელიც გაწმენდას ან მელიორაციას მოითხოვს, მთელი პლანტაციის სამ მეოთხედზე ნაკლებს შეადგენს, მაშინ ნაკვეთი, რომელიც მელიორაციას და გაწმენდას მოითხოვს, გადასახადისაგან განთავისუფლდება ორი წლის ვადით, დანარჩენი ფართობი კი დაბეგვრისაგან განთავისუფლდება ერთი წლით. (ადს).

ომის გამჩაღებლების ახალი მანევრი

ფინანსიური დახმარება ომის საფრთხის წინაშე მყოფ სახელმწიფოებს

ბერლინი, 9 მაისი. ერთა ლიგასთან არსებულმა უშიშროების კომიტეტმა დაადგინა — აღმოეჩინოს ფინანსიური დახმარება იმ ქვეყნებს, რომლებიც ომის საფრთხის წინაშე იმყოფებიან ან რომელთაც თავს ესხმიან.

ამ დადგენილებით, ერთა ლიგის ყოველ წევრს, თუ იგი ომის საფრთხის წინაშე დადგება შეუძლია მოსთხოვოს ფინანსიური დახმარება ერთა ლიგის საბჭოს და მისი თანხმობით აიღოს სესხი.

ომის თავიდან აცილებლად საშუალებათა გაძლიერების საკითხის შესახებ, აზრთა სხვადასხვაობის გამო. კომიტეტმა დადგენილება არ მიიღო (ადს).

შეტევა მუშების წინააღმდეგ გერმანიაში

ბერლინი, 9 მაისი. მძიმე მრეწველობის ორგანოს „დეიჩე ბერგვერკცაიტუნგ"-ი მოწინავე წერილში დასახულია მუშების წინააღმდეგ შეტევის პროგრამა. გაზეთი მოითხოვს ხელფასის შემცირებას, სამუშაო დღის გადიდებას, უმუშევართათვის იძულებითი სამუშაოებს, უმუშევართა გაგზავნას განაპირა ოლქებში და კოლონიებში და სეზონის მუშათათვის დახმარების მოსპობას. (ადს).

ინგლის-ეგვიპტეს მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზები

ლონდონი, 9 მაისი. ინგლის-ეგვიპტეს მოლაპარაკება შესწყდა, იმის გამო, რომ ინგლისმა არ მიიღო ეგვიპტის დელეგაციის ორი მოთხოვნა. ეს მოთხოვნებია: ეგვიპტის მოქალაქეთა განუსაზღვრელი იმიგრაცია სუდანში და სუდანის საკითხის ხელახლად განხილვა ერთი წლის შემდეგ (ადს).

სხვადასხვა

— **იუნანში** (ინდოჩინეთი) სისრულეში მოიყვანეს განაჩენი სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელიც ინდო - ჩინეთის აჯანყების 4 მონაწილეს ჰქონდა გადაწყვეტილი (ადს).

— **იაპონიის მთავრობის რწმუნებულმა ლონდონში** დასდო შეთანხმება 250 მილიონი იენის სესხის შესახებ. სესხი გამოიშვება ინგლისში და ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში 30 წლის ვადით (ადს).

— **ლეიპციგის სახელმწიფო სასამართლომ** „როტე ფანე"-ს ყოფილ რედაქტორს კარლ ზოტმანს 15 თვის პატიმრობა მიუსაჯა იმისათვის, რომ მან „სცადა სახელმწიფო ღალატის ჩადენა". (ადს).

— **მანილიიდან** (ფილიპინის კუნძულების მთავარი ქალაქი) იუწყებიან, კუნძულ მინდანაოს გლეხებმა უარი სთქვეს გადასახადების შეტანაზე და პარტიზანული რაზმები მოაწყეს.

კუნძულ მინდანაოზე გაიგზავნენ პოლიციელთა ძლიერი რაზმები. პოლიციელებსა და პარტიზანებს შორის მოხდა შეტაკება. მოკლულ იქნა 4, დაიჭრა 15 პოლიციელი. გლეხობის ზარალი გამორკვეული არ არის.

ლიუზენისა და ბატაანის პროვინციების გლეხებმა, რომელთაც საეკლესიო მიწები აქვთ აღებული, უარი განაცხადეს საიჯარო გადასახადის შეტანაზე. (ადს).

სამრეწველო დეფიციტიური საქონლის გაცემის წესი

მოსკოვი, 10 მაისი. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა სამრეწველო დეფიციტიური საქონლის გაცემის წესი ქალაქებისა და მუშათა უბნების მოსახლეობაზე—ცენტრალიზაციაქმნილი მომარაგების სამრეწველო საქონელი იყოფა სამ მთავარ ჯგუფად. პირველ ჯგუფს ეკუთვნის ბამბისა და სელის ქსოვილები, ძაფები და საოჯახო საპონი. მეორე ჯგუფში შედის: დამზადებული ტანისამოსი, ტრიკოტაჟი, ფეხსაცმელი და კალოშები. მთელი დანარჩენი სამრეწველო საქონელი შედის მესამე ჯგუფში.

პირველი ჯგუფის საქონელი მშრომელებს ეძლევათ მხოლოდ წიგნაკებით და მტკიცე ნორმებით. მეორე ჯგუფის საქონლის განაწილების დროს ქალაქებს შიგნით პირველ ყოვლისა მომარაგებულ უნდა იქნას სადუქნო ქსელი, რომელიც ემსახურება მუშათა რაიონებს. მესამე ჯგუფის საქონელი ჩვეულებრივ წესით იყიდება და მისი გაცემის დროს ყოველგვარი შეზღუდვა შეიძლება დაწესებულ იქნას მხოლოდ საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახ. კომისარიატის ნებართვით. დეფიციტიური საქონლის გაცემის ახალი წესი შემოღებულ იქნება 10 მაისიდან (ადს).

ტრაქტორები ამიერ-კავკასიისათვის

მოსკოვი, 10 მაისი. საბჭოთა კავშირის მიწადმოქმედების სახკომისარიატმა განკარგულება გასცა, რათა ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილ იქნას „ხოლტი"-ს 83 ტრაქტორი სპეციალურად ამიერ-კავკასიის მთიანი რაიონებისათვის ა(დს).

დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების ფონდის განაწილება

მოსკოვი, 10 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების სრულიად საკავშირო ფონდის განაწილება.

ამიერ-კავკასიას ეძლევა 1.075.000 მან. აქედან აზერბეიჯანს 450.000 მანეთი, სომხეთს—235.000 მანეთი და საქართველოს—300.000 მან.

მშენებლობის ობიექტების დამტკიცება დაკისრებული აქვს სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს.

გარდა ამისა, ა. ლ. კ. კ.-ის ც. კ.-მა გადასცა ამიერ-კავკასიის ა. ლ. კ. კ.-ის საოლქო კომიტეტს სანატორიუმთა კოლონიების მშენებლობისათვის 100 ათასი მანეთი. (ადს).

ამხ. სტალინის სახელობის ცხენოსანი ბრიგადის 10 წლის თავი

მოსკოვი, 10 მაისი. 10 მაისს შესრულდა 10 წელიწადი, რაც ამხ. სტალინის სახელობის ცხენოსანთა განსაკუთრებული წითელდროშოვანი ბრიგადა არსებობს. ეს ბრიგადა შესდგა მაშინ, როცა პირველი ცხენოსანი არმია ჩრდილოეთ-კავკასიიდან პოლონეთის ფრონტზე გადავიდა. სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო და ბრიგადის შეფი—საკავშირო პროფსაბჭო ათი წლის თავს აღნიშნავენ ბრძანების გამოცემით და მისალმებით ბრიგადის მთელი შემადგენლობისა და ძველი მეომრებისადმი. (ადს).

ახალი სატრაქტორო სახელოსნოების ამუშავება

ლენინგრადი, 10 მაისი. 8 მაისს მოსკოვ-ნარვის კულტურის სახლში მოხდა საზეიმო კრება „კრასნი პუტილოვეც"-ის ახალი სატრაქტორო სახელოსნოების ამუშავების გამო. კრებამ ამხ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„ეს ორი სამქრო ამერიკული ტემპებით იქნა შექმნილი, რათა გაფართოვდეს ტრაქტორების გამოშვება სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ფრონტისათვის. შენის სახით სიტყვას ვაძლევთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე, რომ წითელ პუტილოველნი მზად არიან განახორციელონ საკავშირო კომპარტიის (ბ) გენერალური ხაზი და ერთი წუთითაც არ შეანელონ სოციალისტური შეტევის ტემპები" (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის პრესამ განაახლა პროვოკაციული გამოსვლები

მოსკოვი, 10 მაისი. ვარშავიდან მიღებული ცნობით პოლონეთის პრესამ კვლავ მოუხშირა წერას საბჭოთა საელჩოში „ჯოჯოხეთის მანქანის" აღმოჩენის შესახებ. წერილების ერთი და იგივე ტონი მოწმობს, რომ გაზეთები ალაპარაკდნენ გარკვეულ სფეროების დირექტივით. იმ მიზნით, რომ დაიფარონ ბოროტმოქმედების ნამდვილი კვალი, პრესა იმეორებს იმავე ჭორებს, რასაც ის ავრცელებდა ჯოჯოხეთის მანქანის აღმოჩენის პირველ დღეებში. დამნაშავეების სახით გამოჰყავთ „კომინტერნის ბნელი ელემენტები" და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს „ფარული აგენტები".

„კურიერ პორანნი" სწერს: „საგამომძიებლო ორგანოების აზრით შესაძლებელია დაუშვათ, რომ ჯოჯოხეთის მანქანა საბჭოთა საელჩოში წარმოადგენს ინსცენიროვკას კომუნიზმის სასარგებლოდ. გაზეთი „ა. ბ. ც"." აცხადებს: „თუმცა კვლევა-ძიება მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დამთავრდება, მაგრამ აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ის მეტად სენსაციურ დეტალებს გამოამჟღავნებს. საბჭოთა საელჩოს შენობის დათვალიერება გადადებულია პოლიტიკური პოლიციის უფროსის დაბრუნებამდე ქ. ბელოსტოკიდან. ბელოსტოკში ამ საქმის გამო პასუხისგებაშია მიცემული რამდენიმე ადგილობრივი კომუნისტი. პოლიტიკური პოლიციის უფროსის დაბრუნების შემდეგ შემოწმებულ იქნება ის ადგილი, სადაც იყო ჩადებული ჯოჯოხეთის მანქანა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოირკვევა: შეიძლებოდა თუ არა, რომ ყუმბარა აფეთქებულიყო ან შეიძლებოდა თუ არა, რომ აფეთქებას რაიმე უბედურება გამოეწვია. ყოველ შემთხვევაში აქედანვე დასაშვებია, რომ ყუმბარა არ აფეთქდებოდა, რადგან მისი კონსტრუქცია ამას აშკარად მოწმობს".

პილსუდსკის მომხრეთა „გაზეტა პოლსკა" ეხება პილსუდსკის კიევზე ლაშქრობის ათი წლის თავს და სწერს: „საბჭოების პროპაგანდას უცხოეთში ნიადაგი განუმტკიცა ვარშავაში აღმოჩენილ ყუმბარამ. ამ შემთხვევაში საბჭოებს ჰქონდა იშვიათი საშუალება წამოესხათ მშვიდობიანობის ანგელოზის მანტია და თავი ისე დაესახათ, თითქოს მათ უმანკოებას ემუქრება იმპერიალიზმი ჯოჯოხეთური მანქანებით, პოლონეთი კი წარმოედგინათ, როგორც უახლოესი იმპერიალისტური მტერი. საქმე აქ იმაში კი არ არის, თუ როგორია ყუმბარის წარმოშობის ნამდვილი ისტორია. ეს არ წარმოადგენს მასიური გიპნოზის საშუალებას. მთავარი ისაა, რომ საბჭოებმა მიაღწიეს თავის სასარგებლო ეფექტს განსაზღვრულ მომენტში. ამ მხრივ ვარშავის ყუმბარა პირველხარისხოვან ხერხს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით საჭირო იყო ამერიკის საზოგადოებრივი აზრის გულის მოსაგებად, მაგრამ ცუდი საქმე დაემართა საბჭოებს. სწორედ ამავე დღეებში ნიუ-იორკის პოლიციის პრეფექტმა გამოააშკარავა „ამტორგის" კავშირი ამერიკელ კომუნისტებთან".

გაზეთი „ზა სვობოდუ" ისევ სწერს, თითქოს ვარშავის ყუმბარა წარმოადგენს საბჭოთა საელჩოს მიერ მოწყობილ პროვოკაციას.

„იზვესტია" ეხება პოლონეთის პრესის ამ უსირცხვილო და თავხედურ გამოსვლებს და სწერს: პოლონეთის ზოგიერთ გავლენიანი წრეების წინდაუხედავი და მიუტევებელი ნაბიჯები, ანტისაბჭოთა პროვოკატორების განგაში, ვარშავის ყუმბარა და ანტისაბჭოთა ყალბი დოკუმენტები მიზნად ისახავენ საზოგადოებრივი აზრის მომზადებას საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის.

დავაჩქაროთ სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნა

უკვე სამი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც გაიმართა სრულიად საკავშირო თათბირი სოფლის საბჭოების იმ ახალი ამოცანების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სოფლის მეურნეობის ფართოდ გაშლილ კოლექტივიზაციასთან.

ამ თათბირმა შემდეგი აღნიშნა:

„საბჭოთა ხელისუფლების ქვედა ორგანოები, რომლებმაც სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ პერიოდში, საბჭოების პოლიტიკურ გაცხოველებასთან დაკავშირებით, თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს, სრულებით არ შეეფერებიან მასიური კოლექტივიზაციის პროცესში წარმოშობილ ახალ მოთხოვნილებებს". თათბირმა საჭიროდ სცნო სწრაფი, ძირითადი და გადამწყვეტი გარდატეხა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაში.

განვლილი სამი თვის განმავლობაში სწარმოებდა ბრძოლა ბოლშევიკური თესვის მომზადებისათვის და გატარებისათვის, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის და შემდგომი გაშლა - გაფართოებისათვის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში. უკანასკნელ თვეებში სწარმოებდა აგრეთვე იმ გადახვევათა გადაჭრით გამოსწორება, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ საკოლმეურნეო მშენებლობის პრაქტიკაში. ყოველივე ეს მიმდინარეობდა და მიმდინარეობს იმ კლასობრივი ბრძოლის პირობებში, რომელიც საკოლმეურნეო მოძრაობაში შემდგომი ზრდისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პროცესში უფრო და უფრო მწვავდება.

სწორედ ასეთ ურთულეს და უაღრესად პასუხსაგებ პირობებში სჩანს ყველაზე ნათლად, თუ როგორ ხდებოდა სოფლის საბჭოების გარდაქმნა, როგორ შერჩეულად ენ ისინი „გუშინდელ დღეს" და როგორ იქმნებოდნენ პროლეტარული დიქტატურის ამ ორგანოებად, რომლებიც მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების აქტივობის მობილიზაციას ახდენდნენ სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები გვიჩვენებენ, რომ უკვე თვალსაჩინო წარმატება არსებობს სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნისა და მათი განმტკიცების მხრით.

საბჭოების ნაწილობრივმა, გადარჩევამ რესპუბლიკების სხვადასხვა ოლქებში, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კადრის გაძლიერებამ ამ საბჭოებში, ადგილობრივი, ყველაზე უფრო მტკიცე და კლასობრივად გამობრძმედილი მუშაკების სამუშაოდ გაგზავნამ სოფლის საბჭოებში, საბჭოთა ქვედა ორგანოების გაძლიერებამ მუშებით, ქალაქის საბჭოების წევრებით და კომკავშირელი მდივნებით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში, — ყოველივე ამან ხელი შეუწყო სოფლის ბევრ საბჭოს გარდაქმნილიყო მუშაობის პროცესში, მიეღო აქტიური ხელმძღვანელი მონაწილეობა გაზაფხულის თესვის დაკვრითი მზადებაში და საკოლმეურნეო მშენებლობაში. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიღწევები სრულებით საკმარისი არ არის, სრულიად არასაკმაო ტემპით ხორციელდება პარტიის უმნიშვნელოვანესი დირექტივა საბჭოების მუშაობის გარდაქმნის შესახებ შემდეგი ლოზუნგით: „საბჭოებმა პირი უნდა იბრუნონ საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ".

„პრავდა"-ს მიერ მიღებული ადგილობრივი მასალები სრული სიცხადით ადასტურებენ, რომ სოფლის ბევრ საბჭოს ჯერ კიდევ რიგიანად ვერ „უბრუნებია პირი საკოლმეურნეო მოძრაობისაკენ, რომ სოფლის ბევრი საბჭო ჯერ კიდევ კუდში მისჩანჩალებს მოძრაობას და „გუშინდელი დღით" ცხოვრობს.

ახალი დებულება სოფლის საბჭოების შესახებ სოფლის საბჭოების მუშაობას უქმნის მკაცრ ორგანიზაციულ (ფუნქციების გაფართოება, რაიონის სხვადასხვა ფუნქციების გადასვლა სოფლის საბჭოს ხელში და სხვ.) და ეკონომიურ (სოფლის დამოუკიდებელი ბიუჯეტი) ბაზას. მაგრამ მარტო ეს არა კმარა. ახალი ფორმებისათვის ახალი შინაარსია საჭირო და აქ ჩვენს წინაშე ისახება სხვადასხვა საკითხები, რომლებიც სწრაფად გადაჭრას მოითხოვენ.

ამ საკითხებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს კადრების პრობლემას. სოფლის საბჭოების გართულებული მუშაობა მოითხოვს, რომ მათს სათავეში იდგნენ მტკიცე, კლასობრივად გამობრძმედილი მუშაკები, რომ ეს მუშაკები კარგად ერკვეოდნენ სოფლის რთულ პირობებში და რიგიანად უძღვებოდნენ მეურნეობას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება სოფლის საბჭო პროლეტარული დიქტატურის ნამდვილი ორგანო სოფლად, მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების ნამდვილი ორგანიზატორი. მაგრამ სოფლის საბჭოების მუშაკთა კადრების საქმე ჯერ კიდევ ძალიან და ძალიან ცუდად არის. ჩვენში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ტენდენცია მეორეხარისხოვანი მუშაკების გაგზავნისა სოფლად, ჯერ კიდევ სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის განვითარებული სოფლის საბჭოს აქტივის მომზადება სხვადასხვა კურსებზე. ამ მხრით სოფლის საბჭოებს თვალსაჩინო დახმარება აღმოუჩინეს მუშებმა, მოსკოვისა, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების საბჭოების წევრებმა, რომლებიც ნებაყოფლობით წავიდნენ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონების სოფლის საბჭოებში სამუშაოდ, აგრეთვე მუშებმა 25 ათასის რიცხვიდან. მაგრამ პირველნი — ძალიან ცოტანი, წვეთნი არიან ზღვაში, ხოლო მეორენი სამწუხაროდ, სრულიად არასაკმაოდ არიან ჩაბმულნი საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში.

პროლეტარული ქალაქი ხელმძღვანელობს სოფლის საბჭოებს, ეხმარება და დაეხმარება მათ ხელმძღვანელობის გაწევით მუშაობის მოწესრიგებაში, მაგრამ ქალაქი სოფელს მისცემს მხოლოდ ორგანიზატორებს, რომლებსაც გამოცდილება ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობით მიუღიათ და რომლებსაც კლასობრივ - პროლეტარული გამობრძმედილება აქვთ. სოფლის საბჭოების მუშაკთა ძირითადი კადრები ადგილობრივ უნდა გამოინახონ. შეიძლება კიდეც მათი გამონახვა. მაგრამ ეს კადრები ისე ადვილად ვერ შეიქმნებიან, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ, საჭიროა მათი გამოზრდა. შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ სოფლის საბჭოების კადრების მომზადება მხოლოდ კურსებზე შეიძლება. მომზადების ასეთი ფორმა მხოლოდ დამხმარე საშუალებაა. მთავარ სამჭედლოს კი, სადაც კადრები უნდა გამოიჭედონ, თვით სოფლის საბჭოს პრაქტიკული მუშაობა წარმოადგენს. აქედან გამომდინარეობს სოფლის საბჭოების მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფებისა და სექციების უდიდესი როლი.

სოფლის საბჭოებთან არსებულმა მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფებმა თავიანთი გავლენა უნდა მოახდინონ სოფლის საბჭოს მთელ მუშაობაზე, ვინაიდან: „მხოლოდ მაშინ თუ შემჭიდროებულნი იქნებიან მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მასები, მხოლოდ მაშინ, თუ მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები მთლიანად ჩაებმებიან საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაში, აგრეთვე თუ მათი რიცხვი თვალსაჩინოდ გაიზრდება სოფლის საბჭოების შემადგენლობაში, შეიძლება წარმატებით გადასწყდეს სოფლის საბჭოების წინაშე დასახული ახალი ამოცანები" (ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება „სოფლის საბჭოების ახალი ამოცანების შესახებ").

საკმაოდ შეგნებული აქვთ თუ არა ეს ადგილობრივ პრაქტიულ ორგანიზაციებს? მიღებულია თუ არა რეალური ზომები მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაციისა და მოწესრიგებისათვის? ბევრგან არა.

ბევრმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ არ შეასრულა სათანადო პარტიული დირექტივა, კერძოდ, საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის დეკემბრის დადგენილება. აქ საჭიროა გადამწყვეტ გარდაქმნას მივაღწიოთ უახლოეს ხანში. საჭიროა დაუზოგველად ვებრძოლოთ მემარჯვენე ოპორტუნისტებს, რომლებიც საკმაოდ არ აფასებენ და საბოტაჟს უწევენ ღარიბი გლეხობის დამოუკიდებელ ორგანიზაციას. საჭიროა მტკიცედ დავიხსომოთ: „არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ახალ საბჭოების სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ნამდვილი შემჭიდროება მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კადრისა საბჭოებში და ამ საფუძველზე საკოლმეურნეო მოძრაობის პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცება" (მოლოტოვი)

სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სოფლის საბჭოების სექციების მუშაობა. „სოფლის საბჭოების სექციები, სასოფლო - სამეურნეო სექციის გარდა, უმოქმედოდ არიან" (ირბიტის ოლქი). „სოფლის საბჭოების სექციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ" (ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქი). ასეთი ხასიათის ცნობები მოსდის „პრავდა"-ს რაიონების უმრავლესობიდან, თუმცა სწორედ სექციების საშუალებით შეიძლება ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ჩაბმა სოფლის საბჭოების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს იმიტომ ვამბობთ, რომ უკანასკნელ დროს ბევრგან, ღარიბი გლეხობის დამოუკიდებელი ორგანიზაციის შეუფასებლობის მემარჯვენე - ოპორტუნისტულ პრაქტიკასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ „მემარცხენე" ოპორტუნიზმის გამოხატულების ბევრ ფაქტს. ამის მაჩვენებელია, სხვათა შორის საშუალო გლეხის ჩამოშორება საბჭოთა მუშაობისაგან. როცა ჩვენ ბრძოლას ვაწარმოებთ უმთავრესად მემარჯვენე ოპორტუნისტების — პარტიის მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე „მემარცხენეებსაც", რომლებიც მემარჯვენე ოპორტუნისტების პოზიციებს აძლიერებენ.

ყველა ამ საკითხებთან მჭიდროდ და უშუალოდ დაკავშირებულია სოფლის საბჭოების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის საკითხები.

იმის გამო, რომ ზოგიერთი სოფლის საბჭო სუსტი აღმოჩნდა საკოლმეურნეო მშენებლობას კუდში მოექცა და მრავალ შემთხვევაში, კოლექტივიზაციის ხელისშეწყობის ნაცვლად, მას ხელს უშლიდა ბევრ ადგილას სოფლის საბჭოს ფუნქციები მაღლა მდგომი ორგანოების რწმუნებულებმა იკისრეს. ასეთი მოვლენა, როგორც უაღრესად დროებითი ზომა, ცალკე შემთხვევებში სავსებით მიზანშეწონილი იყო. მაგრამ, როდესაც ეს დროებითი მოვლენა სიტემად გადაქცევის ტენდენციას იჩენს ისეთ რაიონებშიც კი, სადაც მოხდა სოფლის საბჭოების გადარჩევა და მათი საკმაოდ განმტკიცება. ასეთი ცდების წინააღმდეგ მთელი ძალ-ღონით უნდა ვიბრძოლოთ.

ასეთი ცდები წარმოადგენენ იმ ანტიპარტიული ოპორტუნისტული „თეორიის" გამოძახილს, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოებმა თავიანთი დრო მოიჭამესო.

ამიტომ სავსებით მართებულად მოიქცა სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმი, რომელმაც, ირბიტის საოლქო აღმასკომის მოხსენების გამო, დაადგინა—„მინიმუმამდე შემცირდეს რწმუნებულების გაგზავნა სხვადასხვა კამპანიის ჩასატარებლად; ასეთი საშუალება განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა იქნას გამოყენებული ქვედა საფეხურის საბჭოების დასახმარებლად, მაგრამ რწმუნებულებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასწიონ ამ საბჭოების მაგიერობა".

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს პარტიის ხელმძღვანელობა სოფლის საბჭოების მიმართ. ბევრ ადგილას პარტიულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ მოაგვარეს სათანადოდ საბჭოების ყოველდღიური მუშაობის ხელმძღვანელობა, ხოლო ზოგიერთმა პარტორგანიზაციამ თვითონ აიღო ხელში სოფლის საბჭოების მთელი ოპერაციული მუშაობა. ზოგიერთი ამხანაგები იმასაც კი სცდილობს, რომ ამ მდგომარეობას სათანადო „იდეოლოგიური ბაზა" გამოუნახოს. მაგალითად, ბუგურუსლანის საოლქო პარტკომიტეტის მდივნის მოადგილე აცხადებს: „ახლანდელი ტემპები 1928 წლის ტემპებზე მაღლა დგანან და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საბჭოებმა ისინი ვერ დასძლიეს. პარტორგანიზაცია იძულებული გახდა თითონ ეკისრა ეს სამუშაო. საბჭოებს ჩვენ თესვის შემდეგ მოვკიდებთ ხელს"... იმ სამართლიანი შენიშვნებიდან, რომ საბჭოებმა (უფრო სწორი იქნება, ბევრმა საბჭომ) ვერ დასძლიეს ის ამოცანები, რომლებიც ახალ პერიოდში დაისვა მათ წინაშე, ეს ამხანაგი აკეთებს შემცდარ დასკვნას—„საბჭოებს თესვის შემდეგ მოვკიდებთ ხელსო". პარტიული ორგანიზაცია მოვალეა საბჭოებს „ხელი მოჰკიდოს" არა მარტო საარჩევნო კამპანიის დროს, არამედ ყოველდღიურად.

ბუგურუსლანელი ამხანაგი მარტო არ არის, ვინაიდან სხვა რით უნდა აიხსნას, თუ არა საბჭოთა მუშაობის გუშინდელი დღის ძველი მეთოდებით და კამპანიისებურად „დაწყების" სურვილით ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა მუშაკმა და სოფლის მთელმა პარტორგანიზაციებმაც კი მთავრობის დადგენილება საარჩევნო კამპანიის საგაზაფხულო თესვის დამთავრებამდე გადადების შესახებ ისე გაიგეს, როგორც დირექტივა.. სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნის გადადების, სოფლის საბჭოებიდან იქ შემძვრალი კულაკებისა და კულაკთა აგენტების განდევნის გადადების შესახებ. ასეთი გეზი მთლიანად ოპორტუნისტულია და მისი პრაქტიკულად განხორციელება იმ კლასობრივი მტრის პირდაპირი დახმარებაა, რომელიც არ დაიწყებს ლოდინს იმ დრომდე, სანამ ბუგურუსლანელი ამხანაგები მორიგ კამპანიამდე მიაღწევენ.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არ უნდა აიღონ თავიანთ თავზე სოფლის საბჭოების პრაქტიკული და ოპერატიული მუშაობა, მაგრამ მათ, სოფლის საბჭოებს, საბჭოების წევრ კომუნისტების, მოჯამაგირეებისა და ღარიბთა ჯგუფების მეშვეობით, ნამდვილი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს იმ ჯერ კიდევ არსებულ ცდებს, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ მუშაობა მოჯამაგირეებსა და ღარიბებს შორის გადაეცეს საბჭოთა და საკოლმეურნეო - კოოპერატიულ ორგანოებს. ღარიბთა შორის მუშაობა პარტიული მუშაობის ორგანიული ნაწილია და პარტია ამ მუშაობას ვერავის მიანდობს. კომუნისტებმა — სოფლის საბჭოების წევრებმა და სექციების მუშაკებმა — თავიანთი პარტიული ორგანიზაციისაგან ყოველდღიური დახმარება უნდა მიიღონ და თავის მხრივაც უნდა იგრძნონ განსაზღვრული პარტიული პასუხისმგებლობა იმ მუშაობისათვის, რომელიც პარტიამ მათ დაავალა და ანდო. კომუნისტების საანგარიშო მოხსენებები სისტემატიურად უნდა იქნას მოსმენილი უჯრედების კრებებზე.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის საბჭოები მხოლოდ მაშინ იქნებიან პროლეტარული დიქტატურის ნამდვილი ორგანოები, მხოლოდ მაშინ იქნებიან ისინი ღარიბი და საშუალო მასების ნამდვილი ორგანიზატორები და ხელმძღვანელები სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისა და, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეში, მხოლოდ მაშინ გაატარებენ მთელ თავიანთ მუშაობაში პროლეტარულ ხაზს, როდესაც მოგვარდება მტკიცე და ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობა.

სოფლის საბჭოების მუშაობის გარდაქმნას, მათ განმტკიცებას და პარტიული ხელმძღვანელობის მოგვარებას უნდა შეუდგეთ ახლავე, დღესვე და ამისათვის არ უნდა მოუცადოთ კამპანიის დამთავრებას. მუშაობის პროცესში გარდაქმნილ სოფლის საბჭოებს დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური ღარიბი და საშუალო მეურნეობების მიერ თესვის გეგმის შესრულების, საკოლმეურნეო მშენებლობაში მიღწეული დიდი შედეგების განმტკიცებაში, მთლიანი კოლექტივიზაციის შემდგომი განვითარების და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმეში.

„პრავდა", 10 მაისი.

მასების ენთუზიაზმი

(სოციალისტური შეჯიბრების პირველი წელი)

„სოციალიზმი ზემოდან მითითებით არ იქმნება... ცოცხალი სოციალიზმი თვით ხალხის მასების ქმნილებაა". (ლენინი).

მასის ამოძრავება, მასაში რევოლუციონური საწარმოო ენთუზიაზმის გამოწვევა, — ამაში ხედავდა ლენინი „კომუნიზმის ფაქტიურ დასაწყისს".

პროლეტარიატი, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალა-უფლება მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილში, მშრომელ გლეხობასთან მტკიცედ დაკავშირებული ჰქმნის სოციალისტურ საზოგადოებას. საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზაციის მთელი სტრუქტურა ყველა პარტიულ-პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივ-ნებაყოფლობითი ორგანიზაციებით აგებულია მასების აქტივობასა და ინიციატივაზე და იმ მშრომელთა ორგანიზატორულ ნიჭზე, რომლებიც 1917 წლის დიდმა „ოქტომბრის" რევოლუციამ გაალვიძა...

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასების ინიციატივით, ამ ერთი წლის წინად დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც დღეს წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მასების ფართო ფენების აქტივიზაციის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს...

სოციალისტური შეჯიბრების იდეა უაღრესად ცხოველმყოფელი გამოდგა: მან გაალვიძა მუშათა მასების მძლავრი და საუკეთესო შემოქმედებითი ძალები და მისწრაფებები. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინად ბევრი ეჭვს გამოსთქვამდა იმაში, რომ ჩვენ შევსძლებდით განგვეხორციელებია „ხუთწლიანი გეგმა", — სოციალიზმის, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ეს საძირკველი. ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე დასახული იყო ჩვენ მიერ. ცხოვრება ჩვენს ყოველგვარ გეგმებს უსწრებს. ახლა მშრომელმა მასებმა ამოცანად დაისახეს **აუცილებლად მიაღწიონ „ხუთწლიანი გეგმის" შესრულებას ოთხ წელიწადში და შეიძლება უფრო მოკლე ვადაშიც.** სოციალისტური შეჯიბრების ტალღა, რომელიც უდიდეს მასებს მოედო, ცხადჰყოფს საბჭოთა კავშირის მშრომელთა კლასობრივი შეგნების მაღალ ხარისხს. **სოციალისტური შეჯიბრება მოედო თითქმის ყველა საწარმოს, დაიწყო ფაბრიკებსა და ქარხნებში, წითელ ყაზარმებში, ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებში და გადავიდა საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში, ქალაქებიდან და სამრეწველო ცენტრებიდან სოფლებში — მინდვრებში...** რა თქმა უნდა, თვითეულ ამ საწარმოში არის „თავისი", ასე ვთქვათ, სპეციფიური შეჯიბრება... ასე, მაგალითად, თუ **ფაბრიკებსა და ქარხნებში ლოზუნგი იყო შრომის ნაყოფიერების გადიდება და შრომის დისციპლინის განმტკიცება,** საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებს აქვთ თავიანთი ლოზუნგები — **ნათესი სივრცის გაფართოება, მოსავლიანობის გადიდება და სხვ...**

მაგრამ მთავარი მთელ სოციალისტურ შეჯიბრებაში ის არის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობით თვითეული ამტკიცებს, რომ **იგი მზად არის იბრძოლოს პარტიის გენერალურ ხაზისათვის, ე. ი. მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის. სოციალისტური შეჯიბრება ხომ ამავე დროს კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ნაწილია.** პროლეტარული შეჯიბრების საქმეში ჩაქსოვილია შეგნებული კლასობრივი რევოლუციონური ბრძოლა, პროლეტარული ინიციატივა და კუნთები...

სოციალისტური შეჯიბრება წარმოშობს და ანვითარებს მასებში იმ მუშაობის სანიმუშო მეთოდებს, რომლებიც საჭიროა კოლექტიურ წარმოებაში და, საერთოდ შეგნებულ მშენებლობაში, იძლევა მუშებისაგან საუკეთესო გაბედულ ავანგარდს „დამკვრელი" ბრიგადების სახით, რომელნიც წარმოადგენენ დიად სამუშაოთა ჩვენი ეპოქის საუკეთესო გამოხატულებას, მსოფლიოში კომუნისტური საზოგადოების შესაქმნელად.,

⁂

ამჟამად ჩვენ ჯამს უკეთებთ სოციალისტური შეჯიბრების წლიური პრაქტიკის შედეგებს.

გასული წელი იყო „ხუთწლედის" პირველი წელი და ამავე დროს სოციალისტური შეჯიბრების პირველი წელი. სოციალისტურ შეჯიბრებას ელობებოდნენ უდიდესი სიძნელეები (რომელნიც საბოლოოდ დღესაც არ არის აღმოფხვრილი) არა თუ მატერიალური და ტეხნიკური ხასიათისა, არამედ სოციალურ - საყოფა-ცხოვრებო შინაარსისაც, როგორიც არის უძრაობა, ბიუროკრატიზმი, აშკარა და ფარული მავნებლობა და სხვა. და სხვ.

მაგრამ ყველა ასეთი დაბრკოლებების მიუხედავად, მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან ერთად **„ხუთწლედის" პირველ წელს** დიდი ნაბიჯი გადასდგა ქალაქისა და სოფლის სოციალისტური გარდაქმნის განხორციელებისაკენ. აქაც სოციალისტური შეჯიბრება წინსვლის ერთ-ერთ მთავარ მეთოდად გადაიქცა. მხოლოდ შემდეგში საჭიროა ამ იდეის გაღრმავება, ყოველ ცალკე შემთხვევაში იმ დავალების კონკრეტიზაცია, რომელიც თვითეულმა უნდა შეასრულოს... მაშინ ჩვენი მეურნეობის გარდაქმნის საქმე კიდევ უფრო სწრაფად წავა, ვიდრე დღემდე. ამოცანა — „დავეწიოთ და გაუსწროთ" კაპიტალისტურ ქვეყნებს მარტო იმაში როდი მდგომარეობს, რომ რაოდენობას გამოვეკიდოთ, უნდა გავაუმჯობესოთ აგრეთვე მუშაობის და პროდუქციის ხარისხი... **აქედან დეფექტების უმკაცრესი თვითკრიტიკა, თავიანთი შეცდომების აღიარება, ყველა გადახრებისა და გადახვევების წინააღმდეგ დაუნდობლად ბრძოლა — დამახინჯებათა აი უმთავრესი გადაუდებელი ამოცანა...**

მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ გამოვასწოროთ ყველა დეფექტები და აღარ გავიმეოროთ ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრებისა და „ხუთწლიანი გეგმის" განხორციელების პირველ წელს...

ის უნახავი შრომითი ენთუზიაზმი და გმირობა, რომელმაც წარმოშვა სოციალისტური შეჯიბრება და რომელიც მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის მშრომელ მილიონებს მოედო, უნდა განვამტკიცოთ, გავაღრმაოთ და გავაფართოოთ. „ჩვენ არ გვესაჭიროება ისტერიული ნახტომები, ჩვენთვის საჭიროა მუშათა ბატალიონების მწყობრი მსვლელობა", — ასე სწერდა დიდი ლენინი თავის ბროშურაში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები"... მაღლა ავსწიოთ ბრძოლის დროშა შრომის ახალი სოციალისტური დისციპლინისათვის სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის დროს!

ხართო გზა მივსცეთ მუშათა ინიციატივას, თვითმოქმედებასა და შემოქმედებას, ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების გამომგონებლობას!

გაუმარჯოს მასების უძლეველ შრომითი საწარმოო ენთუზიაზმს — სოციალისტურ შეჯიბრებას!

მიხა ცხაკაია.

თბილისი, 1930 წ. 8 მაისი.

ობლიგაციების გაყიდვისა და დაგირავების წესი

საკავშირო ფინსახკომის განმარტება

მოსკოვი, 10 მაისი. საბჭოთა კავშირის ფინსახკომში არსებული ცნობებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფო კრედიტის დამხმარე ქვედა კომისიები ხშირად არღვევენ ობლიგაციების გაყიდვისა და დაგირავების ნებართვის გაცემის წესს. ამის გამო ფინსახკომმა განმარტა, რომ მუშისა და მოსამსახურის ადგილიდან ადგილზე გადაყვანის და დათხოვნის დროს დამხმარე კომისიებმა უნდა გამოარკვიონ დათხოვნილის ახალი სამსახურის ადგილი და, აგიტაციური ზეგავლენის გზით, გადახდევინება გადაიტანონ ახალი მუშაობის ადგილას. დამხმარე კომისიებს შეუძლიათ გაყიდვისა და დაგირავების ნებართვა გასცენ მხოლოდ იმ ობლიგაციებზე, რომლებიც ხელთ აქვთ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ხელისმომწერლებს. არტელებში, საბინაო ორგანიზაციებში და სხვადასხვა ასოციაციებში არსებულ დამხმარე კომისიებს ობლიგაციების გაყიდვისა და დაგირავების ნებართვის გაცემა არ შეუძლიათ. ზოგჯერ ობლიგაციების გაყიდვისა და დაგირავების ნებართვის გაცემის საბუთად ასახელებენ არა საკმაო კვებას, საოჯახო ნივთების შეძენას, გადასახადებისა და ალიმენტების შეტანას და ვალის გადახდას. ფინსახკომი ფიქრობს, რომ ობლიგაციების პატრონთა მიმდინარე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ობლიგაციების გაყიდვით არ შეეფერება ინდუსტრიალიზაციის სესხის იდეასა და მიზნებს (ადს).

თამბაქოს მცირე ფაბრიკების ლიკვიდაცია

მოსკოვი, 10 მაისი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა დაადგინა: მოხდეს თამბაქოს სხვადასხვა მცირე ფაბრიკების ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიაში, რადგან ისინი სარგებლობას არ იძლევიან, ჩამორჩენილნი არიან მოწყობილობის მხრივ და აკლიათ ნედლეული. დარჩება მარტო „აზტაბაკ"-ის საქ. თამბაქოს ტრესტის ფაბრიკები, ბათომის და სოხუმის თამბაქოს ფაბრიკები (ადს).

საქ. პროფსაბჭოს მე-9 პლენუმი

სამრეწველო-საფინანსო გეგმის პირველი ნახევარი წლის შესრულების შედეგები

ამხ. პევცოვის მოხსენება

პლენუმის პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლის ამხ. პევცოვის მოხსენება მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების შესახებ.

მრეწველობის საერთო მდგომარეობა

1928-29 საბიუჯეტო წლის დასაწყისში — ამბობს მომხსენებელი, როდესაც მრეწველობის ზრდა გეგმით გათვალისწინებული იყო 45 პროცენტით, ზოგიერთი ამხანაგი იჭვს გამოსთქვამდა, რომ დასახული გეგმის შესრულებას ვერ შევსძლებდით. მართალია მრეწველობის განვითარების ზოგიერთი მაჩვენებლების გეგმა სრულიად ვერ იქნა შესრულებული, მაგრამ საერთოდ მრეწველობის ზრდის გეგმა შესრულდა გადაჭარბებითაც კი. ეს გარემოება ნათლად მოწმობს, რომ ჩვენ გვაქვს მრეწველობის უფრო სწრაფად განვითარების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული. სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი ამხანაგები ცდილობენ გეგმით გაითვალისწინონ განვითარების ტემპები მცირე პროცენტი და ყოველ შემთხვევისათვის იქონიონ მარაგი, რომ წლის დამლევს გეგმა თუ გადაჭარბებით არა, მთლიანად მაინც შესრულებული აღმოჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წლის განმავლობაში ჩვენს მრეწველობას მიემატა მრავალი ახალი საწარმო, გაუმჯობესდა ბევრი საწარმოს ტეხნიკური მოწყობილობა, წარმოების საერთო მდგომარეობა და, მაშასადამე, მრეწველობის განვითარების ტემპის კიდევ უფრო დიდად გაზრდის შესაძლებლობა მოგვეცა, ზოგიერთ ამხანაგებში ისევ აქვს ადგილი შიშს, რომ მრეწველობის განვითარების დასახულ პროცენტს ვერ შევასრულებთ. ამის გამო ეს ამხანაგები ცდილობენ რამდენადაც შეიძლება შეარბილონ სადირექტივო ორგანოების მიერ მოცემული საკონტროლო ციფრები და ოპერატიული გეგმები შეადგინონ შემცირებული საკონტროლო ციფრების მიხედვით.

ამას ნათლად მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ მოცემული საკონტროლო ციფრების მიხედვით, ჩვენი მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება წელს უნდა შემცირდეს 11 პროცენტით, მეურნეობის ხელმძღვანელებმა კი გეგმაში გაითვალისწინეს თვითღირებულების მხოლოდ 9 პროცენტით შემცირება.

ნახევარი წლის საწარმოო საფინანსო გეგმა

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მიმდინარე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის პირველი ნახევრის შესრულების შედეგებს და განაცხადა, რომ მართალია ეს ციფრები არც მაინც და მაინც ცუდია, მაგრამ არც საამაყო, როგორადაც მას სახავენ ჩვენი მეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელები.

სატყეო, აბრეშუმის და ტყავის მრეწველობაში ადგილი აქვს გეგმის საგრძნობ შეუსრულებლობას; აბრეშუმის მრეწველობის გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად გამოწვეულია გასულ წელს პარკის მცირე მოსავლიანობით. აბრეშუმის მრეწველობა საკმაოდ ვერ იყო ნედლეულით უზრუნველყოფილი. მრეწველობის ზემოხსენებულ სამ დარგს ჩვენს მრეწველობაში საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა უჭირავთ და მათი სამრეწველო - საფინანსო გეგმის შეუსრულებლობამ საგრძნობი გავლენა მოახდინა მრეწველობის მთლიანი გეგმის მდგომარეობაზე.

იზრდება მრეწველობაში ჩაბმული მუშათა რიცხვი

თუ გასულ წელს მრეწველობაში ჩაბმული იყო მხოლოდ 10.000-მდე მუშა, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუშათა საერთო რიცხვი აყვანილ იქნა 18.259-მდე, რაც შეადგენს გეგმის 144,5 პროც.-ს. მრეწველობაში წელს 4.040 ჩაბმულია მუშა-ქალი. ნახევარი წლის განმავლობაში სამუშაოს გაცდენა უდრის 62.392 კაცდღეს, აქედან არა საპატიო მიზეზებით გაცდენილია 46.014 კაცდღე. საერთოდ შრომის დისციპლინა გაუმჯობესებულია 9 პროცენტით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჩვენს საწარმოებში საგრძნობია მთელი საწარმოების ან ცალკე ცეხების გაცდენა ადმინისტრაციის მიზეზების გამო. მაგრამ ადმინისტრაცია ამის შესახებ ცნობების ცენტრისთვის მოწოდებას ერიდება.

სამრეწველო პროდუქციის ზრდა 64,6 პროცენტით

მრეწველობის მთელი პროდუქციათა ნახევარი წლის განმავლობაში უდრის 38.851.000 მან. რაც გასული ნახევარი წლის პროდუქციას 64,6 პროც. აღემატება. შრომის ნაყოფიერება საშუალოდ გადიდებულია 10.6 პროცენტით, თვითღირებულება კი შემცირებულია მხოლოდ 4,2 პროცენტით. მაშინ, როდესაც თვით მრეწველობის გეგმების მიხედვით თვითღირებულება უნდა შემცირებულიყო 9,9 პროცენტით, ხოლო მოცემული საკონტროლო ციფრების თანახმად იგი უნდა შემცირებულიყო 11 პროცენტით, საერთოდ, ნახევარი წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმა შესრულებულია 97,8 პროცენტით, შეუსრულებელი დარჩა გეგმის 2,2 პროც. ეს გარემოება ჩვენს მრეწველობას ავალებს მიმდინარე წლის მეორე ნახევარში მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობანი, რომ შეავსოს წლის პირველი ნახევრის დანაკლისი და გეგმა თუ გადაჭარბებით არა, მთლიანად მაინც შეასრულოს.

საწარმოთა რაციონალიზაცია

რაციონალიზატორული ღონისძიებების შედეგად მთელ რიგ წარმოებებს გასულ ნახევარ წელში მიღებული აქვთ საგრძნობი ეკონომია. მაგალითად ტყავის მრეწველობაში ამ ღონისძიებების შედეგად მიღებული ეკონომია უდრის 16.220 მანეთს, კალინინის სახელობის ქარხანაში 1.150 მანეთს, ზეთის ქარხნებში — 10.155 მანეთს და სხ. არის აგრეთვე ცნობები, რომ ბორჯომის სატკეჩე ქარხანა და თამბაქოს მრეწველობა რაციონალიზატორული ზომების შედეგად მიიღებენ დიდ ეკონომიას. ბორჯომის ქარხანა ამ ეკონომიას ვარაუდობს 280.000 მან. და თამბაქოს მრეწველობა 180.000 მანეთის რაოდენობით.

478 ათასი მანეთის ეკონომია მუშათა გამომგონებლობით

ნახევარი წლის განმავლობაში მრეწველობას მიღებული აქვს 429 წინადადება მუშათა გამოგონებების შესახებ, რომელთა გამოყენების გზით მიღებულია ეკონომია 478.000 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა შავი ქვის წარმოებაში გამოყენებულ გამოგონებათა შედეგად მოელიან 200.000 მანეთის ეკონომიას. გამომგონებლებს პრემიის სახით მიეცა ჯილდო 12.280 მანეთი. მთელ რიგ გამომგონებლობის დაჯილდოვების საკითხი ამ ჟამად გადაწყვეტის პროცესში იმყოფება. წლის დამლევისათვის გაცემულ ჯილდოების ჯამი აყვანილი იქნება 250.000 მანეთამდე.

11.948 მუშა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილია 11.948 კაცი, რაც მუშათა მთელი რაოდენობის 61,7 პროც. შეადგენს. წლის დამლევისათვის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანილი იქნება მუშათა მთელი რაოდენობის არა ნაკლებ 75 პროცენტისა. 7 საათის სამუშაო დღეზე ამ ჟამად გადაყვანილია მუშათა მთელ რაოდენობის 34,2 პროც.

საწარმოო - საფინანსო გეგმები გადაჭარბებით უნდა შესრულდეს

დასასრულ მომხსენებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგები ჩვენს მრეწველობაში მთლად დამაკმაყოფილებელი ვერ არის, მაგრამ არც ისეთია, რომ უიმედობა გამოიწვიოს. მართალია გეგმის შესრულებას ხელს უშლიდა ზოგიერთი ობიექტიური პირობა (ნედლეულის სიმცირე და სხ.), მაგრამ ძალიან ხშირად ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო მუშაკები თავის უმოქმედობისა და არასაკმაო ინიციატივის შედეგებს ობიექტიურ პირობებს აწერენ. ხშირია შემთხვევა, როცა მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკი დროზე არ ღებულობს ზომებს ამა თუ იმ მანქანის ნაწილის, ან მასალის წინასწარ მისაწოდებლად და მის ძებნას იწყებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მასალა უშუალო ხმარებაში უნდა იყოს, ხოლო თუ მაშინვე ვერ იშოვა, გულდამშვიდებით აცხადებს, რომ ეს ობიექტიური მიზეზია.

წლის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით მეორე კვარტალში გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ამ მიზეზების დასაძლევათ და გასული ნახევარი წლის დანაკლისის შესავსებად. საწარმოო თათბირებმა ადგილებზე მაქსიმალურად უნდა გააძლიერონ თავიანთი საქმიანობა, ენერგიულად უნდა მოკიდონ ხელი მეურნეობის ხელმძღვანელობის საქმის გაუმჯობესებას, აქტიურად უნდა ჩაებან სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესასრულებლად წარმოებულ ბრძოლაში ყოველი ცალკე მუშა და ეს იმისი თავდები იქნება, რომ ჩვენი მრეწველობა წლის დამლევისთვის არა მარტო 64 პროცენტით, არამედ მეტითაც გაიზრდება.

ყრილობის დღიური

პლენუმმა პირველ სხდომაზე ამხ. პევცოვის შემდეგ მოისმინა ამხ. ს. გოდაბრელიძის მოხსენება, რის შემდეგ გაიხსნა კამათი.

პლენუმის მესამე სხდომაზე, გუშინ საღამოს, მოსმენილი იქნა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. ანთიძის მოხსენება პროფორგანიზაციების მომავალ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შესახებ. ამ მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ პლენუმმა განიხილა და დაამტკიცა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ადგილების განაწილების წესი,

დასასრულ დამუშავებული იქნა შრომის გმირთა სია.

პლენუმის სხდომების ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში,

ვემზადოთ საქ. კ. პ. (ბ) მე-VII ყრილობისათვის

კავკ. წითელდროშოვან არმიის მერვე პარტკონფერენცია

ამხ. იპპოს მოხსენება კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ

კონფერენციის შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. იპპოს მოხსენება კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობის შესახებ.

— პოლიტიკურ სამმართველოს ამოცანას — სთქვა მომხსენებელმა, — წარმოადგენს — ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის შეურყევლად გატარებისათვის, არმიის პარტორგანიზაციის სიმტკიცე, ფართო პოლიტიკური მუშაობა და წითელარმიელების და უფროსი შემადგენლობის მობილიზაცია ქვეყნის თავდაცვისა და სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელოვანი ამოცანების ირგვლივ. უკანასკნელი წელი ხასიათდება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პარტიულ ორგანიზაციის რიგების ზრდით. პარტიის რიგები უმთავრესად იზრდება რიგის წით. არმიელთა ხარჯზე. წითელ არმიელების რაოდენობა პარტიაში ამჟამად 56 პროცენტს აღწევს, 1928 წელს კი იყო 48 პროც. პროლეტარული ბირთვი კავკასიის წითელდროშოვან არმიის პარტორგანიზაციაში გაიზარდა 34 პროცენტიდან 54 პროცენტამდე. 1929 წელში არმიის პარტორგანიზაციაში შემოტანილი იყო 6400 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ. მიმდინარე წლის მარტო პირველ კვარტალში 2500 განცხადება არის შემოსული პირველ კვარტალშივე მიღებული იქნა პარტიაში 1830 კაცი, პარტიის რიგები იზრდება უმთავრესად მუშების ხარჯზე. 1928 წელ. პარ. მიღებულთა შორის მუშები შეადგენენ 44 პროცენტს, 1929 წელში კი 61 პროცენტს. კავკასიის წითელდროშოვან არმიის პარტიულმა ორგანიზაციამ შეასრულა მუშათა და გლეხთა წითელ არმიის პოლიტიკური სამმართველოს მითითება პარტიაში მუშების 60—65 პროცენტამდე აყვანის შესახებ.

არმიის პარტიულმა ორგანიზაციამ წარმატებით ჩაატარა ბრძოლა მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, ორ ფრონტზე ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდა არმიის პარტიული ორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიულ მასების თეორეტიულ დონის ამაღლებას; პარტგანათლების ქსელში ჩაბმულია პარტწევრების 85 პროცენტი. უკანასკნელი წელი ხასიათდება წითელარმიელთა მასების აქტიური მონაწილეობით საკოლმეურნეო მოძრაობაში. ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში, კლასობრივ ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით წითელ ყაზარმებში კულაკური აგიტაციის ცალკე შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, რაც გამომჟღავნებულ იყო თვით წითელ არმიელების მიერ.

სამხედრო პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმთავრეს ამოცანას ეხლა წარმოადგენს ახალი კადრების მომზადება სოფლისათვის.

არმიის პარტიულმა ორგანიზაციამ ამჟამად პირი იბრუნა საბრძოლო მომზადების საკითხებისაკენ. საჭიროა მეტი გეგმიანობის შეტანა ამ მუშაობაში, რომ საბრძოლო სწავლების გეგმამ და მიზნებმა მიაღწიოს ყოველ წითელარმიელამდე.

დიდი მიღწევები აქვს არმიას სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საქმეში. შემდეგში დამკვრელობის ცენტრი უნდა იქნეს გადატანილი ასეულებში და ოცეულებში, სოცშეჯიბრება უნდა შეეხოს ყოველ წითელ არმიელს.

გასული წლის განმავლობაში გაძლიერდა არმიის პოლიტსამმართველოს ხელმძღვანელობა ნაწილებისადმი. პოლიტსამმართველოს ინსტრუქტორები იგზავნებიან ნაწილებში, რჩებიან იქ არანაკლებ ერთი კვირისა და სათანადო დახმარებას უწევენ ცალკე ნაწილებს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის გასაშლელად.

ამხ. იპპოს მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი.

26-ის რაიონის მე-12 პარტკონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 საათზე, მშენებელთა კლუბში გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26-ის რაიონის პარტიული კონფერენცია. კონფერენცია გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. ტერ-ვართანოვმა.

ამხ. ტერ-ვართანოვის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 40 ამხანაგი: ამხ. **ხუციშვილი, მამულია, ივანონ-კავკაზსკი, ასრიბეკოვი, ვ. სტურუა, რ. ახუნდოვი, ჩაპლინი, ტერ-ვართანოვი, ყურულაშვილი, ავაქოვი, მაჩაიძე, სვანიძე, მორჩილაძე, მზაიღულიშვილი, მაშკევიჩი, ბაგაროვი, რუხაძე, დვორიანოვა, კანჩაკი, ბელელაძე, იუსუპოვი, სააკიანი, კახიანი, კაკაურიძე, ხაჩატუროვი, ეგიკოვი, ტრდატიანი, ვაშაძე, ფირალოვი, გაიოხი, ბალდასაროვი, მაისურაძე, გრიგორიანი, აქვსენტიევსკი, იპპო და ესმოშვილი.**

სამანდატო კომისიაში: ამხ. პაპახჩიანი, ომაროვი, მელიქოვი, კალმახელიძე, ულუხანოვი, ისრაელოვი, ჭურღულია და ჭკვიანოვა.

სამდივნოში: ამხ. ადამიანი, ასკერი, სილაძე, კაციტაძე, მატინიანი, კლევცოვი, არუთინოვი და ანდღულაძე.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნან ამხ. **სტალინი, კალინინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, რიკოვი, რუძუტაკი, ორჯონიკიძე, კუიბიშევი, მიქოიანი, ტელმანი, ლომინაძე, კახიანი, ელიავა, ცხაკაია, მახარაძე და ლოლობერიძე.**

კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოების შემდეგ, დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენება — საქ. კომპარტიის მორიგ ამოცანებზე; 2. რაიკომის საანგარიშო მოხსენება; 3. კომკავშირის რაიკომის თანამოხსენება; 4. სარევიზიო კომისიის თანამოხსენება და 5. არჩევნები.

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ კავკასიის წითელდროშოვან არმიის მერვე პარტკონფერენციის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **პელენიევი;** მეტყავეთა კავშირის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. **ჩარგეიშვილი.**

ამხ. სტალინის სახელობის ფეხსაცმელის ფაბრიკიდან საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებაზე პატაკი წაიკითხა ამხ. **იგნატოვმა;** მკერავი № 2 ფაბრიკიდან — მუშა-ქალმა ამხ. **ვაშაძემ. 50 მუშა - ქალმა შემოიტანა კოლექტიური განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.**

გარდა ამისა კონფერენციას მიესალმნენ შავი ზღვის წითელი ფლოტის წარმომადგენლები ამხ. **პოდონსკი და კოროტჩენკო.**

ამის შემდეგ საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანებზე მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა ამხ. **ლ. ლოლობერიძემ.**

რა გააკეთა 26-ის რაიკომმა

შეურყევლად გავატაროთ ერთმმართველობა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივა ერთმმართველობის შესახებ ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და გატარებული 26-ის რაიონის მთელ რიგ წარმოებებში, პარტუჯრედებმა და მუშათა მასებმა ჯერ კიდევ არ იციან ერთმმართველობის მნიშვნელობა. იმ წარმოებებში, სადაც ერთმმართველობა გატარებულია, წარმოების ხელმძღვანელები ცდილობენ მთელი პასუხისმგებლობა ქარხკომს ან კომუჯრედს დააკისრონ. არის პირიქით შემთხვევები, როდესაც წარმოების ხელმძღვანელის ფუნქციებში ერევა როგორც კომუჯრედი, ისე საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტიც.

მუშათა დაწინაურება ნელი ტემპით სწარმოებს

მუშათა დაწინაურებას 26 კომუნარის რაიონში ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციები არ აქცევენ სერიოზულ ყურადღებას. დაწინაურებულ მუშების პროცენტი რაიონის საბჭოთა დაწესებულებებში უმნიშვნელოა. პარტორგანიზაციამ ამ უკანასკნელ ხანებში გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი მუშების საპასუხისმგებლო ადგილებზე დასაწინაურებლად, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტემპი საკმაო არ არის. 1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის რაიონის სხვადასხვა დაწესებულებებში დაწინაურებული იყო 8 მუშა. 1930 წლის პირველ აპრილისათვის ეს რიცხვი 30-დე გაიზარდა. საერთოდ რაიონიდან დაწინაურებულია მხოლოდ 65 მუშა. მუშათა დაწინაურება ნელი ტემპით ხდება იმ რაიონში, სადაც მუშების რაოდენობა 6.145 კაცამდე აღწევს. ზოგიერთი დაწესებულებები დაწინაურებულ მუშებს მეტად მძიმე პირობებს უქმნიან, რის გამო დაწინაურებული მუშა იძულებულია დაუბრუნდეს წარმოებას („სოიუზმიასო"). დაწინაურებულ მუშებს არ ეხმარებოდნენ, არ აძლევდნენ გასაქანს, არ ფიქრობდნენ დაწინაურებული მუშის კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სხვ. „გრუზგოსტორგ"-ს, „ზაკგოსტორგ"-ის და სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელები არ ცდილობენ თავიანთ დაწესებულებებში მოკალათებული ბიუროკრატების მუშებით შეცვლას. პროფკავშირებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს საბჭოთა აპარატში სამუშაოდ წამოეყენებიათ მუშების საუკეთესო ნაწილი.

საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის ფაბრიკა-ქარხნები შეფობას ღებულობენ დაწესებულებებზე. მაგ., ტყავის ქარხანას და ფეხსაცმელების ფაბრიკას შეფობა აქვთ აღებული „ზაკგოსტორგ"-ზე და ვაჭრობის სახ. კომისარიატზე; არსენალს—მიწსახკომზე; მეტრავს—საქ. ს.მ.უ. საბჭოზე; ნავთლუღს—ჯანსახკომზე და სხ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფაბრიკა-ქარხნების შეფობა დაწესებულებებზე ჯერ კიდევ არ არის ფართოდ გაშლილი.

საბჭოთა აპარატის წმენდა

26 რაიონის საბჭოთა დაწესებულებებში მუშათა პროცენტი დღემდე უმნიშვნელოა, ნელა იზრდება აგრეთვე კომუნისტური ბირთვი. 26-ის რაიონში 1928 წლის პირველ ოქტომბრისათვის 8 დაწესებულებაში 1.018 თანამშრომელი ითვლებოდა; ამათში იყო 218 კომუნისტი, (21,4 პროც.). 1930 წლის პირველ აპრილისათვის იმავე დაწესებულებებში— 1.134 თანამშრომლიდან — 265 კომუნისტი იყო (23,4 პროც.), ზრდა როგორც ვხედავთ უმნიშვნელოა.

საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების ერთ-ერთ მთავარ საშუალებათ აპარატის წმენდა ითვლება. წმენდის მეოხებით შესაძლებელი გახდება საბჭოთა აპარატიდან მავნე, ბიუროკრატიულ ელემენტების გაძევება. რაიონის მასშტაბით ჯერ - ჯერობით წმენდა დამთავრდა ორ დაწესებულებაში („ზაკგოსტორგი" და ვაჭრობის სახალხო კომისარიატი). „ზაკგოსტორგ"-ის და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის აპარატის წმენდის მოსამზადებელი მუშაობა დამაკმაყოფილებელი იყო. წმენდაში ჩაბმული იქნა მუშათა ბრიგადები, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წმენდაში. წმენდის შედეგად „ზაკგოსტორგი"-დან მოხსნილ იქნა 14 კაცი, ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან კი—6 კაცი. აპარატის წმენდამდე „ზაკგოსტორგ"-ში მუშაობდა 8 დაწინაურებული მუშა, წმენდის შემდეგ კი აპარატში დააწინაურეს სამი კაცი, რაც არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

საბჭოების საარჩევნო-საანგარიშო კამპანია

გასული წლის თებერვალში რაიონში ჩატარებულ იქნა საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. საბჭოების არჩევნები ჩატარდა მუშათა მასების აქტიური მონაწილეობით. საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის დროს, საანგარიშო კრებებს ესწრებოდენ ამომრჩეველთა 91.2 პროც., საარჩევნო კრებებს კი 94,5 პროცენტი. რაიონიდან თბ. საბჭოს წევრად არჩეულია—272 კაცი, აქედან მამაკაცი 212 (78 პროც.) და ქალი—70 (22 პროც.). საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ მუშები—215 (79 პროც.).

როგორ მუშაობს კოოპერაცია

რაიონში კოოპერატიულ მშენებლობას დიდი ყურადღება ექცევა. თბილისის მუშკოოპმა ამ ერთი წლის განმავლობაში ფართოდ გაშალა კოოპერატიული სავაჭროების ქსელი, მაგრამ ის მაინც არ არის საკმარისი, გამოყოფილია კოოპერატიული აქტივი, რომელიც ჩაბმულია განსაკუთრებით სადუქნო კომისიების მუშაობაში. მაგრამ პროფკავშირები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ ამ აქტივს.

უკანასკნელ წელში რაიონში კოოპერატივის წევრთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1930 წლის პირველი აპრილისათვის 130 ორგანიზაციიდან, რომელშიაც 16.051 მუშა-მოსამსახურე ითვლება, მუშკოოპის წევრები— 14.285 კაცი (89 პროც.). საშუალოდ მუშკოოპის თვითეულ წევრს საპაიო გამოსაღების სახით შეტანილი აქვს 15 მან. 65 კაპ.

დეფიციტური საქონელით მომარაგების გასაუმჯობესებლად მუშკოოპმა ხელშეკრულება დასდო საწარმოებთან. ხელშეკრულების ძალით მუშკოოპს განუწყვეტლივ უნდა მიეწოდებია სურსათ - სანოვაგე ტყავტრესტისათვის, არსენალისათვის, მკერავისათვის და სხვ. მუშები კი ვალდებულად სთვლიდნენ თავს პირველი აპრილისათვის დაეფარათ საპაიო გამოსაღების დავალიანება არა ნაკლებ 10 მანეთისა. მიუხედავად იმისა, რომ საწარმოების მომარაგება დეფიციტიანი პროდუქტით გაუმჯობესდა, მუშკოოპმა მთლიანად ვერ შეასრულა თავის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პირობები.

საბინაო კოოპერაციის განმტკიცებას დიდი ყურადღება ექცევა. მე-11 პარტკონფერენციისათვის რაიონში 20 საბინაო კოოპერატიული ამხანაგობა არსებობს. მიღებულ იქნა ღონისძიებები, რათა რაიონში შექმნილიყო მსხვილი საბინაო - კოოპერატიული ამხანაგობები. ამის გამო, 20 ამხანაგობის ნაცვლად რაიონში 11 მსხვილი კოოპერატიული ამხანაგობა დაარსდა. რაიკომმა ორჯერ შეამოწმა ამ ამხანაგობათა გამგეობების მუშაობა და მისცა მათ პრაქტიკული წინადადებები მუშაობის გასაძლიერებლად. საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობებზე მუშაობის გასაძლიერებლად მიწერილი არიან რაიკომის წევრები. საბინაო - კოოპერატიულმა ამხანაგობებმა ჯერ კიდევ ვერ გაშალეს კულტურული მუშაობა საერთოდ მობინადრეთა და განსაკუთრებით დიასახლისთა შორის. საბინაო ამხანაგობებთან თუმცა მოწყობილია ქალთა კუთხეები, სხვადასხვა წრეები, გამოდის კედლის გაზეთები, მაგრამ აქტივი სუსტ მონაწილეობას ღებულობს კულტურულ მუშაობაში. რაიონში ახალი ბინების მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს და სუსტი მუშაობა სწარმოებს საბინაო მშენებლობაზე მომუშავე სეზონურ მუშებს შორის.

„მეტი გარკვეულობა"

გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩი"-ს ა.-წ. 30 აპრილის ნომერში დაბეჭდილია აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გიკალოს იმ მოხსენების გამო, რომელიც შეეხება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის შეცდომებს საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში. რეზოლიუცია, რომელიც, საერთოდ, სწორია, შეიცავს ზოგიერთ გაურკვევლობას და შეცდომას, რომელთა დაუყოვნებლივ გამოსწორება აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან ამ სახით რეზოლიუცია არ მიმართავს სწორად პარტიული ორგანიზაციის გზას.

ჯერ ერთი, შემცდარია რეზოლიუციის შემდეგი ადგილი: „პლენუმი მოუწოდებს დაუნდობლად იქნას უკუგდებული როგორც ყოველგვარი „მემარცხენე" გადახრები, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტული მოთქმა-მოთქმა კოლექტივიზაციაზე ხელის აღების, პარტიის გენერალური ხაზის შეცდომების შესახებ და სხვა, რაც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს".

პირველ ყოვლისა, არ შეიძლება მემარჯვენე გადახრა მემარჯვენე ოპორტუნისტულ მოთქმა-მოთქმად დაისახოთ, როგორც ეს რეზოლიუციაშია. მემარჯვენე გადახრა არის შეხედულებათა დამთავრებული სისტემა, რომელსაც მემარჯვენეები პარტიის გენერალურ ხაზს უპირისპირებენ. მემარჯვენეები იბრძვიან შეხედულებათა ამ სისტემისათვის, ცდილობენ სახელი გაუტეხონ პარტიის გენერალურ ხაზს, რისთვისაც იყენებენ ყველა ჩვენს შეცდომებს, აგრეთვე ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის „მემარცხენე" გადახრებს. მემარჯვენე ოპორტუნისტული მოთქმა-მოთქმა, რომლის შესახებაც რეზოლიუცია ლაპარაკობს, არის ერთი იმ მეთოდთაგანი, რომლის საშუალებითაც მემარჯვენეები იბრძვიან პარტიის და მისი გენერალური ხაზის წინააღმდეგ. ბაქოს კომიტეტის პლენუმის რეზოლიუციის ეს ადგილი მემარჯვენეებთან ბრძოლას აქცევს მემარჯვენე ოპორტუნისტული მოთქმა-მოთქმის წინააღმდეგ ბრძოლამდე, ე. ი. არსებითად აფუჩებს მემარჯვენე გადახრის, როგორც შეხედულებათა იმ სისტემის, წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც პარტიის წინააღმდეგ არის მიმართული და დაუფარავად ხდის საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებში ყოფნას.

შემდეგ, არ არის სწორი ის, რომ „მემარცხენე" გადახვევები საფრთხეა. ცნობილია, რომ ტროცკისტების იდეური და ორგანიზაციული დამარცხების შემდეგ ახლანდელ ეტაპზე მთავარ საფრთხეს მემარჯვენე გადახრა წარმოადგენს. მაგრამ ახლანდელი პერიოდის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „მემარცხენე" გადახვევები ნიადაგს უქმნიან მემარჯვენე უკლონისტებს პარტიისა და პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„პარტიული ხელმძღვანელობის სახელის გატეხა, — ამბობს ამხ. სტალინი, — სწორედ ის ელემენტარული საფუძველია, რომლის ბაზაზედაც შეიძლება გაჩაღდეს ბრძოლა მემარჯვენე უკლონისტებისა" („გადახვევები და მათი შეცდომები და გამრუდებანი"). რომ წარმატებით წავიდეს ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, საჭიროა „მემარცხენე" გადახვევების შეცდომების დაძლევა. „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა ამაგრებს პარტიის პოზიციას მემარჯვენეებთან ბრძოლაში. „ახლანდელი მომენტის თავისებურება, — ამბობს ამხ. სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ „მემარცხენე" გადახვევების შეცდომებთან ბრძოლა ჩვენთვის წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის პირობას და თავისებურ ფორმას. მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ „მემარცხენე" გადახვევა და მემარჯვენე გადახრა ორივე მთავარი საფრთხეა და რომ ამ მოსაზრებით ორივეს „ერთნაირი ფასი აქვს". ორ ფრონტზე ბრძოლის პრობლემის ამნაირად დასმა ახლანდელ ეტაპზე სწორ გზას ვერ აძლევს ორგანიზაციას ამ ბრძოლის საკითხებში.

მეორე — გაურკვეველია და, მაშასადამე, სწორი არ არის რეზოლიუციის შემდეგი ადგილი: „ახლანდელ პერიოდში პარტიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს... კულაკობის წინააღმდეგ ყოველმხრივი ბრძოლა, მისი ექსპლოატატორული მისწრაფებების შეზღუდვის, როგორც კლასის, ლიკვიდაციამდე მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში". სოფლად პარტიის ლოზუნგის ასე ჩამოყალიბება იმას ნიშნავს, რომ მთავარ ლოზუნგს წარმოადგენს არა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია, არამედ მისი ექსპლოატატორული მისწრაფებების შეზღუდვა. ეს მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ამოცანას ჩვენს ქვეყანაში ცოტად თუ ბევრად შორეულ პერიოდისათვის სდებს, მაგრამ პარტიის ამოცანის ასეთი ჩამოყალიბება არ ეთანხმება მის გზას. კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგი ჩვენს ქვეყანაში მთავარ ლოზუნგს წარმოადგენს (არა-მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში, კერძოდ აზერბეიჯანში, მოქმედებს შეზღუდვის ლოზუნგი, როგორც მთავარი ლოზუნგის ქვემდებარე).

საშუალო გლეხობის წინააღმდეგ მიმართული გადახვევების გადამჭრელი ლიკვიდაციით და საშუალო გლეხობასთან კავშირის უფრო მეტად განმტკიცებით პარტია უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობის კიდევ უფრო წარმატებით კოლექტივიზაციას, უფრო წარმატებით და ნამდვილად შეტევას ჩვენი მტრების წინააღმდეგ. „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს მთელი იმ შეუდრეკლობით და თანმიმდევრობით, როგორც კი შეუძლიათ ბოლშევიკებს" (სტალინი). პარტიის მთავარი ლოზუნგის ჩამოყალიბება იმ სახით, როგორც იგი რეზოლიუციაშია მოცემული, ნიშნავს მის შეკვეცას, წარმოადგენს მემარჯვენეობის სხვა „უკიდურესობას" და წყალს ასხამს მემარჯვენეებისა და „მემარცხენეების" წისქვილზე, ამაგრებს მათ თეზისებს „უკან დახევისა" და სხვათა შესახებ.

დასასრულ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს პლენუმის რეზოლიუციამ არ აღნიშნა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ბაქოს კომიტეტის ისეთი შეცდომა, როგორიც არის კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგის შეცვლა ახალი ბურჟუაზიის ლიკვიდაციის ლოზუნგით, რასაც ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს ორგანიზაციის უჯრედებისადმი მიმართულ წერილში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ამოცანების შესახებ. ამ შეცდომის აღნიშვნა, ჯერ ერთი, იმით არის საყურადღებო, რომ ამ მხრივ აზერბეიჯანის ცალკე ადგილებში დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომები, მეორეც იმიტომ, რომ ამ შეცდომაზე უნდა აღზრდილიყო პარტიული მასები ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობის უფრო მეტი განმტკიცების მიზნით.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის პლენუმი სრულიად სამართლიანად „მოითხოვს ბაქოს ორგანიზაციისაგან გაბედული და სასტიკი ბოლშევიკური თვითკრიტიკის უფრო მეტად გაშლას". ამ მოთხოვნის შესრულების უზრუნველსაყოფად, სხვა მრავალის გარდა, საჭიროა საკუთარი შეცდომების ბოლომდე აღიარება. კერძოდ, საჭიროა ბაქოს კომიტეტის პლენუმის იმ უკანასკნელი რეზოლიუციის გაურკვეველი და შემცდარი დებულებების გასწორება, რომლის დანიშნულებაც არის — უფრო მეტად დარაზმოს პარტიული ორგანიზაციები ადგილობრივი და აგრეთვე ცენტრალური ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების ირგვლივ პარტიის გენერალური ხაზისათვის და პარტიის შიგნით ყოველგვარი გადახვევების, გადახრების, ჯგუფების და დაჯგუფებების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ზეინალოვი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილ. ორგანიზაციის ქალ. რაიონის

მე-12 რაიონული პარტკონფერენცია

გაიხსნება 13 მაისს, საღამოს 6 საათზე, მბეჭდავთა კლუბში

(კომინტერნის ქ. № 5)

დღის წესრიგი:

1. საქ კ პ. (ბ) ც. კ-ის მოხსენება საქ. კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ.
2. რაიკომის საანგარიშო მოხსენება.
3. არჩევნები.

ბრძოლა კოლმეურნეობებისათვის სოფლად

ჩვენი სოფელი განიცდის დღეს უდიდესს, ჯერ არ ნახული და არ გაგონილი ერთ და იმავე დროს რღვევის და შენების პროცესს. ირღვევა და ისპობა **ძველი,** საუკუნოებისაგან და ათასეული წლებისაგან ნაანდერძევი წესები, ზნე - ჩვეულებები და ტრადიციები და შენდება **ახალი,** ეყრება მკვიდრი ნამდვილი საფუძველი ადამიანთა საზოგადოების ახალ წყობილებას, რომელსაც **სოციალიზმი** ეწოდება. ასეთი ღრმა პროცესი შეუძლებელია ტარდებოდეს უდიდესი შეხლა - შემოხლის და გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე. შეუძლებელია ტარდებოდეს უდიდეს მსხვერპლთა გაუღებლად. დადებითი და უარყოფითი ერთმანეთს ხვდებიან და იწვევენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეტაკებებს და ბრძოლებს. ასეთ პირობებში ვითარდება **კოლმეურნეობრივი მოძრაობა,** ე. ი. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ანუ წვრილ, კერძო გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება - შეკავშირება, იმათი შრომის იარაღების განსაზოგადოებრივობა საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის მიზნით.

ბევრს ეს მოძრაობა — პროცესი ეჩვენება უტოპიად, განუხორციელებელ ოცნებად: სად წვრილი მესაკუთრე გლეხი თავისი წვრილი — ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით და სულისკვეთებით და სად შრომის იარაღების განსაზოგადოებრივობა და საზოგადოებრივი წარმოების მოწყობა! სად ჩამორჩენილი და უკულტურო სოფელი და სად სოციალიზმი თავისი უმაღლესი ტეხნიკით და კულტურით — შეიძლება დაგვეკითხონ ჩვენ. და ბევრს მართლაც გონია, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარებით და ამასთან დაკავშირებით მრავალ შეცდომების და პარტიული **ხაზის** გადამახინჯებების წყალობით ჩვენ უკან დავიხიეთ, არა თუ წინ წავედით. ასე ფიქრი იქნებოდა უკიდურესი **მემარჯვენეობა,** პარტიის პოლიტიკის უარყოფა სოფლის მეურნეობაში. ამ მიმდინარეობის მომხრეებს გონიათ, რომ სოფლის მეურნეობაში სოციალიზმის განხორციელება შეიძლება მოხდეს მხოლოდ თანდათანი, ნელი განვითარების, ანუ მშვიდობიანი ევოლიუციის გზით. იმათი აზრით, ამასთან ერთად მოხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაც, რომლებიც მშვიდობიანათ შეეზრდებიან სოციალიზმს. მაგრამ ეს ხალხი არა თუ ცდება, არამედ ისინი სცილდებიან მარქსის და ლენინის თეორიას, ისინი ნებით თუ უნებლიედ უარყოფენ პოლიტიკის მძლავრ გავლენას ეკონომიკაზე, რაზედაც გარკვევით ამბობდენ თავის დროზე როგორც **ფრ. ენგელსი, ისე ლენინი.** ისინი ივიწყებენ იმ ჭეშმარიტებასაც, რომ კლასობრივი ბრძოლის მოსპობა შეუძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ე. ი. მარტო ეკონომიური თუ კანონმდებლობითი ღონისძიებების საშუალებით, ყოველ შემთხვევაში ამისათვის საჭიროა არა ერთი ან ორი წელიწადი, არამედ მთელი ათეული წლები. და, მაშასადამე, საკმარისად ხანგრძლივი ვადის განმავლობაში პროლეტარიატის დიქტატურის დროს ჩვენ უნდა შეგვენარჩუნებია სოფლად როგორც კულაკობა, ისე მოჯამაგირეობა და ღარიბი გლეხ-კაცობა, მაგრამ რადგანაც მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია უმაღლეს საფუძველზე აუცილებლად უნდა დაჩქარდეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, აქედან გამომდინარეობდა პარტიის პოლიტიკა სოფლის მეურნეობაში სოციალისტური **სექტორის ზრდის დასაჩქარებლად.** ამ მხრით განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ გასული წლის ნოემბრის თვეში მომხდარი საკავშირო კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის პლენუმის დადგენილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. ეს დადგენილება თხოულობდა კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარებას და ამასთანავე ზოგიერთ რაიონების 1930 წლის გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით **მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლას.**

ეს სწორი **გეზი იყო.** მაგრამ, როგორც გამოაშკარავდა შემდეგში, ეს სავსებით სწორი გეზი ბევრ ალაგას და ბევრ ორგანიზაციების მიერ არა სწორად იქნა გაგებული, და, მაშასადამე, ცხოვრებაშიაც არა სწორად გატარებული. ჯერ ერთი ის, რომ ისეთმა რაიონებმა (მაზრებმა, ოლქებმა) მოინდომეს მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა (ტფილისის, კახეთის ოლქები, ზუგდიდის და სენაკის მაზრების ზოგიერთი რაიონები და სხვ.), სადაც ამისათვის პირობები თითქმის სრულებით არ იყო მომზადებული. მეორეც ის, რომ გეგმით გათვალისწინებულ 20-30 პროც. მაგიერ მოინდომეს მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება არა თუ 50, 60 და 70 პროც., არამედ 80-90 პროც. და კიდევ მეტიც. როგორც იცით, ეს „თავბრუდახვევა" ჩქარა გათავდა, გლეხობამ იწყო გამოსვლა კოლექტივებიდან და ნაცვლად 80-90 პროცენტისა ჩვენ მივიღეთ დაახლოებით 15-20 პროც., ალაგ-ალაგ კიდევ ამაზე ნაკლებიც. და სწორედ ამ გარემოებამ აფიქრებინა ზოგიერთებს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის იდეაც კი სამუდამოთ თუ არა, დროებით მაინც დამარცხდაო. მაგრამ ეს ამხანაგები თავის დასკვნის გამოყვანაში მეტისმეტად აჩქარდენ. მე შევეცდები აქ ამის დამტკიცებას.

როცა გლეხობის უმრავლესობა კოლექტივებიდან გავიდა და იქ შედარებით უმცირესობა დარჩა, კულაკებმა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებმა, რომლებიც კოლექტივიზაციის შეურიგებელი მტრები იყვნენ და არიან, ისარგებლეს რა ამ შემთხვევით, განიზრახეს დარჩენილი კოლექტივების დაშლაც და იმათი სრულიად მოსპობა. ამნაირად ამ უკანასკნელ დროს ჩვენ შევიქნენით მოწამენი უსასტიკესი და გააფთრებული ბრძოლისა, რომელიც მიმართულია სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრძოლა ახლა არ დაწყებულა. ახლა მან მიიღო მხოლოდ უფრო მწვავე ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლამ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ განვლო დაახლოებით **სამი ხანა,** ანუ **სამი ეტაპი.** პირველ ხანებში კულაკები აშკარად არ ებრძოდენ კოლმეურნეობებს და ეს აიხსნება იმით, რომ იმ დროს კოლმეურნეობრივი მოძრაობა არა თუ ჩვენში, არამედ საბჭოთა რუსეთში და უკრაინაშიაც შედარებით ჯერ კიდევ მეტად სუსტი იყო. კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები ამ ხანებში ხმარობდენ სხვადასხვა ოინებს კოლექტივების წინააღმდეგ, ხშირად თითონ ისინი აღგენდენ ცრუ-კოლექტივებს და ამ გზით სცდილობდენ ღარიბი გლეხობის თვალში კოლექტივებისათვის სახელი გაეტეხათ; მაგრამ კულაკების ყველა ასეთ ოინებს ფარდა ეხდებოდა, და კოლმეურნეობრივი მოძრაობა სულ უფრო იკიდებდა ფეხს. მაშინ კულაკებმა ტაქტიკა შესცვალეს და იწყეს სხვადასხვა ტერორისტული აქტების მოწყობა კოლექტივების წევრების წინააღმდეგ და აგრეთვე კოლექტივების ქონების განადგურება-მოსპობა. საბჭოთა ხელისუფლებამ უპასუხა ამაზე სოციალური თავდაცვის უმაღლესი ზომით — დახვრეტით. მაგრამ ამით კულაკების ბრძოლა კოლექტივების წინააღმდეგ არ შენელებულა, ხოლო მთლიანი კოლექტივიზაციაზე გადასვლის ხანაში (მესამე ეტაპი) ეს ბრძოლა, როგორც ზევით იყო ნათქვამი, უკიდურესად გამწვავდა და ალაგ - ალაგ მან აშკარა ბანდიტური თავდასხმების ხასიათი მიიღო.

როგორც ვიცით, მთლიანი კოლექტივიზაციის დროს, კულაკობა ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა, რათა კოლექტივებში შემძვრალიყვნენ, მაგრამ როცა მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება ნაადრევი დარჩა, კულაკებმა გადასწყვიტეს იმ კოლექტივების დაშლაც კი, რომლებიც მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლამდი არსებობდენ და მუშაობდენ. და როცა კოლექტივების წევრები მათ ამაზე ვერ დაითანხმეს, კულაკებმა გადასწყვიტეს თავის განზრახვის სისრულეში მოყვანა **ძალით.** ამ მიზნით კულაკობა დაირაზმა, მან მოახერხა პროვოკაციის და სიცრუის საშუალებით თავის ბრძოლაში კოლექტივის წინააღმდეგ ჩაეთრია აგრეთვე საშუალო გლეხობის და წარმოიდგინეთ ალაგ-ალაგ ღარიბი გლეხობის ყველაზე უფრო შეუგნებელი ნაწილიც კი. რა თქმა უნდა, კულაკებს თავიდანვე გვერდში ამოუდგენ ყველა ისინი, ვინც საბჭოთა წესწყობილების, ე. ი. მუშათა და გლეხთა ხელისუფლების, შეურიგებელი მტერია; თავისთავად იგულისხმება, რომ პირველ რიგში კულაკების საქმე თავს იდვეს მენშევიკებმა, რომლებიც აქაიქ კიდევ არიან დარჩენილი ჩვენში, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები. საერთოდ კულაკების აქტივობამ, როგორც ვთქვით, ერთ დროს პირდაპირ ბანდიტური თავდასხმათი ხასიათი მიიღო კოლექტივების გამგეობებზე და იმათ წევრებზე (ბორჩალოს რაიონი, კახეთის ოლქი და ხმათა ხასიათი მიიღო კოლექტივების [illegible]რების მოკვლასაც, იმათ ქონების გადაწვას და სხვ. კულაკები შეეცადნენ პანიკა შეექმნათ კოლექტივების წევრებში, განსაკუთრებით იმათ ოჯახებში, ცოლებში, დებში და დედებში. ყველა ამათ ემუქრებოდენ დახოცვით, თუ არ დაანებებდენ თავს კოლექტივებს. უგზავნიდენ უსახელო წერილებს მუქარით და აშკარა მუქარასაც არ ერიდებოდენ. კულაკების აგენტები დადიოდენ ღამ - ღამობით და აშინებდენ კოლექტივების წევრებს. იყო შემთხვევები (ქუთაისის ოლქი, სოფ. დიდი ჯიხაიში, გეგუთი და სხვ.), როცა თავისი მუქარა იმათ სისრულეშიც მოიყვანეს (დაწვეს კოლექტივების წევრების შენობები, სახლები, საბძლები და სხვ.). აი რა ძალდატანებას ახდენდენ კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები კოლექტივებზე და იმათ წევრებზე. ეს უკანასკნელები დაყენებული იყვნენ, ალაგ-ალაგ მაინც, პირდაპირ ტერორის ქვეშ. იმათ ეშინოდათ სამუშაოზე გასვლა, ეშინოდათ ღამე სიარული და ასე წარმოიდგინეთ სახლში დაძინებაც კი.

მიუხედავად ასეთი აუტანელი მდგომარეობისა, მიუხედავად იმ ტერორისა, რომელსაც ქმნიდენ სოფლად კულაკები და იმათი აგენტები — მენშევიკები კოლექტივების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელებმა მაინც გაუძლეს ყოველივე ამას. კოლექტივებმა მოიგერიეს კულაკების იერიშები, კოლექტივებმა გასცეს შესაფერი პასუხი კულაკების თავდასხმებს, ერთი სიტყვით ისინი არ მოერიდენ არავითარ მსხვერპლს, სიკვდილსაც კი, ოღონდ კი კოლექტივების არსებობა დაეცვათ. და ეს მოიმოქმედეს მათ თავისი საკუთარი შედარებით მეტად სუსტი ძალებით. ასე დაიცვეს კოლექტივებმა თავისი ფიზიკური არსებობა კულაკების ბანდიტურ შემოტევის დროს. შემდეგ, როცა კულაკები და მათი აგენტები — მენშევიკები დარწმუნდნენ იმაში, რომ ძალით კოლექტივების წინააღმდეგ ვერას გახდებოდენ, მათ სხვა ხერხს მიმართეს. ახლა იმათ განიზრახეს კოლექტივების დაშლა შიგნიდან. როცა ძველ პროვოკაციულ ჭორებს (100 მეტრიანი საბნები, ბავშების ვალებში გაყიდვა საზღვარგარეთ, მოხუცებულების დახოცვა საპნის გასაკეთებლად და სხვ. და სხვ.), ფარდა მოეხადა, სხვა პროვოკაციები შეთხზეს: 1) კოლექტივები იმიტომ უნდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომ მთელი იმათი ნაშრომი თითონ მიითვისოს, 2) კოლექტივების წევრები იძულებული იქნებიან რიგებში ჩადგენ და თავიანთი წილი მოსავლიდან გირვანქობით მიიღონ, 3) კოლექტივების წევრებს ხარივით ამუშავებენ, რისთვისაც მათ უნიშნავენ რაღაც უმნიშვნელო ხელფასსო და სხვა და სხვა. ასეთი საზიზღარი პროვოკაციის საშუალებით ჩვენი მტრები ფიქრობენ კოლექტივების წევრებზე გავლენის მოხდენას, იმათში უნდობლობის გამოწვევას უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, კოლექტივიზაციას რომ თავი დაანებონ. და მიუხედავათ იმისა, რომ კოლექტივები ამ ჟამად დიდ გაჭირვებაში იმყოფებიან ნივთიერად, მიუხედავად იმისა, რომ იმათი წევრები ხშირად სიმშილსაც კი განიცდიან, რადგანაც ჯერ იმათ შემოსავალი არსაიდან აქვთ და იმავე დროს დიდ მუშაობას ეწევიან, — ერთისიტყვით მიუხედავად ყველა ამ გაჭირვებათა და დაბრკოლებათა, კოლექტივის წევრებმა, შეიძლება ითქვას, სულ მცირე გამონაკლისის გარდა, **გამოიჩინეს უდიდესი სიმტკიცე და რწმენა კოლექტივების მიმართ.** ამ მხრით ეს ხანა იყო უდიდესი გამოცდა ჩვენი კოლექტივებისათვის. და შეიძლება ითქვას, რომ ისინი გამარჯვებული გამოვიდენ ამ გამოცდიდან. თუ მათ შეინარჩუნეს თავისი არსებობა ასეთ კრიტიკულ მომენტში, ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ჩვენში თავისთავად სრულიად ჯანსაღი და სასიცოცხლო მოვლენაა, რომ თუ მან ასეთ მძიმე პირობებს გაუძლო და იმავე დროს გაუმკლავდა თავის მოსისხლე მტრებს, ახლო მომავალში მისი განვითარება სავსებით უზრუნველყოფილია.

დღეს ჩვენ სოფელში მეტად საინტერესო ამბები ხდება. არასოდეს სოფელი და სოფლის ცხოვრება **არ შენძრეულა ისე ღრმად,** როგორც ამ უკანასკნელ დროს. **დღევანდელი სოფელი სოციალისტური პროლეტარიატის უშუალო და ძლიერი ზეგავლენის მეოხებით ისწრაფვის სოციალიზმისაკენ.** კოლექტივიზაცია შეიქმნა იმ მამოძრავებელ ძალად, რომელსაც თანამედროვე სოფელი მოყავს მოძრაობაში, რომელიც აღფრთოვანებს მშრომელ გლეხკაცობას და რომელიც იმავე დროს წარმოადგენს უძლიერეს ფაქტორს ჩვენ ჩამორჩენილ სოფელში უმაღლესი ტეხნიკის და კულტურის შეტანისათვის.

ყოველივე კარგი, ყოველივე პროგრესიული და კულტურული, რაც კი ვრცელდება დღეს სოფელში, ვრცელდება კოლექტივების საშუალებით, იმათი ენერგიული მუშაობით და მეცადინეობით. კოლექტივები დგანან წინა რიგებში. თესვა, ახალი კულტურების შემოღება, ახალი იარაღ-მანქანები, — ეს ყოველივე უპირველეს ყოვლისა კოლექტივების საქმეა, ყოველივე ამას ისინი უძღვებიან და მიუთითებენ. ეს ასეც უნდა იყოს. ეს მათ ბევრს რამეს ავალებს. სრულიად დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ კოლექტივები ყველა იმ დავალიბებს, რომლებიც მათ დაკისრებული აქვთ, პირნათლად შეასრულებენ. და მაშინ ის შეუპოვარი და სასტიკი ბრძოლა, რომელიც დღეს სწარმოებს კოლმეურნეობებსა და კულაკებს შორის, სოფლის მეურნეობის სრული კოლექტივიზაციის სასარგებლოდ დამთავრდება სულ უახლოეს მომავალში.

ფ. მახარაძე.

სოციალისტური შეჯიბრება

შრომის დისციპლინის განმტკიცება საწარმოებში აუცილებელი პირობაა

პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თვითღირებულების შესამცირებლად და დამკვრელობის კიდევ უფრო გასაფართოებლად

საწარმოო დისციპლინა ა.-კ. რკ. გზაზე მოისუსტებს.— სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში შრომის ნაყოფიერება იზრდება პროდუქციის ხარისხის ხარჯზე

რა უშლის ხელს

შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულებას

საწარმოების ნედლი მასალით მომარაგება და მისი რაციონალურად გამოყენება ერთი მთავარი და აუცილებელი საშუალებათაგანია სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესასრულებლად. ნედლი მასალის სიმცირე და მისი არა თავის დროზე მიწოდება საწარმოებისადმი იწვევს არა მარტო დღიური საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას, არამედ ასუსტებს შრომის დისციპლინას და რაც მთავარია საწარმოებში ჰქმნის ერთგვარ არევდარევას და უგეგმიანობას. ძალიან ხშირად ნედლი მასალის უქონლობის გამო, მუშა, იმის მაგიერ, რომ იმყოფებოდეს თავის დაზგასთან და ელოდებოდეს სამუშაოს, მიდის წარმოებიდან. ეს მოვლენა კი, რასაკვირველია, ასუსტებს შრომის დისციპლინას.

გარდა ამისა ნედლი მასალის უქონლობა საწარმოებში იწვევს ცუდათ დგომას. ამ დგომაში მუშები მაინც ღებულობენ საშუალო ხელფასს. ეს ხელფასი კი მძიმე ტვირთად აწვება პროდუქციის თვითღირებულებას. შემცირების მაგიერ ვღებულობთ მის გადიდებას.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენს საწარმოებში? ცხადია, რომ ჩვენი წარმოება ნედლი მასალით უზრუნველყოფის მხრივ საერთოდ უკეთეს მდგომარეობაშია ვიდრე ის იყო წინად. ნედლი მასალის მიწოდების საქმე დღითი დღე უმჯობესდება, მაგრამ ცალკე, ზოგიერთი საწარმოები მაინც განიცდიან ნედლი მასალის სიმცირეს.

შეჯიბრების შემოწმების შედეგები გვიჩვენებს, რომ საწარმოების ნედლი მასალით უზრუნველყოფის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. არის შემთხვევები, როცა ნედლი მასალის უქონლობის გამო წარმოება რამოდენიმე საათით გაჩერებული ყოფილა. ასეთი მაგალითები ზოგიერთ საწარმოში თითქმის ყოველდღიურად მეორდება. ეს გარემოება ცხადია, რომ შეაფერხებს საფინანსო-სამრეწველო გეგმის შესრულებას. ასეთ მოვლენების ერთ მთავარ მიზეზად კი უნდა ჩაითვალოს ნედლი მასალის დამამზადებელ და სამეურნეო ორგანიზაციების ყოვლად დაუშვებელი უყურადღებობა ნედლი მასალის მომარაგების საკითხებისადმი. ბევრი სამეურნეო ორგანიზაციები ნედლი მასალის თავის დროზე მოუმარაგებლობას ხსნიან რაღაც „ობიექტიური“ დამოუკიდებელ მიზეზებით. ჩვენის გაგებით ეს, მათებური „ობიექტიური“ მიზეზები, არის ბიუროკრატიული მიდგომა აღნიშნულ საკითხისადმი.

ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ხშირად სამეურნეო ორგანოები, ერთი მეორეს შეჯიბრებაში გამოწვევის დროს, თავიანთი საწარმოების ნედლი მასალით მომარაგებას უყურადღებოდ სტოვებენ, პოლიტიკურ-სამეურნეო ხელშეკრულებაში არ შეაქვთ მუხლები, რომელიც დაავალდებულებს ადმინისტრაციას თავის დროზე მიაწოდოს მასალა საწარმოს. ამაში დავრწმუნდებით თუ საფუძვლიანად გავეცნობით შეჯიბრების შემოწმების შედეგებს.

ასეთი უყურადღებობას წარმოების ნედლი მასალით უზრუნველყოფის საკითხისადმი, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. პროფორგანოებმა სასტიკი ბრძოლა უნდა აწარმოონ ამ საკითხში ბიუროკრატიული საქციელის წინააღმდეგ. სამეურნეო ორგანოებმა სოც. შეჯიბრების მთავარ ობიექტათ უნდა დაისახონ საწარმოების ნედლი მასალით უზრუნველყოფა.

პროფმუშაკი.

გააუმჯობესეთ მდგომარეობა

ჭიათურაში, მე-17 და მე-13 ლავებში ჩამომტვრეულია ხის ძელები, რაც ბადებს უბედურ შემთხვევის საშიშროებას; მაღაროში ჰაერი იმდენად მძიმეა, რომ ზოგიერთ ლავებში ფანარიც არ ინთება. ჰაერის დასაგროვებლად ადმინისტრაციის მხრივ არავითარი ზომები არ არის მიღებული. სამთამადნო კავშირის ცეკას წევრმა, რომელიც ხელმძღვანელობს მუშათა ბრიგადას, წინადადება შეიტანა გაეკეთებინათ ჰაერის ჩასაშვები ბურღები, რაც ძალიან მცირე ხარჯებს საჭიროებს, მაგრამ წინადადება ტრესტმა არ მიიღო, რადგანაც ტრესტის აზრით მუშები მეორე მხარეს გავლენ და ჰაერი შევა მაღაროში. ამას კი მოუნდება თვეები.

№ 26 ქარხნის მუშებმა, საუბრის დროს განაცხადეს, რომ სამ თვეზე მეტი გაფუჭებული ყოფილა დიდი მანქანა-დიზელი, რისთვისაც მთელი ქარხნის მუშაობის სიმძიმე დააწვა პატარა მანქანა და თვით მუშებს. ეს გარემოება ძალზე ხელს უშლის დამკვრელობას და საწარმოო გეგმის შესრულებას. მიუხედავად მუშების მრავალი განცხადებისა და თხოვნისა, დიზელის შეკეთებას არაფერი ეშველა.

ივანე ნაზარბეგოვი.

კოლხელშეკრულებას ანგარიშს არ უწევენ

(ჭიათურა)

ჭიათურის ზოგიერთ სამრეწველო რაიონებში მუშახელის ნაწილობრივ შემცირებასთან დაკავშირებით, მუშების შერჩევა ძალიან სუსტად ჩატარდა; ზოგიერთ სამუშაოებიდან დაითხოვეს ენერგიული მუშები და ის აქტიურად მოსწავლე კომკავშირელი ახალგაზრდები, რომლებიც უფრო მეტს ზრუნავდნენ წარმოებაზე, შრომის ნაყოფიერების აწევაზე და თვითღირებულების შემცირებაზე.

რგანის სამრეწველო რაიონში მრავალი ათეული ენერგიული და აქტიური მუშა დაითხოვეს მაშინ, როდესაც წარმოებაში არიან დღეების გამცდენი სიმულიანტები და ისეთი მუშები, რომლებიც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მიმდინარეობის პერიოდში წარმოების მიტოვებას და სოფლად წასვლას ფიქრობდნენ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ერთნაირი პირობებში პ. კავშირის წევრებს არავითარ უპირატესობას არ აძლევდნენ წარმოებაში დარჩენის მხრივ. მუშებს, რომლებიც უბრალოდ იქნენ მოხსნილი, არავითარი გასასვლელი არ მისცეს, მაშინ როდესაც კოლხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გასასვლელი უნდა მიეცეს დათხოვნილ მუშებს. რას აკეთებს ადგილობრივი პროფორგანო? რატომ არ მიიღებს ზომებს შრომის კანონის დასაცავად?

ორი კავალერისტი.

ჩამოერთვათ დამკვრელობის სახელი

(ბათომი)

სოც.შეჯიბრების დათვალიერების თვითშემმოწმებელი ბრიგადების მუშაობა ბათომის თითქმის ყველა საწარმოებში დამთავრდა 20 აპრილისათვის. ზოგიერთ საწარმოებში,— თამბაქოს ფაბრიკა „ვოსტოკ“ და ბათომის რკინის გზის დეპო,—თვითშემმოწმებელი ბრიგადების მუშაობას უკვე ჯამი გაუკეთდა. ამ საწარმოების საწარმოო თათბირებზე დათვალიერების შედეგების დამტკიცებისას გამოაშკარავებულ იქნენ ის დამკვრელი ჯგუფები და ცალკე დამკვრელები, რომლებმაც ვერ გაამართლეს დამკვრელობის სახელწოდება. ასე, თამბაქოს ფაბრიკა „ვოსტოკ“-ში დამკვრელების სახელწოდება ჩამოერთვა კომკავშირელთა ჯგუფს (6 კაცი), რომელმაც ვერ შესძლო სამუშაოს გაცდენის და სამუშაოზე დაგვიანების აღმოფხვრა.

საუკეთესო დამკვრელები და დამკვრელი ცეხები დაჯილდოებულ იქნენ. თამბაქოს ფაბრიკაში საუკეთესო დამკვრელ მუშაობისათვის მუდმივი ჯილდო მიიღო დამწებებელმა ცეხმა, იქვე დაჯილდოებულია 12 საუკეთესო დამკვრელი.

სოც.შეჯიბრების და დამკვრელობის დათვალიერების ჯამის გასაკეთებლად მოწვეულ საერთო კრებებზე დასწრება 100 პროცენტს უდრიდა. შედეგების განხილვის დროს მუშები ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

შეჯიბრების შედეგები ა-კ. რკინისგზაზე

შრომის დისციპლინა

შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევის მაგალითები. — ლოთობას, სიზარმაცეს და სამუშაოზე გამოუცხადებლობას ბოლო არ ელება.

შრომის დისციპლინის საკითხი ამიერ-კავკ. რკინის გზაზე ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოთ მოწესრიგებული. მიუხედავად იმისა, რომ როგორც გზის ადმინისტრაციის, ისე პროფორგანიზაციების ყურადღების მთავარი ცენტრი მიმართული არის შრომის დისციპლინის განმტკიცებისაკენ, აქამდე სათანადო შედეგები შრომის დისციპლინათვის ბრძოლის საქმეში მიღწეული არ არის. დღესაც ვხვდებით გზაზე ამა თუ იმ აგენტების მიერ შრომის დისციპლინის უხეშად დარღვევის აღმაშფოთებელ შემთხვევებს. ხშირად ეს შემთხვევები პირდაპირ ბოროტმოქმედების სახეს ატარებენ და მავნებლობამდისაც კი მიდიან.

მუშაკების საქმისადმი გულგრილად და დაუდევრად მოპყრობა გზას აუარებელ ზარალს აყენებს. ზოგიერთ აგენტების პირდაპირ მტაცებლური მოპყობა სახალხო დოვლათისადმი ანგრევს და აჩანაგებს ჩვენს სატრანსპორტო მეურნეობას. ამის მაგალითები ბლომად მოიპოება.

დავიწყოთ სტალინისის კვანძიდან, რომელიც ამიერ-კავკ. რკინის გზის ყველაზე ძნელ საუღელტეხილო უბანს ემსახურება. სწორედ ამ უბნის განსაკუთრებით მძიმე პირობები გზის მუშაკებისაგან მოითხოვს საქმისადმი განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობას და მტკიცე რკინისებური დისციპლინის დაცვას, რადგან მატარებლების მოძრაობის სქემის ოდნავი დარღვევა ამ უბანზე აროთულებს მდგომარეობას და იწვევს შეფერხებას მთელი გზის მუშაობაში.

აი რას ვხედავთ ჩვენ სტალინისის უბანში. გზის აგენტების შორის სუსტ შრომის დისციპლინას, მათ უაღრეს დაუდევრობას, თავხედობას და ლოთობას, რომელიც დღითიდღე ვითარდება. ამ მხრივ განსაკუთრებით თავი აქვთ ნასახელები წევის და მოძრაობის დარგის მუშაკებს.

ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს გზის ტექნიკურ და კომერციულ მუშაობაზე. ვაგონების ბრუნვა მცირდება, მატარებლებისათვის ორთქლმავლების მიუცემლობის შემთხვევები მატულობს, მატულობს აგრეთვე მატარებლების გზაში დაგვიანების შემთხვევები და სხვ.

ხშირია მატარებლების სრულიად მოხსნის შემთხვევებიც და ამის მიზეზი აქამდე შეუსწავლელია.

ასეთი მდგომარეობა სადგ. სტალინისს გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს. იგი იქედება მატარებლის შემადგენლობებით.

აგენტების თავხედობა იქამდე მიდის, რომ მემანქანეები უარს ამბობენ ხოლმე მატარებლის წაყვანაზე. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 20 თებერვალს სადგ. მარელისში. მემანქანე რაზიდი გაჭირვეულდა და არ დაიძრა სადგურიდან. მისი „კაპრიზი“-ს გამო მატარებელმა 2 ს. და 35 წუთით დაიგვიანა. 5 მარტს კი იმავე რაზიდმა გააჩერა გზაში მატარებელი ჩამოვიდა ძირს ორთქლმავლიდან ავიდა მეორე ორთქლმავალზე, სცემა იქ მემანქანეს, ავიდა ისევ თავის ორთქლმავალზე და განაგრძო გზა. მატარებელი გაჩერებული იყო 17 წუთის განმავლობაში.

მემანქანეების მხრივ ადგილი აქვს კიდევ ასეთ დაუდევრობას: ისინი არ იღებენ წყალს ამისათვის მიჩნეულ სადგურებზე და ორთქლმავლებზე წყალის გამოლევის გამო ჩერდებიან გზაში, ან თუ კიდით იღებენ წყალის აღებას, ამას ანდომებენ 20-25 წუთს.

ან კიდევ ასეთი შემთხვევა: სტალინისში გამზადებული იყო გასაგზავნად მატარებელი. იგი უნდა წასულიყო 11 საათზე და 27 წუთზე, ორთქლმავალი მიება 11 ს. და 53 წუთზე. როდესაც მატარებელი დაიძრა, მეისრემ მას უჩვენა გაჩერების ნიშანი. მატარებელი დადგა. შეკითხვაზე, თუ რატომ გააჩერა მატარებელი, მეისრემ უპასუხა—„მე ნიშანი სხვა მატარებელს უჩვენე და არა თქვენ“-ო. ამგვარად მატარებელი გაჩერდა რამოდენიმე ზედმეტ წუთს.

გზაზე ხშირი იყო ცისტერნების გაჩერების შემთხვევები. ეს აფერხებდა ნავთის გადაზიდვას. გამოიცა განკარგულება, რომ დაუშვებელია ცისტერნების გაჩერება. ჩააცივდნენ ამ განკარგულებას. ცისტერნების გაჩერება მოისპო, მაგრამ მის მაგიერად ეხლა აჩერებენ საქონლის ვაგონებს. ზოგიერთ სადგურებში ვაგონების მთელი შემადგენლობა არის ხოლმე გაჩერებული. თუ წინად ცისტერნების გაჩერება აფერხებდა ნავთის გადაზიდვას, ეხლა ვაგონების გაჩერება იწვევს მშრალი ტვირთების გადაზიდვის შეფერხებას.

ასე, რომ მდგომარეობა თითქოს არ შეცვლილა ერთი საქმის გაუმჯობესების ხარჯზე გაუარესდა მეორე საქმე.

ზოგიერთი აგენტის დაუდევრობა, რომ შავეელობამდე და მტაცებლობამდე მიდის ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ აი ოთხი თვის განმავლობაში 44 ორთქლმავალი გამოირიცხა რიგებიდან. იმის მაგიერ, რომ ავადმყოფ ორთქლმავლების რიცხვი შემცირებულიყო, იგი პირიქით, უფრო გადიდდა. უნდა ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის საწვავ მასალის ეკონომიისათვის მემანქანეებისათვის ჯილდოს მიცემის წესის არსებობა. იმისათვის, რომ ამ სახით რამოდენიმე ზედმეტი მანეთი აიღონ, მემანქანეები პირდაპირ ანგრევენ საორთქლმავლო მეურნეობას. ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მანქანას და მის ნაწილებს. მათიდამი უყურადღებოთ მოპყრობა იქამდე აღწევს, რომ ბევრ ორთქლმავლებზე შეხვდებით დაჟანგებულ ნაწილებს, რომელთაც არავინ სწმენდს.

მემანქანეები ხშირად განზრახ აწვდიან არასწორ ცნობებს ადმინისტრაციას საწვავ მასალის მომჭირნეობის შესახებ იმ მოსაზრებით, რომ ჯილდო მიიღონ.

ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მემანქანეები ერთმანეთს ატყუებენ, ორთქლმავალში მაზუთის მაგიერ უსხამენ ერთმანეთს წყალს და წყალის მაგიერ მაზუთს. შედეგი ამისა არის ორთქლმავლის გაფუჭება და მოძრაობის ჩაშლა.

ლოთობა, ხომ პირდაპირ სტიქიურ მოვლენად არის გადაქცეული გზაზე. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ადმინისტრატიული წესით დაისაჯა 1.500 რკინისგზელი და აქედან უმეტესი ნაწილი—ლოთობისათვის. ლოთობენ ყველანი, როგორც მემანქანეები, ისე კონდუქტორები. ზოგჯერ მატარებელს მთლიანად მთვრალი ბრიგადები მიჰყვება. მემანქანეები ხანდისხან ისე თვრებიან, რომ მატარებლის წაყვანის თავი აღარ აქვთ.

სამსახურში გამოუცხადებლობასაც ხშირად აქვს ადგილი გზაზე.

უნდა ითქვას, რომ ვერც გზის დამცველი რაზმი სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე; ისინიც გულგრილად ეკიდებიან მათზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგალითად, ბაქოს უბანზე ბოროტგანმზრახველებს მოქმედების ფართო შესაძლებლობას უქმნის. ისინი თავისუფლად ახერხებენ ვაგონების გატეხას, ორთქლმავლებიდან ნაწილების მოხსნას და სხვ. მცველების უყურადღებობით არის გამოწვეული, რომ ბაქოში მოწაფეთა ვაგონი მაწანწალების თავშესაფარად არის გადაქცეული.

სტალინის სახელობის ქარხანა ორთქლმავლებს შეკეთების საძაგელი ხარისხით უშვებს. მან ამ რამოდენიმე ხნის წინ გამოუშვა ორი კაპიტალურად შეკეთებული ორთქლმავალი. ორთქლმავლებმა იმუშავეს ორი კვირა, გაფუჭდნენ და გააგზავნეს ისევ ქარხანაში; მათი ხელმეორედ შეკეთებისათვის საჭირო აღმოჩნდა ხანგრძლივი დრო. მეორე ორი ორთქმავალი, რომელიც გამოუშვეს საშუალო შეკეთებიდან, არსებითად შეუკეთებელი აღმოჩნდნენ, მათ ცეცხლის მილები დახეთქილი ჰქონდათ და ქარხნის კარებს არ გამოსცილებიან, ისე დააბრუნეს უკან.

მრავალი მაგალითების მოყვანა შეიძლება კიდევ ამ ქარხნის სუსტი მუშაობის შესახებ, მაგრამ ესეც კმარა.

ყოველივე ამ ფაქტებს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ამიერ-კავკ. პროლეტარიატის ავანგარდის—რკინისგზელების ოჯახში ყოველივე რიგზე ვერ არის. რკინისგზელთა ოჯახი მდიდარია „მახინჯებით“. ისინი გარდა იმისა, რომ სახელს უტეხენ ამ ოჯახის წევრთ, ამასთანავე ხელს უშლიან მათ მუშაობაში, ანგრევენ ტრანსპორტს, ძირს უთხრიან ჩვენს სახალხო მეურნეობას, აფერხებენ სოციალისტურ მშენებლობის საქმეს.

ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. ყოველმა პატიოსანმა, მშრომელმა რკინისგზელმა მიზნად უნდა დაისახოს უდისციპლინო და „მახინჯი“ წევრების თავიდან მოშორება. მათ თვით უნდა წამოაყენონ საკითხი ულირსი წევრების თავიანთ რიგებში შემდგომი დატოვების შესახებ.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს შრომის დისციპლინის დამრღვევ, მტაცებლური სულისკვეთებით განსწვალულ, ლოთ და ზარმაც რკინისგზელებს.

ტონი

სამთო მრეწველობის განვითარების პერსპექტივები ამ.-კავკასიაში

საუბარი აკადემიკოს ალ. ფერსმანთან

თბილისში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის წევრი და ამავე აკადემიის ყველა გეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელი — აკადემიკოსი ალ. ფერსმანი. აკადემიკოსი ფერსმანი საქართველოში ჩამოვიდა არალითონური მადნეულობის ბუდობების დასათვალიერებლად და სამხრეთ-ოსეთში მომუშავე სამეცნიერო აკადემიის გეოლოგიური ექსპედიციის მუშაობასთან გასაცნობათ. აკადემიკოს ფერსმანთან ერთად ჩამოსულია სამეცნიერო აკადემიის მინერალოგიური მუზეუმის გამგე პროფ. ვლ. კრიჟანოვსკი.

ზევით: აკადემიკოსი ა. ე. ფერსმანი. ქვევით—პროფ. ვ. ი. კრიჟანოვსკი.

—.—

აკად. ფერსმანმა და პროფ. კრიჟანოვსკიმ დაათვალიერეს სამხრეთ-ოსეთის სამთამადნო სიმდიდრეთა ბუდობები და ძირულის მასივი, სადაც მოიპოება სხვადასხვა სახის არალითონური მადნეულობა.

ამიერ - კავკასიის და კერძოთ კი, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის პერსპექტივების შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში აკადემიკოსმა ფერსმანმა განაცხადა:

— ამიერ - კავკასიაში და განსაკუთრებით კი საქართველოში, უდიდესი მომავალი აქვს არალითონური მნიშვნელობის სამთამადნო მრეწველობას. საბჭ. კავშირში არალითონური მადნეულობის ბუდობებია — ამიერ-კავკასია და უკრაინა.

სამხრეთ - ოსეთისა და ძირულის რაიონის შემოვლის დროს მე დავრწმუნდი, რომ საქართველო წარმოადგენს არალითონური მადნეულობის მრეწველობის განვითარებისათვის სანიმუშო ქვეყანას. აქ მოიპოვებიან ყველა ის მადნეულობანი, რაზედაც ერთი მხრივ დიდი მოთხოვნილებაა, როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე და მეორეც — ასეთი რაოდენობით ეს მადნეულობა იშვიათად მოიპოება სხვა ქვეყნებში.

არალითონური მნიშვნელობის სამთამადნო მრეწველობის განსავითარებლათ საჭიროა არსებობდეს სამი პირობა:

კარგი გზები, იაფი მუშა-ხელი და ელექტრო-ენერგიის წყაროები. საერთოდ ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოშიაც გზების მხრივ ძალიან უნუგეშო მდგომარეობაა, მაგრამ არსებულ პირობებში მეტად ადვილი ხდება ამ საკითხის მოგვარებაც. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებათა არსებობის დროს, აქ ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება განვავითაროთ საავტომობილო გზების მშენებლობა. არც რკინისგზების და არც ჩვეულებრივი ფართო გზატკეცილების გაყვანა აქ საჭირო არაა. გზები უნდა იქნას გაყვანილი, რაც შეიძლება მეტი ეკონომიის დაცვით, ადგილობრივი გეოგრაფიული და კლიმატიური პირობების ზუსტი გათვალისწინებით და იმ ანგარიშით, რომ ახალ გზებზე მოძრაობა იაფი დაჯდეს. იაფი ელექტრო-ენერგიის წყაროებით და მუშა-ხელით ამიერ - კავკასია უზრუნველყოფილია და ამ მხრივ, სამთომადნო მრეწველობის განვითარებას არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობება.

არალითონური სამთომადნო მრეწველობის საფუძვლის ჩაყრა უნდა მოხდეს კომბინატის წესით. კომბინატის მოსაწყობათ, ჩემი შთაბეჭდილებებით, ყველაზე უფრო შესაფერისი რაიონია სამხრეთ - ოსეთი. აქ მოიპოება შესანიშნავი დეკორატიული გარეგნობის საექსპორტო მარმარილო, საექსპორტო ტალკი, ტუფის ბუდობები და ბევრი სხვა მადნეულობა. მინდვრის შპატების მარაგი და ბაზალტის მადნეულობის არსებობა საშუალებას იძლევა —კერამიკული მრეწველობისა და საიზოლიაციო მრეწველობის განსავითარებლათ. მარმარილოს, კირნარის ბუდობების, გაჯის და ტუფის მადნეულობის საფუძველზე — უნდა შეიქმნეს — საამშენებლო მასალათა საწარმოებლები. დარიშხანის და ნახშირმჟავის არსებობა საშუალებას გვაძლევს შევქმნათ ქიმიური მრეწველობა და აშკარად შესაძლებელი ხდება, მოეწყოს ყველა ამ სამთო სიმდიდრეთა სამრეწველო კომბინატი.

საქართველოდან წასვლის წინ მე შემიძლია განვაცხადო, რომ საბჭოთა კავშირში არალითონური მნიშვნელობის სამთამადნო მრეწველობის განსავითარებლად არსად არ არსებობს ისე ხელსაყრელი პირობები, როგორც სამხრეთ ოსეთში. მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს და ამიერ - კავკასიის დანარჩენი კუთხეებიც ამ მხრივ ბევრ შესაძლებლობას მოგვცემენ. მაგრამ ამის გამოსარკვევათ საჭიროა სათანადო წინასწარი გამოკვლევების ჩატარება.

მე გადაწყვეტილი მაქვს სათანადო ორგანოებში დავსვა საკითხი, რათა დაუყოვნებლივ იქნას დაწყებული არალითონური მადნეულობის საძიებელი სამუშაოები ამიერ - კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში.

მორიგი გამარჯვება

ტირიფონის არხის გახსნის გამო

ალაზნის არხის ოფიციალურ გახსნასთან დაკავშირებით 2 და 3 მაისს ჩატარდა ტირიფონის არხის გამოცდა, ამ მიზნით არხში გაშვებულ იქნა წყალი. დადასტურდა არხის ნაგებობათა სიმკვიდრე და გამოცდამაც დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო.

დღეს მოხდება ტირიფონის არხის საზეიმო გახსნა ორ პუნქტზე. აღნიშნული არხის სათავე გაშენებულია მდინარე ლიახვზე, ქ. ცხინვალის ხიდთან.

ტირიფონის არხი ერთ და იმავე დროს შესძლებს მის ირგვლივ მდებარე მიწების ორივე ნაპირის მორწყვას. პირველ რიგში ამ არხით მოირწყვება ტირიფონის ველის მარცხენა მხარე 26.000 ჰექტ. მიწა. მარჯვენა მხარის მორწყვა ჯერჯერობით მიმდინარეობს ძველებური სისტემით. სწარმოებს სათანადო პროექტის შედგენა არხის მარჯვენა მხარის რაციონალურად მორწყვისათვის.

მთავარ მაგისტრალურ არხში წყალი გაივლის 40 კილომეტრის სიგრძეზე. არხი მდინარე პატარა ლიახვზე და მეჯუდაზე გავლით — დიუკერებით და სიფონებით განმანაწილებელში უზრუნველყოფს ათი ათასი ჰექტარი მიწის ახალი ფართობის მორწყვას.

ტირიფონის არხის მშენებლობა დაიწყო 1923-24 წელში, პირველ წელს თანხების სიმცირის გამო სამუშაოები ხშირად ფერხდებოდა. მიუხედავად სიძნელეებისა და წარსულში ამ სამუშაოებზე დაშვებული შეცდომებისა, არხის გაყვანის დამთავრება უკვე მომხდარი ფაქტია.

აღნიშნულ არხზე შესაძლებელია გაშენდეს 2000 ცხენის ძალიანი ჰიდრო-ელექტრო სადგური, რაც სავსებით დააკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას.

მელიორაციის დარგში არხი უდიდეს როლს ითამაშებს ინტენსიური კულტურების ნათესების გაფართოებაში. ასე, მაგ.: გაიზრდება მებაღეობა 6.564 ჰექტარამდე, მევენახეობა 1800-მდე, მებოსტნეობა 417-მდე, ჭარხალი 3000 ჰექტარზე და სათიბი ბალახი—300 ჰექტარზე.

აღნიშნული კულტურების ინტენსიფიკაცია არხის საშუალებით გაიზრდება 8 მილიონ ნახევარი მანეთით.

ტირიფონის ველის საფუძვლიანად მორწყვის საქმე უკვე უზრუნველყოფილია. არხი ხელს შეუწყობს ტირიფონის ველზე ნათესების გადიდებას, მოსავლიანობის აწევას, ტექნიკური კულტურების განვითარებას და როგორც კოლექტივებს, ისე ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს მისცემს ტექნიკური რეკონსტრუქციით მიღწეულ უდიდეს სამეურნეო ეფექტს.

გ. გოგია.

ამხ. მარო ბოჭორიძის ხსოვნას

ამხ. მარო არალეგალურ მუშაობაში

9 მაისს, შუადღის 8 საათზე, ტრაგიკულად დაიღუპა ძველი ბოლშევიკური გვარდიის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აქტიური წევრი ამხ. მარო ბოჭორიძე (ჩიტოშვილი).

ამხ. მარო დაიბადა რევოლიუციონურ მშობლების ოჯახში, სადაც ის ბავშობიდანვე ეცნობოდა არალეგალურ მუშაობის პირობებს და იდეალებს. ჯერ კიდევ 19 წლის იყო ამხ. მარო, როცა მან აირჩია პროლეტარულ რევოლიუციონური ბრძოლის ერთად ერთი სწორი გზა: ის აქტიურად ჩაება ბოლშევიკურ ორგანიზაციის რიგებში და თავგამოდებით იბრძოდა პარტიის ინტერესებისათვის.

მოკლე წერილში ძნელია ამხ. მაროს რევოლიუციონური წარსულის სრული დახასიათება, მაგრამ ჩვენ მაინც დავასახელებთ რამოდენიმე ფაქტს.

1907 წ. ამხ. მაროს აქტიური მონაწილეობით მეტეხის ციხეში მოეწყო ხვრელი, რომლის საშუალებითაც ციხიდან უნდა გაექცათ რამოდენიმე პოლიტიკური პატიმარი და მათ შორის ამხ. მიხო ბოჭორიძეც (მაროს ძმა), მაგრამ ამხ. მიხოს გაუფრთხილებლობით ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ბოჭორიძე გაქცევის დროს დატუსაღებულ იქნა.

იმავე წელს ყოფ. ერევნის მოედანზე მომხდარ ექსპროპრიაციაში ამხ. კამოსთან ერთად ამხ. მაროც იღებს აქტიურ მონაწილეობას.

ამხ. მარო იმდენად გაბედული და შეუპოვარი მებრძოლი იყო, რომ მას ამხანაგები სიყვარულით ეძახოდნენ „გიჟი-ბიჭი მაროს“.

1908 წ. ამხ. მარო ამხ. სტალინთან და სხვებთან ერთად მიემგზავრება ბაქოში საიდუმლო პარტიულ დავალების შესასრულებლად.

1909 წ. ამხ. მარო სხვა ამხანაგებთან ერთად აწყობს ხვრელს გორის ხაზინის ქვეშ, საიდანაც უნდა გაეტანათ ფულები ორგანიზაციისათვის. მაგრამ აღმოჩნდა ჯაშუში, რომელმაც ამ საქმის ხელმძღვანელი მარო ბოჭორიძე გასცა. ამის გამო ამხ. მარომ 4 წელიწადზე მეტი დაჰყო ციხეში. კიდევ მრავალი ასეთი ფაქტების დასახელება შეიძლებოდა ამხ. მაროს რევოლიუციონური მოღვაწეობის დასახასიათებლად. მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ვიცოდეთ, ვინ დაკარგა ჩვენმა პარტიამ და ძველ ბოლშევიკურ გვარდიამ ამხ. მაროს სახით.

ამხ. მაროს — ხსოვნა წარუშლელი იქნება ჩვენი პარტიის ისტორიაში.

სერგო მეგრელიშვილი

თავდადებული რევოლიუციონერი ქალი

კიდევ ერთი საუკეთესო ამხანაგი გამოაკლდა ლენინურ ბოლშევიკურ პარტიას. ამხ. მაროს კარგად იცნობს ბოლშევიკების გვარდია.

პარტიის ძველ წევრებს კარგად ახსოვთ ის უდიდესი დახმარება, რომელსაც თავისი თავგანწირული რევოლიუციონური მუშაობით უწევდა ამხ. მარო ჩვენს ორგანიზაციებს. მოვიგონოთ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტი.

ეს იყო 1907 წელს ივნისში, როდესაც ამხ. კამოს ხელმძღვანელობით ერევნის მოედანზე გატაცებულ იქნა სახაზინო ფული. ამ დროს ამხ. მარო კამოსთან ერთად ეტლში იყო. მათ ამხ. ჭიაბერაშვილმა გადასცა გატაცებული 251.000 მანეთი, რომელიც შემდეგ ორგანიზაციამ მიიღო.

პარტიის დავალებით ქუთაისის ციხეში ეწყობა ხვრელი. ამხ. მარო ქირაობს სახლს ციხის მახლობლად და ამ სახლში, საიდანაც ითხრება ხვრელი, პოლიციის თვალის ასახვევად, აწყობს წინდების საქსოვ სახელოსნოს, ამ ხვრელით ციხეს თავი დააღწია ათეულ ამხანაგმა.

ამის შემდეგ ორგანიზაციისავე დავალებით გორში ეწყობა ხვრელი სახაზინო ფულის გასატაცებლად. ამ საქმესაც ხელმძღვანელობს ამხ. მარო. მაგრამ პოლიციამ ეს გაიგო და ამხ. მარო სხვებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა.

ამხ. მაროს მრავალი დამსახურება მიუძღვის, მაგრამ ის არასოდეს ამით თავს არ იქებდა. ის ყოველთვის განირჩეოდა თავდაბლობით და იშვიათი ამხანაგური გრძნობით.

მშვიდობით ყველასათვის საყვარელო, ამხანაგო მარო.

ს. ლომიძე.

ბიოგრაფიული ცნობები

მარო ბოჭორიძე იყო ღარიბი გლეხის შვილი და ცნობილი რევოლუციონერის მიხ. ბოჭორიძის და.

მარო დაიბადა 1885 წელს, ქ. თელავში, ის ჯერ კიდევ ბავში იყო, როცა განიმსჭვალა რევოლიუციონური მუშაობის სურვილით და 15 წლის მარო უკვე არალეგალურ მუშაობაში იღებს მონაწილეობას. მასში რევოლიუციონური გრძნობების გაღვივებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მიხა ბოჭორიძის ბინა იმ დროს წარმოადგენდა რევოლიუციონერების თავშესაფარს და ისეთ ადგილს, სადაც ხშირად იმართებოდა საიდუმლო კრებები. ამ კრებებში უმთავრესად მონაწილეობდენ ამხ. მიხა ცხაკაია, სოსო ჯუღაშვილი, (სტალინი), აბ. ენუქიძე, კრასინი, მიხ. ჩოდრიშვილი, ს. თოდრია, მ. ფილია, ვ. სტურუა და სხვ.

19 წლის მარო შეგნებულად მიემხრო ბოლშევიკურ ფრაქციას და თავდადებულად ასრულებდა პარტიის დავალებებს.

1907 წ. მაროს აქტიური მონაწილეობით ეწყობა მეტეხის ციხეში ხვრელი, საიდანაც უნდა გაეყვანათ რამდენიმე პოლიტიკური ტუსაღი, მათ შორის მაროს ძმა მიხა ბოჭორიძეც, მაგრამ ეს გეგმა სასურველად ვერ დაბოლოვდა.

იმავე წელში მარო, კამოსთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს 250.000 მანეთის გატაცებაში, რომელიც მოხდა ყოფ. ერევნის მოედანზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მაროს აქტიურობა და გაბედულობა ქუთაისის სატუსაღო ციხეში გვირაბის გასაყვანად წარმოებულ მუშაობაში. მარომ ციხის მახლობლად დაიქირავა ფანცხავაძის სახლი, სადაც მეფის აგენტებისათვის თვალის ასახვევად გახსნა წინდების სახელოსნო, ნამდვილად კი ამ სახლიდან ციხემდე სწარმოებდა გვირაბის გათხრა.

ეს გეგმა წარმატებით იქნა შესრულებული და გვირაბიდან დაუბრკოლებლად გაიქცა 40-მდე პოლიტიკური ტუსაღი, რომელთა უმრავლესობას ჩამოხრჩობა ჰქონდა გადაწყვეტილი.

1908 წელს ამხ. სტალინთან ერთად მარო მიემგზავრება ქ. ბაქოში სხვადასხვა საიდუმლო, პარტიულ დავალებების შესასრულებლად.

1909 წელს, პარტიის დავალებით, სხვა ამხანაგებთან ერთად მარო აქტიურ მონაწილეობას იღებდა გორის ხაზინის ქვეშ გვირაბის გაყვანაში, მაგრამ ეს საქმე ჯაშუშმა გასცა და მარო თვითმპყრობელობის ჯალათებმა დააპატიმრეს. გორის ციხეში 1 წლისა და 1 თვის პატიმრობის შემდეგ ის გადაჰყავთ მეტეხის ციხეში, სადაც მან დაჰყო 4 წელზე მეტი.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მარო აქტიურად იბრძოდა მენშევიკების წინააღმდეგ და ეწეოდა არალეგალურ, ბოლშევიკურ მუშაობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მარო ებმება სოციალისტურ აღმშენებლობაში, მარო ბოჭორიძე თავის თანამებრძოლ კამოსავით იმსხვერპლა ბრმა შემთხვევამ, 9 მაისს კომინტერნის ქუჩაზე ის გაიტანა ავტომობილმა.

დამკრძალავი კომისია

საქ. კ. პ. (ბ) ცეკამ გამოყო ამხ. მ. ბოჭორიძის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. სილია თოდრია (კომისიის თავმჯდომარე), სერგო მეგრელიშვილი, გ. სტურუა, ვ. ბოლქვაძე, ბ. მაჩაიძე, ლ. ლომიძე, პ. ურუშაძე.

სამშაბათს, 18 მაისს, საღ. 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს ბინაზე (რუსთაველის პრ. № 16) შედგება

თბილისის მუშკორთა და კედლის გაზეთების წარმომადგენლების საერთო კრება

დღის წესრიგი: მოხსენება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების გადარჩევების შესახებ.

მუშკორთა და კედლის გაზეთების წარმომადგენელთა დასწრება აუცილებელია.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

აჯანყება ინდოეთში. — მსოფლიო პროლეტარიატი გადამწყვეტ ბრძოლებისათვის ემზადება.— მორიგი ანტი-საბჭოთა ყალბი დოკუმენტები. — გონიერი ხმა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ.— პოლონელი პროვოკატორები არ ისვენებენ.

მთელი მსოფლიოს ყურადღება დღეს ინდოეთისაკენ არის მიქცეული. ინდოეთი აჯანყებათა ალში გახვეული. დასრულდა ინდოელ ნაციონალისტის ბელადის განდის კომედია, რომელსაც იგი „პასიური წინააღმდეგობის“ სახით თვეების განმავლობაში აწარმოებდა. განდის მიზანი იყო იმპერიალიზმისაგან ზოგიერთ დათმობათა მიღება ინდოეთის ბურჟუაზიის სასარგებლოდ და ამ ნიადაგზე ინგლისელ იმპერიალისტებთან შეთანხმება, რათა საერთო ძალ - ღონით გაეტეხათ ინდოეთის მშრომელი მასების რევოლიუციონური ნებისყოფა. განდის მეცადინეობა იქითკენ იყო მიმართული, რომ თავისი მოჩვენებითი „განმანთავისუფლებელი ბრძოლით“ მასები მიემხრო და გადაეცდინა ისინი ნამდვილი რევოლიუციონური ბრძოლის გზიდან. ამიტომ ითმენდა ინგლისის მთავრობა მის ჩხირკედელაობას, მის „ლაშქრობას“ მარილის მონოპოლიის წინააღმდეგ. მაგრამ განდის ასეთი გამცემლური ტაქტიკა სასტიკად დამარცხდა. მოძრაობამ გადალახა განდის მიერ დასახული ფარგლები და ის ფართო რევოლიუციონურ ბრძოლად გაიშალა.

განდი დაპატიმრებულ იქნა, რასაც იგი თურმე „კმაყოფილებით“ შეხვდა. რატომ? იმიტომ, რომ მის ძალღონეს უკვე აღემატება აზვირთებულ რევოლიუციონურ ტალღის უკუქცევა და ციხეში ჯდომით მას სურს შეინარჩუნოს „ეროვნული გმირის“ შარავანდედი, რომლითაც იგი მოსილია ზოგიერთ ფენების თვალში. ხოლო ინგლისის მთავრობა განდის დაპატიმრებით ეუბნება ინგლისის ბურჟუაზიას, რომ დროა თამაში შესწყვიტოს, რაკი ამან, თვით ამ ბურჟუაზიული სურვილის წინააღმდეგ, საშიში ხასიათი მიიღო როგორც მისთვის, ისე ინგლისის იმპერიალიზმისათვის. ინდოეთის საქმეთა მინისტრის ვედჟვუდ ბენის განცხადება, რომ განდი არ იქნება გასამართლებული და რომ მთავრობას განზრახვა ინდოეთის პარტიათა ლიდერების კონფერენციის მოწვევის შესახებ უცვლელი რჩება, მიუხედავად ყოველგვარი ამბებისა, ინდოეთის ნაციონალისტებს გზას უტოვებს „დაფიქრებისა“ და კაპიტულიაციისათვის.

ინდოეთის ბურჟუაზიის „მემარცხენე“ ნაწილი, მასების ზეგავლენით, აქა-იქ კიდევ ჩიმულობს „რევოლიუციონერობას“, რომ მოძრაობას სათავეში მოექცეს და თავისი მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, მას ზურგში ლახვარი ჩასცეს. მაგრამ რაც უფრო იშლება რევოლიუციონური ბრძოლა, მით უფრო სცილდება მას დამფრთხალი ბურჟუაზია, როგორც ეს ყველგან ხდება ხოლმე. გადამწყვეტ მომენტში ჩვენ ვიხილავთ ნაციონალისტებისა და ინგლისელ მოძალადეების მთლიან ფრონტს ინდოეთის მშრომელი მასების წინააღმდეგ. ასეთი მაგალითები ინდოეთში დღემდე არა ერთი და ორი ყოფილა.

ინდოეთის მშრომელ მასებს. რომელთა კლასიური შეგნება დიდათ გაიზარდა, ბურჟუაზიის მოჩვენებითი, „მემარცხენეობა“ ვერ დააბნევს. მთავარი დამახასიათებელი ინდოეთში დღეს გაჩაღებულ ბრძოლისათვის ის არის, რომ მის ხელმძღვანელად და აქტიურ ძალად მუშათა კლასი გამოდის. ის გადაჭრით უკუაგდებს განდისტების „პასიურ წინააღმდეგობის“ გზას და ბრძოლის ნამდვილ რევოლიუციონურ მეთოდებს მიმართავს. ამასთან, იგი იბრძვის როგორც იმპერიალისტურ მონობის, ისე „მშობლიური“ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ჩვენ ვხედავთ, მასიურ აჯანყებებს და სისხლის მღვრელ შეტაკებებს მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში. პეშევარში აჯანყებულებმა, რეგულიარულ ჯარებთან მკაცრ ბრძოლის შემდეგ, ხელთ იგდეს ძალაუფლება, რომელსაც ორი კვირის განმავლობაში ფლობდნენ, პეშევარის დასაბრუნებლად მთავრობა იძულებული გახდა იქ დიდ-ძალი დამხმარე ძალები გადაესროლა. თვით ოფიციალური ცნობით, „ოპერაციებში, რომელთა შედეგად ქალაქი დაპყრობილი იქნა მთავრობის ჯარების მიერ, მონაწილეობდნენ კავალერია, ქვევითი ნაწილები და საჰაერო ძალები“. აქედან ცხადია, თუ რა სერიოზული ხასიათი ქონდა აჯანყებას. მაგრამ ეს გამონაკლისი არ არის. დელიში (ინდოეთის დედა ქალაქი) მუშებმა მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია და ხელთ იგდეს მთავრობის შენობა. მათ წინააღმდეგ პოლიციასთან ერთად გამოყვანილ იქნენ ჯარები, რომლებმაც ტყვიები დაუშინეს მასებს (ბრძოლის ველზე დარჩა 300 კაცამდე მსხვერპლი). ბომბეიში მუშათა ასიათასიანი დემონსტრაცია თავს დაესხა პოლიციას. ქალ. შოლაპური (ბომბეის პროვინცია) ხელთ იგდეს აჯანყებულებმა. ასეთივე სურათს ვხედავთ ბევრ სხვა ადგილას. მუშების ბრძოლა, მიუხედავად მათ წინააღმდეგ ზარბაზნების ამეტყველებისა გრძელდება.

ამავე დროს მოძრაობა მოედო გლეხობასაც. ბომბეის, ბენგალიის, ჩრდილოეთ დასავლეთის სანაპირო რაიონებსა და სხვა პროვინციებში ჩვენ მოწმენი ვართ გლეხთა შეიარაღებულ რაზმების შექმნისა და მათი შეტაკებებისა პოლიციასა და ჯარებთან. მაგ., 800 კაციდან შემდგარმა გლეხთა რაზმმა ერთ ადგილას ხელთ იგდო რკინის გზის სადგური და პოლიციის სამმართველო. ასეთი ფაქტები ბევრია.

ინგლისის „მუშათა“ მთავრობა, რომელიც ცხოველ გუშაგად უდგას იმპერიალიზმის ინტერესებს, სისხლის მორევში ახრჩობს თავისუფლებისათვის მებრძოლ ინდოეთის (ისე, როგორც სხვა დამონებულ ქვეყნების) ხალხებს. ტყუილად კი არ ასხამს მას ხოტბას ინგლისის ბურჟუაზია. აი, მაგ., რას სწერდა ამას წინად კონსერვატიული „ობსერვერ“: „მაკდონალდის მთავრობის საიმპერიო პოლიტიკა ეგვიპტეში გამხნევებულია გამბედაობითა და სისაღით. ახლა გადაჭრილია ინდოეთის საკითხი და ამ შემთხვევაშიც ზეცით მინიჭებულ ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, რომ მუშათა პარტია ხელისუფლების სათავეშია“. ასეთი ატესტაცია მაკდონალდებმა სავსებით დაიმსახურეს შეუბრალებისაგან ცეცხლისა და მახვილის პოლიტიკით, რომელსაც ისინი ატარებენ კოლონიებში.

მაგრამ რაც არ უნდა ეცადონ ინგლისის იმპერიალისტები და მათი სახსნელად მოწოდებული „მუშათა“ მთავრობა, აშკარაა, რომ მუშათა კლასის მეთაურობით მრავალ მილიონიან მებრძოლ მასების დამონებას ისინი ვერ შესძლებენ. ინდოეთის მშრომელთა მდგომარეობა აუწერლად მძიმეა. მუშებს (მაგ., მეშახტეებს) ამუშავებენ 12-14 საათს და ხელფასს 40-50 კაპეიკს აძლევენ. პლანტაციებზე მომუშავენი პირდაპირ მონებათ არიან გადაქცეული. გლეხობის უმეტეს ნაწილს, რომელსაც მიწა არ გააჩნია და მემამულეთა უსაზღვრო ექსპლოატაციას განიცდის, ლუკმა პური ენატრება. და გასაგებია, რომ ასეთი პირობებში მყოფი მასები თავგანწირულ ბრძოლაში ებმებიან. ეს ბრძოლა, როგორიც არ უნდა იქნეს მისი უახლოესი შედეგი, უნდა დამთავრდეს და დამთავრდება კიდეც ინდოეთის მშრომელთა გამარჯვებით უცხოელ და ადგილობრივ მძარცველებზე.

⁂

ინდოეთისა და სხვა კოლონიალურ ხალხების განმანთავისუფლებელ ბრძოლას უაღრესი მნიშვნელობა აქვს კაპიტალისტურ მსოფლიოს პროლეტარიატისათვისაც, რომელიც თავის მხრივ ახდენს ძალების მობილიზაციას კაპიტალის დასამხობათ. ეს მზადება ნათლად გვიჩვენეს განვლილმა საპირველმაისო გამოსვლებმა. პროლეტარიატის პირველი მაისის დემონსტრაციებმა დაგვანახვეს მუშათა კლასის რევოლიუციონური განწყობილების შემდგომი ზრდა, კომპარტიის გავლენის გაძლიერება მასებში და სოციალ-დემოკრატიის გაკოტრება და ეს მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, რომლებსაც გაბატონებულმა კლასებმა და მათ სახელმწიფო აპარატმა მიმართეს ამ დემონსტრაციების ჩასაშლელად.

აიღეთ გერმანია, სადაც კლასიური ბრძოლა ასე გამწვავებულია და ბრიუნინგის ფაშისტური ხელისუფლება მუსრს ავლებს მუშათა მასებს. მარტო ბერლინში კომპარტიის მიერ მოწყობილ დემონსტრაციების მონაწილეთა რიცხვი 200.000 კაცს აღემატებოდა. რომ ამ ციფრის მნიშვნელობა შევაფასოთ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სოციალ - დემოკრატიულ დემონსტრაციებში მხოლოდ 40 ათასი კაცი მონაწილეობდა. ამასთან, ეს საკმაოდ შეთხელებული „არმია“ უმეტეს ნაწილად შესდგებოდა მოხამსახურეებისა და მეშჩანურ ფენებისაგან, რომელნიც უფრო დროის გასატარებლად გამოვიდნენ, ვიდრე რევოლიუციონური ნებისყოფის გამოსახატავად. ამიტომ გასაგებია, რომ მათმა დიდმა ნაწილმა მიტინგები ადრე დასტოვა. კომუნისტური დემონსტრაციები კი მებრძოლ მუშებისაგან შესდგებოდა და მათ იშვიათი დარაზმულობა ახასიათებდა.

სოციალ - ფაშისტებს ვერ უშველა „ოპოზიციაში“ ყოფნამ, ვერც იმ გარემოებამ, რომ ისინი მასების მოსატყუებლად და გადასაბირებლად გამოვიდნენ წითელი დროშებით და მუსიკით, რომელიც, წარმოიდგინეთ, „ინტერნაციონალსაც“ ასრულებდა. სოციალ-ფაშისტების ასეთმა უცაბედმა „გარევოლიუციონერებამ“ მუშები შეცდომაში ვერ შეიყვანა. მათ თვალ წინ ედგათ მუშათა მასების დაუზოგველად დამხვრეტნი პოლიციე-პრეზიდენტები სოციალ - ფაშისტური ბანაკიდან. მათ არ დავიწყებიათ, რომ გასული წლის პირველ მაისს სოც. - დემოკრატიამ სახელმწიფო აპარატის დახმარებით მოაწყო სისხლისმღვრელი თავდასხმა ბერლინის პროლეტარიატის სამაისო დემონსტრაციაზე, როდესაც მოკლულ იქნა 88, ხოლო დაჭრილი 800 მეტი მუშა. გერმანელი პროლეტარები იგრძნობენ, რომ სოციალ - ფაშიზმი მათი ექსპლოატატორების დასაყრდენი ძალაა და ამიტომ ზურგს აქცევენ მას, თუგინდ ის დროებით წითელ მანტიაში გაეხვიოს.

საფრანგეთშიც მუშათა კლასმა დაგვანახვა, რომ ის სახელოვან პარიზელ კომუნარების ანდერძს არ უღალატებს. პარიზის ოლქში დემონსტრაციაზე 300.000 მუშაზე მეტი გამოვიდა. სამარცხვინოდ დამარცხდენ რეფორმისტები, რომელნიც ამაოდ შეეცადნენ საპირველმაისო გამოსვლებისათვის პოლიტიკური ხასიათი დაეკარგათ.

ნიუ-იორკის ქუჩებში გამოვიდა 150.000 მუშა კომპარტიის მეთაურობით, რაც უკანასკნელის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კომპარტია, რომელიც დღემდე სუსტი იყო ამერიკაში, თანდათან ეუფლება მასებს.

ინგლისში „მუშათა“ პარტიამ და ტრედ-იუნიონებმა თავისთვის უკეთესად მიიჩნიეს სულაც არ მიეღოთ მონაწილეობა საპირველმაისო გამოსვლებში. მათ საფუძვლიანად შეეშინდათ მასებთან პირისპირ შეხვედრისა და ამით თვითონ დაადასტურეს თავიანთი გამცემლობა.

ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, აგრეთვე კოლონიებში ჩვენ მოწმენი ვყავდით მშრომელ მასების მძლავრი დემონსტრაციებისა, რომელნიც მოეწყვენ იქაც კი, სადაც ისინი ოფიციალურად აკრძალული იყვნენ. დემონსტრანტები ეკონომიურ მოთხოვნილებებთან ერთად აშკარად აყენებდნენ პოლიტიკურ ლოზუნგებს კაპიტალისტურ რეჟიმს და მის დამხმარე სოციალ - ფაშიზმთან, იმპერიალისტური ომის საშიშროებასთან გადამწყვეტი ბრძოლის, მსოფლიო ყაჩაღების თავდასხმისაგან საბჭოთა კავშირის დაცვის შესახებ და სხვ.

რა თქმა უნდა, ბევრგან ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებებს პოლიციასთან (პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.), მასიურ დაპატიმრებებს, კომუნისტების საპირველმაისო ფურცლების და გაზეთების კონფისკაციას და სხვ. მაგრამ ყოველივე ამან ვერ შესძლო პროლეტარიატის მებრძოლ რიგებში დეზორგანიზაციის შეტანა.

კაპიტალის შემოტევის გაძლიერებასთან ერთად სწრაფად მიმდინარეობს მასების გარევოლიუციონერების პროცესი. ისინი ირაზმებიან და თავს იყრიან კომპარტიის დროშის გარშემო. ამ მდგომარეობის გამოყენება მუშათა მასების შემდგომი მობილიზაციისათვის, მათი საბოლოო დაპყრობისათვის და სოციალ - ფაშისტების სრული გარეკვისათვის, ამ გზით ნიადაგის მომზადება მოახლოვებულ გენერალურ კლასიურ ბრძოლებისათვის, — აი საითკენაა მიმართული კომინტერნის და მისი სექციების მუშაობა. პირველი მაისის შედეგები ხელს შეუწყობენ ამ მუშაობის მძლავრად გაშლას.

⁂

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ ნიუიორკში საპირველმაისო დემონსტრაციებმა ფართო ხასიათი მიიღეს. და აი ნიუ-იორკის პოლიციის უფროსმა უოლენმა „თავის გასამართლებლად“ და საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაუმჯობესების მომხრე ჯგუფების შეგავლენით, არ დაყოვნა ანტი-საბ- [illegible] სხვა იმპერიალისტურ ქვეყნებს. ჩვენ გვახსოვს, მაგ., იუზის (ამერიკის ყოფ. საგარეო საქმეთა მინისტრი) მუქარით აღსავსე ნოტა საბჭოთა კავშირისადმი იმის გამო, რომ ვითომ კომინტერნს ამერიკის კომპარტიისათვის გაეგზავნოს ინსტრუქცია ამერიკაში აჯანყების მოსაწყობად. აგრეთვე არ დაგვიწყებია, რომ ამერიკის ზოგიერთმა წრეებმა მოიწადინეს „ცნობილ“ ორლოვის და კომპანიის მიერ სენატორ ბორას გასაშავებლად შეთითხნილ საბუთის (ვითომ ბორა, რომელიც აგიტაციას აწარმოებდა ჩვენთან ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ, საბჭოთა მთავრობის მიერ ყოფილიყოს მოსყიდული) გამოყენება ანტი - საბჭოთა კამპანიისათვის. ყველა ამ, „დოკუმენტების“ სრული სიყალბე თავის დროზე უდაოთ დამტკიცდა. მაგრამ უოლენებისათვის ამას თურმე მკაფ არ უსწავლებია. ის აქვეყნებს „საბუთებს“, რომლებმაც უნდა დაარწმუნონ ამერიკის კაპიტალისტები, რომ თითქო კომუნისტების მოქმედებისათვის ამერიკაში პასუხისმგებელი იყვნენ ამერიკა - საბჭოთა სავაჭრო საზოგადოება („ამტორგ“), გაერთიანებული სახპოლიტ სამმართველო და მთლიანად საბჭოთა მთავრობა. ამ „დოკუმენტებში“ ლაპარაკია იმაზე, რომ თითქო „ამტორგს“ საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ფონდს აძლევდეს ამერიკის რევოლიუციონურ ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად, რომ ვითომ კომინტერნი და პროფინტერნი ვილიცეებს ავალაბდნენ ამერიკაში წასვლას და იქ დამანგრეველ მუშაობის გაშლას და სხვ.

ყოველივე სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ამ „დოკუმენტების“ ტექსტი, რომელიც უვიცობის ნიმუშს წარმოადგენს, თავის თავად მეტყველებს მათ სიყალბეს. ამასთან ირკვევა, რომ ამას წინად რუსი თეთრგვარდიელები ცდილობდნენ ამერიკის საგაზეთო ტრესტებისათვის მიეყიდათ ანტი - საბჭოთა „დოკუმენტები“. ალბად ამ ტრესტებმა უარი სთქვეს მათ შეძენაზე, თუმცა კაპიტალისტური პრესა ჩვეულებრივ ხარბად ეწაფება ყოველგვარ სენსაციას, იმდენად აშკარა იყო წარმოდგენილ საბუთების სიყალბე. უნდა ვიფიქროთ, რომ თეთრგვარდიელთა „შემოქმედება“ შემდეგ უოლენის საკუთრებად გადაიქცა.

ასეა თუ ისე, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს „დოკუმენტები“ თავიდან ბოლომდე ყალბია. ამას აღიარებს თვით ნიუ-იორკის პრესაც. ამასთან საგულისხმოა, რომ ამერიკის გარეშე საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები ოფიციალურად აცხადებენ: მათ „არა აქვთ ცნობები, რომ „ამტორგი“ შეერთებულ შტატებში მონაწილეობას ღებულობდეს რაიმე საპროპაგანდო მოქმედებაში“.

მაგრამ ასეთი განცხადება საკმარისი არ არის, თუმცა ის არსებითად ნიშნავს უოლენის ბრალდებათა გაბათილებას. ნუთუ დასაშვებია, რომ ისეთ სერიოზულ საკითხში, რომელიც სახელმწიფოთა ურთიერთობას ეხება, მთავრობის მოხელე (ნიუ-იორკის პოლიციის უფროსი) თავის მთავრობასთან შეუთანხმებლად მოქმედებდეს! საჭირო იყო უფრო გარკვევით გამიჯვნა ანტი-საბჭოთა კამპანიისაგან და უოლენებისათვის ყურის აწევა, თუ ამერიკა დაინტერესებულია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის დამყარებაში.

ამაში კი ამერიკა დიდად უნდა იყოს და- [illegible] როცა გ. წ. 4 თვეში ის მხოლოდ 9.127.000 დოლარს შეადგენდა.

მაგრამ სავაჭრო ურთიერთობა, ცხადია, დიდათ შეფერხდება და შეუძლებელიც კი გახდება, თუ ძირშივე არ აღიკვეთენ უოლენის მსგავსი გამოსვლები, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების საქმიან მუშაობას ამერიკაში და უნდობლობას სთესენ მხარეთა დამოკიდებულებაში. უოლენები და მათი სულის ჩამდგმელები მოქმედებენ არა მარტო საბჭოთა კავშირის, არამედ ამერიკის ინტერესების წინააღმდეგაც. ეს უდაო ჭეშმარიტება გასაგები უნდა იყოს ამერიკის მესვეურებისათვის, როგორადაც არ უნდა იყვნენ ისინი დაბრმავებული სიძულვილით პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნისა და კომუნიზმისადმი.

⁂

თუ სადმე რევოლიუციონური მოძრაობა ვითარდება, იმპერიალისტები ყოველთვის „საბჭოთა პროპაგანდაზე“ იწყებენ განგაშს, რომ ამ გზით ამ მოძრაობის ნამდვილი მიზეზი — მასების ექსპლოატაცია — მიჩქმალონ. უოლენის გამოსვლა ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ შეადგენს.

ამ მიმართულებით, სხვათა შორის, გერმანიაშიც ჰქონდა და აქვს ადგილი სათანადო ცდებს. იქ ამ რამოდენიმე ხნის წინად ზოგიერთმა წრეებმა წამოაყენეს ძველი დებულება საბჭოთა მთავრობისა და კომინტერნის იგივეობის შესახებ და წინადადებაც კი შეიტანეს რეიხსტაგში, რათა საბჭოთა მთავრობისათვის მოეთხოვათ კომინტერნისა და მისი გერმანული სექციის მოღვაწეობის მოსპობა გერმანიაში! საკითხის ამგვარად დაყენების, თავის თავად ცხადია, შეუძლია მხოლოდ გაამწვავოს ორივე მხარის დამოკიდებულება, რაც გერმანიისათვის, მის გონივრულად გაგებული ინტერესების მიხედვით, აშკარად საზარალოა.

გერმანიაში მოიპოვებიან ჯგუფები, რომლებსაც ეს შეგნებული აქვთ. ამას მოწმობენ საკმაოდ გავლენიან „კელნიშე ცაიტუნგ“-ში (მძიმე ინდუსტრიის ორგანოა) ამას წინად მოთავსებული წერილები გერმანია - საბჭოთა ურთიერთობის შესახებ. ერთ წერილში სათაურით „მეგობრული საუბარი მოსკოვთან“, რომელიც, გაზეთის გადმოცემით, მოსკოვიდან მიღებულ კორესპონდენციას წარმოადგენს, დახასიათებულია ზოგიერთი მოვლენები, რომელთაც გერმანიაში აქვთ ადგილი და რომელნიც იწვევენ ჩვენთან ურთიერთობის შერყევას, როგორიც: გერმანიის ცალმხრივი ორიენტაცია დასავლეთისაკენ, გერმანია-საბჭოთა ურთიერთობის საკითხის დაკავშირების ცდა კომინტერნისა და გერმანიის კომპარტიის საკითხთან, შეხედულება, რომელიც გავრცელებულია გერმანიის წრეებში, რომ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია თითქო არღვევდეს გერმანია - საბჭოთა დამოკიდებულების ეკონომიურ საფუძველს და სხვ. ავტორი ასეთი ცდილობების წინააღმდეგ ილაშქრებს და მოითხოვს საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის შექმნას.

„კელნიშე ცაიტუნგ“ ურთდება წერილის ასეთ დასკვნებს და თავის მხრივ ამბობს: „ბოლშევიზმი წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას, არა შემთხვევით, არამედ ლოლიკურად აუცილებელ მოვლენას, რომლისადმიც არ შეიძლება არც რუსეთის და არც მსოფ- [illegible] სალი აზრებია გამოთქმული. აქვე ვიტყვით, რომ სწორედ ეს შიში, რომ ჩვენთან ომმა შეიძლება მოყვეს კაპიტალისტური წესწყობილების დამხობა და პროლეტარულ დიქტატურის დროშის აფრიალება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომელიც იმპერიალისტებს აკავებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაგან. ამ შიშისათვის მათ საფუძველი აქვთ. ესაა კლასობრივი ბრძოლის უაღრესად გამწვავება და რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა კაპიტალის სამეფოში. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმპერიალისტები ყოველ ღონეს ხმარობენ — რევოლიუციონურ ორგანიზაციების მოსასპობად, რათა ზურგი გაიმაგრონ და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციისათვის პირობები შექმნან.

„კელნიშე ცაიტუნგ“ დასასრულ წერს, რომ „გერმანიას სურს მეგობრობა საბჭოთა კავშირთან და შემდეგშიაც დაიცავს რაპალოს ხელშეკრულებას, რომელიც წარმოადგენს ვერსალის საწინააღმდეგო სისტემას“. ჩვენ ვიცით, რომ რაპალომ ხელი შეუწყო გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას. ამას ხსენებული გაზეთიც აღიარებს. მაგრამ რაპალოს ხელშეკრულებიდან გერმანელი კაპიტალისტები სრულიად უნიადაგოდ გაცილებით იმაზე მეტს გამოელოდნენ, ვიდრე იქ იყო გათვალისწინებული: მისი საშუალებით მათ იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა კავშირს ეკონომიურად დაიმორჩილებდენ და გახდიდნენ გერმანიის აგრარულ დამატებად, როგორიც იყო მეფის რუსეთი. ეს იმედი ჩაიფერფლა. საბჭოთა კავშირი დაადგა ინდუსტრიალიზაციის ფართო გზას. და აი, ამ გარემოებას ვერ ურიგდებიან გერმანელი კაპიტალისტები. აღნიშნული გაზეთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ამ უსაფუძვლო იმედებს თავი უნდა გავანებოთ და ხელი მივყოთ საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობების დამყარებას და განმტკიცებას.

როგორც ზევით აღნიშნულ კორესპონდენციაში, ისე „კელნიშე ცაიტუნგ“-ის საპასუხო წერილში გონიერი ხმა მოისმის. მაგრამ მარტო ხმა, თუნდაც გონიერი, როდია საკმარისი. გერმანიამ საქმით, რეალური ფაქტებით უნდა დაამტკიცოს, რომ ის მართლა მოსურნეა ჩვენთან ნორმალურ დამოკიდებულების შექმნისა ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე.

⁂

მიუხედავად იმისა, რომ როგორც „კელნიშე ცაიტუნგ“-ის გამოსვლაც გვიჩვენებს, იმპერიალისტები კარგად ხედავენ საბჭოთა კავშირის შინაურ სიმტკიცეს და მათ ამასთან ეშინიათ, რომ ჩვენთან ომმა შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო რევოლიუცია, — მიუხედავათ ამისა, ისინი ჩვენთან ომისათვის ემზადებიან. ამ მხრივ, სხვათა შორის, გამაფრთხილებელია ჩვენი წარმომადგენლობის აფეთქების ცდა ვარშავაში.

პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ამას წინად გაკეთებულ განცხადებაში ირწმუნებოდა, რომ პოლონეთის ხელმძღვანელი წრეები თითქო მშვიდობიანობის მოყვარეობის გრძნობით არიან გაჟღენთილი და რომ ისინი მოწოდებულნი არიან საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. —საბჭოთა საზოგადოებრიობამ, თავის თავად ცხადია, ეჭვი შეიტანა ამ განცხადების [illegible] სვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დასაშვებად ითვლება. მხოლოდ ასეთი ატმოსფერის პირობებში იყო შესაძლებელი საბჭოთა წარმომადგენლობის აფეთქების განზრახვა, რომლის განხორციელება, რაც შემთხვევით არ მოხერხდა, პირდაპირ ომის პროვოკაციას ისახავდა მიზნად. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ პოლონეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებზე თავდასხმის შემთხვევები არა ერთი და ორი ყოფილა, და პოლონეთის მთავრობას ეოთხელაც არ მიუღია საჭირო ზომები ამგვარ მოვლენების შესაძლებლობის აღსაკვეთად. პირიქით, იგი მეტად ლმობიერად ეკიდებოდა ბოროტმოქმედთ.

წარსულის გამოცდილების მიხედვით, ეჭვი შეგვაქვს: მიიღებს თუ არა ვარშავის მთავრობა ენერგიულ ზომებს უკანასკნელი ტერორისტული აქტის ცდის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასასჯელად. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მთავრობის მომხრე ზოგიერთ გაზეთებმა უჩვეულო თავხედობა გამოიჩინეს: ისინი აცხადებდენ, რომ აფეთქების ცდა თითქო მოწყობილი იყოს კომუნიზმის ინტერესებისათვის თვით საბჭოთა წარმომადგენლობის მიერ! მაგრამ ასეთი ვერსიის სრული უაზრობა, ალბად, იგრძნეს პოლონეთის ოფიციალურმა წრეებმა, და ოფიციოზი „გაზეტა პოლსკა“ ამას უარყოფს და „მწუხარებას“ გამოსთქვამს მომხდარ ამბის გამო. მაგრამ იმავე გაზეთს დაუშვებლად მიაჩნია აფეთქების ცდა გამომდინარეობდეს რომელიმე პოლონურ ორგანიზაციიდან, მას აგრეთვე არ უნდა ეჭვი შეიტანოს რუსეთის ემიგრაციის იმ ელემენტებზე, საიდანაც გამოვიდნენ კავერდა, ტრაიკოვიჩი და ვოიცეხოვსკი (საბჭოთა წარმომადგენლებზე თავდამსხმელები) არც თეთრგვარდიელებია დამნაშავე, არც პოლონური ორგანიზაციები? გამოდის, რომ ბოროტმოქმედი არავინ ყოფილა! ახლა მოისმინეთ თუ რას ამბობს პოლონეთის მთავრობის ელჩი ლატვიაში, არციშევსკი: „სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ეგრედწოდებული აფეთქების განზრახვა ვერ გამოიწვევს პოლონეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავებას. ჩემის აზრით, აფეთქების განზრახვა ან სრულებით ხუმრობას წარმოადგენს, ან პროვოკაციას. მე არ მესმის, რად და ვის დასჭირდა ამ ამბის გაბერვა“. აშკარად პროვოკაციული გამოსვლაა. დააკვირდით სიტყვებს: „ეგრედწოდებული“, „სულელური ხუმრობა“, ან ცდას, რომ ჩვენ წარმომადგენლობის აფეთქების განზრახვა მიჩნეულ იქნას უმნიშვნელო რამედ, რაზედაც თითქოს შეჩერებაც არ ღირდეს. ყოველივე ამას ამბობს არა რომელიმე უპასუხისმგებლო გაზეთი, არამედ მთავრობის „პასუხისმგებელი“ წარმომადგენელი.

ამის შემდეგ გასაკვირი არ იქნება, რომ ტერორისტული აქტის ჩადენის ცდა მიფუჩეჩებული იქნას და ანტი-საბჭოთა ელემენტებს პოლონეთში კვლავ შერჩეთ თავიანთი „მოღვაწეობის“ გაგრძელების ხალისი. საბჭოთა კავშირის მშრომელთ შესწევთ ძალა აღკვეთონ პროვოკატორების ასეთი მუშაობა.

გ. კ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

თესვის კამპანიის მსვლელობის შემოწმება

სპეციალური კომისია ამხ. ს. ჟულელის ხელმძღვანელობით გუშინ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში თესვის კამპანიის მსვლელობის შესამოწმებლად.

დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმის გამოკვლევა

სოცდაზღვევის კომიტეტმა გადაწყვიტა გამოიკვლიოს დაზღვეულთა საექიმო დახმარების საქმე, თბილისში, ქუთაისში, ჭიათურაში და ბათომში.

მეფუტკრეობის კურსები

ამ დღეებში მიწათმოქმედების კომისარიატი ხსნის მეფუტკრეობის კურსებს 50 კაცისათვის.

დაუსწრებელ რადიო-კომუნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენცია

დღეს, საღამოს 7 საათზე პირველ საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლის შენობაში (მაქსიმ გორკის ქ. № 2) შესდგება დაუსწრებელ რადიო-კომუნივერსიტეტის სტუდენტთა საქალაქო კონფერენცია.

სახელმძღვანელოების განხილვა

დღეს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს სახელმძღვანელოების კომისიის ღია სხდომა სამეცნიერო-პედაგოგიურ სექციის წევრების და 4 წლედების მასწავლებლების თანდასწრებით. განხილულ იქნება 1930-31 სასწავლო წლისათვის გამოსაცემი პირველი ჯგუფის სახელმძღვანელოები.

მილიციის რიგების წმენდის განახლება

1-ლ და მე-2 რაიონის მილიციის რიგების წმენდა, რომელიც გადადებული იყო სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო, განახლდება დღეიდან.

დედათა და ბავშვთა დახმარების სამდღიური

დედათა და ბავშვთა დაცვის საქმის გაუმჯობესების მიზნით, 1, 2 და 3 ივნისს საქართველოში ჩატარდება დედათა და ბავშვთა დახმარების სამდღიური.

სამდღიურის ჩატარების განმავლობაში თეატრებში და კინოებში შემოსული თანხები მთლიანად გადაირიცხება დედათა და ბავშვთა საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად.

კინო-თეატრი ზუგდიდში

სახალხო კომისართა საბჭომ კინო-თეატრის ასაგებათ ზუგდიდის აღმასკომს გადასცა — 35.000 მ.

თბილისის აღმასკომში

◆ მოსახლეობის აღწერა გუშინ დამთავრდა. აღწერა წარმატებით ჩატარდა.

◆ დეზერტირის ბაზრის კეთილმოსაწყობათ გადაიდო 20.000 მ.

განათლების კომისარიატში

◆ განათლების კომისარიატმა დაამტკიცა მუშფაკებში მიღების ახალი წესები.

◆ საცდელ-საჩვენებელ საბავშო სახლის შესაკეთებლად განათლების კომისარიატმა მთავრობისაგან მიიღო 5.470 მ.

სხვადასხვა

◆ **ექიმთა მე-11 კონფერენცია.** დღეს, საღამოს 8 საათზე სოც. ჰიგ. ინტ-ში (ლუნაჩარსკის ქ. 12) შესდგება ექიმთა მორიგი კონფერენცია.

◆ **სტუდენტთა კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე პოლიტ-ინსტიტუტის დიდ სამხაზველოში შესდგება სტუდენტების საერთო კრება.

◆ **საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში,** 12 მაისს, საღამოს 7 საათზე შესდგება ზოოტექნიკური სამეცნიერო სექციის სხდომა მეაბრეშუმეობის სექციასთან ერთად, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს ალ. ბედიაშვილი შემდეგ თემაზე: „ვიტამინები“.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო რაჟდენ გვეტაძის წიგნი, „თეო“ (მოთხრობა). გვ 200, ფასი 1 მ. 25 კ. სახელგამის გამოცემა.

—:—

ხელოვნება

◆ კონსერვატორიის დარბაზში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

◆ რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ლამარა“ პროფკავშირის წევრთათვის.

◆ **„რიგოლეტო“.** კოზლოვსკის მონაწილეობით დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“.

მუშათა დასასვენებელ სახლებში

15 მაისს დამთავრდება **საზამთრო** სეზონი ქობულეთის მუშათა დასასვენებელ სახლში, რომელშიაც 15 თებერვლიდან დღემდე გატარდა 580 კაცი.

ყველა დასასვენებელ სახლში საზაფხულო სეზონი დაიწყება 1 ივნისიდან და მუშებიც ამ რიცხვიდან გაიგზავნებიან.

წელს დასასვენებელი სახლი სურამში არ გაიხსნება, რადგან იქ ამჟამად შენდება ახალი სახლი, რომელიც დამთავრდება მხოლოდ შემოდგომაზე.

დასასვენებელ სახლებში მუშები და მოსამსახურეები გაიგზავნებიან საკუთარ შვებულების დროს 2 კვირით. ოჯახის წევრების და უმუშევრების გაგზავნა შეიძლება სათანადო პროფკავშირის საშუალებით.

იმ მუშა-ქალებისათვის, რომელთაც ყავთ მცირე წლოვანი ბავშვები არა უმეტეს 5 წლის ჰასაკისა, წაღვერში იხსნება სპეციალური სახლი. მუშა-ქალებს უფლება ეძლევათ ბავშვები 5 წლამდე თან წაიყვანონ აღნიშნულ სახლში, რისთვისაც წასაყვან ბავშვების ჯანმრთელობის შესახებ მოწმობები აღებული უნდა იქნას კონსულტაციებისაგან.

5 თვეზე მეტი ხნის ფეხმძიმე ქალები დასასვენებელ სახლებში არ გაიგზავნებიან, არ გაიგზავნებიან აგრეთვე ის მუშები და მუშქალები, რომლებიც საჭიროებენ ამბულატორიულ მკურნალობას.

დასასვენებელ სახლებში წასვლის მსურველებმა კომისიებში წინასწარ უნდა წარადგინონ საქ.-საფაბრიკო კომიტეტებიდან მიღებული ცნობები მათი შვებულებაში წასვლის დროის შესახებ.

მუშა-მოსამსახურეების დასასვენებელ სახლებში გაგზავნას აწარმოებს ამბულატორიები მიმდინარე მუშაობის წესით. გარდა ამისა სპეციალური გადამრჩევი კომისია დაარსებულია სოცდაზღვევის კომიტეტის მედიკო-პროფილაქტიურ განყოფილებასთან. ამ კომისიაში უნდა გატარდენ ისინი, რომელნიც არ არიან მიმაგრებულნი სათანადო ამბულატორიებზე.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილთ რკინის გზის სალაროებიდან ბილეთების მიღება შეუძლიათ რიგს გარეშე. იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა ხელფასი თვიურად არ აღემატება 60 მანეთს, სამგზავრო ბილეთის ღირებულების ნახევარს აძლევს დამზღვევი სალარო (ლუნაჩარსკის ქ. № 2, ოთახი 3).

ისინი, რომელნიც დანიშნულ დროზე არ გაემგზავრებიან დასასვენებელ სახლში და დაიგვიანებენ 3 დღეზე მეტს, ასეთები დასასვენებელ სახლში არ იქნებიან მიღებულნი.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილთა რაოდენობიდან 80 პროც. უნდა შეადგენდენ მუშები, 20 პროც. მოსამსახურეები.

დასასვენებელ სახლებში გაგზავნილთა მოვლის საქმის გასაუმჯობესებლად სისტემატიურად გაიგზავნებიან მუშათა ბრიგადები, რომლებიც გამოიკვლევენ სახლების მდგომარეობას.

დასასვენებელ სახლებში მოეწყობა რადიო, სავარჯიშო მოედნები და იწარმოებს სხვადასხვა კულტურული გართობანი.

სომხური აკადემიური დრამის გასტროლები

„პეპო“ გ. სუდუკიანცის

დამსახურებული მსახიობები ო. გულაზიანი და გ. ჯანიბეკიანი „პეპო“-ს მე-2 მოქმედებაში.

პიესა „პეპო“ ტექსტი რეჟისორ გულაკიანს გადაუკეთებია, ნაწილობრივ ახალი ტექსტიც შეუტანია. ამ პიესის დადგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია. თეატრი გაჭედილი იყო ხალხით. დადგმა წარმოადგენს სომხეთის დიდი დრამატურგის კომედიის ტექსტის კომპოზიციის ცდას (მეიერხოლდის დადგმების სტილით) და მასზე ღირს ცოტა უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ფარდის აწევისას სცენაზე მოსჩანს პლაკატი: ზემოთ 1871 წ.—„პეპოს“ დადგმის პირველი წელი, ხოლო პლაკატის ქვედა ნაწილზე დახატულია ძველი თბილისი, ეფექტიურად განათებული ელექტრონის ლამპებით.

სცენა გაყოფილია 2 ნაწილად: მაყურებლის მარჯვნივ პეპოს ოთახია, რომელიც საჭირო მომენტში ბადეებით იფარება მაყურებლისაგან. პეპოს ოთახის ზემო არუთინას ერთ-ერთი ოთახია. სცენის მარცხენა ნაწილი წარმოადგენს არუთინას ბინის დიდ ოთახს. სცენის ის ნაწყვეტი, რომელიც პიესის მოქმედების განვითარების მიხედვით თავისუფალია, ფარდით იხურება. პიესა მიდის 2 მოქმედებათ. სცენებს პეპოს ოთახში სცვლიან სცენები არუთინას ოთახებში, ამისათვის მე-2 მოქმედების (სუნდუკიანცის ორიგინალური პიესის მიხედვით) ნაწილი გადატანილია გულაკიანის დადგმის 1 მოქმედებაში, დამატებულია მთელი რიგი ახალი სცენები, რომლებიც გაკვრით ნახსენებია სუდუკიანცის პიესაში (სცენა კეკელას საქმრო მარმაროვთან, სცენა სასამართლოს განაჩენის შემდეგ, გიქოს საუბარი არუთინასთან ნაპოვნი ხელწერილის შესახებ, ამასვე უნდა მიეკუთვნოს საზეიმო სადილი არუთინასთან ლოტოთი, სადღეგრძელოებით და სხვ.) და ისეთი სცენები, რომლებიც პიესაში გაკვრითაც არ არის ნახსენები: რეჟისორს სიყვარულის ურთიერთობა შეუქმნია ფემიასა და მის მოსამსახურე სამსონს შორის. კომედიის თითქმის ნახევარს მიჰყვება ბალასანიანის მუსიკა, საერთოდ კეთილხმოვანი, ადგილ-ადგილ გონებამახვილად შეხამებული, ხოლო აქა-იქ (პეპოს მონოლოგი 1 მოქმედებაში) ტექსტთან შეუფერებელი, ასე რომ გამოვიდა ნახევრად მელოდეკლამაციური პიესა.

არის თუ არა ეს დასაშვები და მიზანშეწონილი? ეს სადავო საკითხია. გამარჯვებული გამოვიდა თუ არა გულაკიანი თავის ცდაში? ეჭვს გარეშეა, რომ ახალმა დადგმამ ძალიან გადაახალისა პიესა, ახალი ინტერესი შესძინა მას და მეტ წილად დადებითად გადასჭრა ძველი პიესების გადაკეთების მიზანშეწონილობის საკითხი. მაგრამ ზოგიერთ ადგილას—განსაკუთრებით პეპოს და გიქოს საუბრის სცენაში (1 მოქმედება), როდესაც პეპო გაიგებს, რომ მამაროვი არ ირთავს მის დას, თუ დაპირებული მზითვები არ მიიღო, მოქმედება ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვითარდება, პეპოს დრამის განვითარებას რამდენჯერმე სცვლიან სცენები არუთინასთან. ეს კი სცენიურად დაუშვებელია. გაუმართლებლად მიგვაჩნია აგრეთვე ჩამატებული მხიარული სცენა პეპოს და კაკულის შორის (1 მოქმედება), რომელიც არ შეიძლება ბუნებრივად ჩაითვალოს პეპოს მაშინდელი განწყობილების მიხედვით.

მაგრამ საერთოდ და მთლიანად გულაკიანის (სცენიური გაფორმება ტარაიანის) დადებითი მხარეები სჭარბობენ უარყოფით მხარეებს და ეს ცდა საერთოდ გამართლებულად მიგვაჩნია.

შემსრულებლებში ერჩიოდნენ: დამსახურებული არტისტი **გულაზიანი**, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ეფემიას კომიკური როლი. ქების ღირსია ავეტისიანი— შეუდარებელი პეპო, რომელმაც წარმატებით დასძლია ის სიძნელენი, რომლებიც ამ როლის შემსრულებელს ელობება (ახალი დადგმის პირობებში) და **ასმიკი**, რომელმაც კარგათ შეასრულა კეკელას როლი, კარგი იყო **კოჩარიანი**, რომელმაც დაგვიხატა მხიარული და დაუდგრომელი „მეხანძრის“ კულაკის სახე, **ჯენიბეკიანი**—თავისი ქალბატონის საყვარელი სამსონი და სხვ. დამსახურებულმა არტისტმა **ავეტისიანმა** მოგვცა გიქოს როლი, შესრულებაში შეიტანა ბევრი მოხდენილი მომენტი, მაგრამ ავტორის მითითების მიუხედავად (ეს მითითება ახალ ტექსტშიაც დარჩა), იგი ნელა, დინჯად როდი ლაპარაკობდა, არამედ, პირიქით, ჩქარა. არუთინას როლი არ შეეფერება **მურადიანის** გარეგნობას—ზიმზიმოვი ჩვენ უფრო „ბურჟუაზიული“ გარეგნობის წარმოგვიდგენია, ვიდრე მურადიანმა მოგვცა. თამაში კი კარგი იყო.

დადგმამ დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე.

პ. დ.

წყალსადენი ახალქალაქში

ახალქალაქის მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიდენ სასმელი წყლის სიმცირის და უვარგისობის გამო.

ახალქალაქი საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ დღემდე ის მოკლებული იყო სალ წყალს. გარდა ამისა მცხოვრებთ არ ყოფნიდა ეს უვარგისი წყალიც. ეს გარემოება გაითვალისწინა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა და გადასწყვიტა წყალსადენის გაყვანა, აღმასკომის განზრახვას დიდი სიხარულით შეხვდენ მუშები და გლეხები, რომლებმაც ერთხმად დაადგინეს თვითდაბეგვრის წესით მონაწილეობა მიეღოთ წყალსადენის გაყვანის საქმეში. აღმასკომი შარშან შეუდგა შესაფერ მუშაობას. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ე. წ. აბლარის წყაროს გამოყვანა. ეს წყარო ახალქალაქიდან დაშორებულია 7 კილომეტრით.

წყაროს გამოყვანა დამთავრდება მაისის ბოლო რიცხვებში. ყოველგვარ სამუშაოს უფასოდ ასრულებენ მუშები და გლეხები.

წყაროს გამოყვანა აღმასკომს უჯდება მხოლოდ 2.000 მანეთი. ამჟამად წყალსადენზე ყოველდღიურად თვითდაბეგვრის წესით მუშაობს 300 გლეხი.

წითელ ჯარში

სათადარიგო უფშემადგენლობის კონფერენცია

12 მაისს, თბილისში, (წითელი არმიისა და ფლოტის სახლში) ეწყობა სათადარიგო უფშემადგენლობის კონფერენცია (მოკლევადიანი შეკრება).

კონფერენციის მიზანია სათადარიგო უფშემადგენლობასთან სამხედრო ვარჯიშობის ჩატარება, ცალკე საკითხების დამუშავება და სამხედრო საქმის ახალ მიღწევების უფშემადგენლობისათვის გაცნობა.

კონფერენციის მეცადინეობა იწარმოებს 12, 15, 16, 20, 21 და 23 მაისს.

კონფერენციაზე მოწვეული სათადარიგო უფშემადგენლობის პირნი ვალდებული არიან 12 მაისს, დილის 8 საათზე გამოცხადდენ თბილისის საოლქო სამხედრო კომისარიატში (ჯღორჯიაშვილის ქ. № 10), სადაც მათ მიეცემათ საჭირო საბუთები და გადაიგზავნებიან წითელი არმიის სახლში.

ამასთან დაკავშირებით, საკავშირო სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს დადგენილების თანახმად, წარმოება-დაწესებულებები ვალდებული არიან ამ დღეებში სამსახურიდან განთავისუფლონ სათადარიგო უფშემადგენლობის მუშაკები, რომელნიც მოწვეულ არიან კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად.

8000 ჰექტარი მიწის მორწყვა

მებამბეობის რაიონში

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით, ბორჩალოს მებამბეობის რაიონში დამთავრდა სარწყავ არხების ქსელის შეკეთება.

შეკეთებულ არხების საშუალებით წელს გაცილებით მეტი მიწები მოირწყვება, ვიდრე გასულ წლებში ირწყვებოდა.

ახლო ხანში დამთავრდება ე. წ. ლამბალინის არხის გაყვანა. რომელიც მორწყავს 800 ჰექტარ მიწას.

ახალ არხის დამთავრების შემდეგ ბორჩალოს რაიონში სულ მოირწყვება 8000 ჰექტარამდე მიწა.

რკინის გზებზე

საყვედური კერძო მოიჯარადრის მფარველობისათვის

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სალიანდაგო დარგის მე-13 უბანზე (აზერბეიჯანი, ყუბანის ოლქი) მრავალ უწესრიგობას ჰქონდა ადგილი. უბნის უფროსი კუჩევსკი მოიჯარადრეებს აძლევდა იჯარით სამუშაოებს და იფარავდა მათ.

ამ მდგომარეობით დაინტერესდა ყუბინის საოლქო მუშგლეხინი, რომელმაც მოახდინა უბანზე არსებულ მდგომარეობის გამოკვლევა. დადასტურდა კუჩევსკის მიერ მოიჯარადრეების მფარველობა და სხვა.

მოიჯარადრის დაფარვისათვის კუჩევსკის გამოეცხადა საყვედური.

აღმაშფოთებელი შემთხვევა

გუშინ ალიათ- ათბულახის გადასარბენზე ადგილი ჰქონდა აღმაშფოთებელ შემთხვევას.

სადგურის მორიგემ ლაპინმა ალიათიდან გაუშვა ათბულახისაკენ სახალხო მატარებელი № 18. ამ დროს ხაზი დაკავებული იყო საქონლის მატ. № 3010-ით, რომელიც ათბულახში ჩაჰყავდათ ნაწილ-ნაწილად.

მატ. № 18-ს საორთქლმავლო და მატ. № 3010-ს კონდუქტორთა ბრიგადების მიერ თავის დროზე მიღებულ ზომებით დაჯახება თავიდან იქნა აცილებული.

ხაზის განთავისუფლების მოლოდინში სახალხო მატარებელმა დაიგვიანა 40 წუთით.

სწარმოებს ამ შემთხვევის მიზეზების სასტიკი გამოძიება.

ბაქოს სახელოსნოს გადაცემა

ახლო მომავალში ბაქოს რკინის გზის მთავარი სახელოსნო გადადის აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. განკარგულებაში.

ამჟამად სწარმოებს წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა ქარხნის გადასაცემად.

ჭ ა დ რ ა კ ი

ვ. გოგლიძის და მაესტრო ნენაროკოვის მატჩი

მატჩის მეორე პარტიაში მაესტრო ნენაროკოვმა, ლაზიერის პაიკთა დებიუტის წინააღმდეგ ძველი ინდიური დაცვა აირჩია, რომელიც შავებს რამოდენიმედ შევიწროვებულ მდგომარეობას უქმნის. ამ დაცვას ახასიათებს შემდეგი: თეთრები ღებულობენ გაცილებით ძლიერ მდგომარეობას ცენტრში და ლაზიერი ფრთაზე, რომლის ანაზღაურებას შავები უნდა შეეცადონ მეფის ფრთაზე იერიშის მიტანით. წინააღმდეგ შემთხვევაში შავების პასიური თამაში ცენტრში და ლაზიერის ფრთაზე არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს. ხშირად ამ იერიშის განვითარება შავებს ეხერხებათ, და თამაშის ცენტრი გადადის მეფის ფრთაზე, რაც თეთრებს საშუალებას არ აძლევს გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა დანარჩენ ნაწილებში. თამაში ღებულობს მეტად გართულებულ სახეს, სადაც შავები ხშირად გამარჯვებული გამოდიან. ეს ასეც მოხდა ამ პარტიაში. ნენაროკოვი თავიდანვე შეუდგა იერიშის მიტანას მეფის ფრთაზე, მაგრამ აქ მას გოგლიძის მხრივ შეხვდა ზუსტი თამაში, რითაც ნენაროკოვის იერიშს ჩქარა დაეკარგა საფუძველი. ამავე დროს გოგლიძე თავდაცვასთან ერთად თვითონ აწარმოებდა შეტევას ცენტრში და ლაზიერის ფრთაზე, სადაც მალე გაარღვია იგი და შექმნა თავისთვის უპირატესი მდგომარეობა მოწინააღმდეგის ბანაკში. ნენაროკოვს ეკარგებოდა რამოდენიმე პაიკი, ამიტომ იგი შეეცადა ისევ განეახლებინა იერიში მეფეზე მოწინააღმდეგის ყურადღების შესასუსტებლად ლაზიერის ფრთიდან, მაგრამ ამაოდ, გოგლიძე ძლიერი სვლებით მას გასაქანს არ აძლევდა. გოგლიძემ იერიში მთლად აიცილა თავიდან, მოიგო პაიკები და მალე პაიკის ლაზიერათ გაყვანის დამუქრებით აიძულა მოწინააღმდეგე დანებებულიყო.

—:—

დღეს, 11 მაისს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშებული იქნება მატჩის მესამე პარტია. ნენაროკოვი თამაშობს თეთრებით.

თამაშის დასაწყისი საღამოს 6 საათიდან.

ფ—ლი.

შემთხვევები

დაჭრა

● ალექსანდრე ალავერდოვს (მცხ. ლაზარევის ქ. № 25) სახლში მიუვარდა თავის ქვისლი გიორგი ზევრელაშვილი, რომელმაც დანით მძიმედ დასჭრა ალავერდოვი.

თავის მოწამვლა

ოჯახურ უსიამოვნების გამო კალინინა-ჩერნიკოვამ მოიწამლა თავი.

შეპყრობა

ქურდობისათვის შეიპყრეს ესტერ შალვას ასული ფუხაშვილი.

თევზით მოწამვლა

იროდიონ სარდიონის ძე კვისიტაძე მოიწამლა თევზით, კვისიტაძე სასწრაფოდ გადაიგზავნა რკ. გზის საავადმყოფოში.

ქურდობა

ეთერ ქირიგაშვილის ბინიდან (ლამის ქ. № 9) მოიპარეს 220 მ. ნივთები.—გაქურდეს მუშკოპის მაღაზია № 565, წაღებულ საქონლის რაოდენობა გამოურკვეველია.—გაქურდეს იოსებ შარატავას ბინა (პლეხ. პროსპ. № 78).

ვისია ნივთები?

აღმოჩენილია ქალის ოქროს საათი და ერთიც უბრალო საათი. პატრონმა უნდა მიმართოს ს.ს. მილიციაში ამხ. ძალანიკაშვილს, ოთახი № 7.

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

ბოროტ გამფლანგველს ხელს აფარებდენ

საქმე შეეხება ზუგდიდის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების მე-16 მაღაზიის ყოფილ გამგეს **ჯოდო, იგივე კლიმენტი ვასილის ძე სიჭინავას.**

ჯოდოს ჰყავდა „ბებიები“ და მათი წყალობით არხეინად ახიავებდა კოოპერატივის თანხებს. რევიზიის მოხდენას იშვიათად ჰკადრებდნენ სიჭინავას და თუ რევიზია იშვიათად მაინც შეიპრებოდა სიჭინავას სანავარდოში, ესეც დიდ საშიშროებას არ წარმოადგენდა, რადგან „ბებიები“ მყისვე გაშლიდნენ კალთებს და შეიფარებდნენ განსაცდელის წინ მდგომ ჯოდოს.

უკანასკნელად რევიზორებმა სასტიკი იერიში მიიტანეს მე-16 მაღაზიაზე, ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ სიჭინავა ყოველ მიზეზს გარეშე გამსახლში უნდა მომხდარიყო.

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ გამგემ, რომელსაც გაფლანგული აღმოაჩნდება 6000 მანეთამდე, უნდა გამოეთხოვოს სუფთა ჰაერს, მისი ადგილია იზოლიატორში.

მაგრამ ზუგდიდში ეს ასე არ მოხდა. პირიქით, მოხდა განსაცვიფრებელი ამბავი.

როცა რევიზიამ დაამთავრა მუშაობა და უდავოდ დაადასტურა, რომ მე-16 მაღაზიაში სიჭინავას გაფლანგული აქვს 6000 მანეთამდე, სიჭინავას ვხედავთ არა გამასწორებელ სახლში, არამედ იმავე სამომხმარებლო საზოგადოების ღვინის სარდაფის გამგედ.

რით იყო ეს გამოწვეული ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ გამგეობას ასეთი აღმაშფოთებელი ბოროტმოქმედების გამომჟღავნების შემდეგ საჭიროდ დაუნახავს სიჭინავას ახალ თანამდებობაზე გადაყვანა „მდგომარეობის გამორკვევამდე“.

მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობას არავითარი გამორკვევა აღარ ესაჭიროებოდა, გამგეობა მაინც უცდიდა მის გამორკვევას, ხოლო სულ მოკლე ხნის განმავლობაში გამოირკვა, რომ გამფლანგველმა სიჭინავამ თავის ახალ თანამდებობაზე ყოფნის დროს კიდევ მიუმატა წინად გაფლანგულ თანხას ათას მანეთამდე.

როგორც იქნა დააპატიმრეს სიჭინავა. საქმე გადაეცა გამომძიებელს. უდავოდ დადასტურდა, რომ სიჭინავას მიერ გაფლანგული თანხა უდრის 6760 მანეთს.

სიჭინავა წარუდგა ზუგდიდის უბნის სასამართლოს. სასამართლოში გაფლანგვა იქცა უყაირათობად (?) და ბოროტ გამფლანგველს, რომელიც მაქსიმალური სასჯელის ღირსი იყო, მიესაჯა მხოლოდ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. კოოპერატივის 6760 მანეთი დაიწერა ყინულზე.

საქმე ასეთ მდგომარეობაში შემოვიდა უზენაეს სასამართლოში. საქმეს თან ახლდა ქუთაისის ოლქის პროკურორის მოადგილე ი. დევდარიანის პროტესტი, რომელიც ცხადია, ბოროტმოქმედების ასეთ კვალიფიკაციას ყოვლად დაუშვებლად სთვლიდა და მიუთითებდა მთელ რიგ მამხილებელ მასალებზე.

უზენაესი სასამართლო საქმის გაცნობის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული თანხა არის გაფლანგული სიჭინავას მიერ და აქ უყაირათობა არაფერ შუაშია.

უზენაესმა სასამართლომ საჭიროდ სცნო, ჯერ ერთი, საქმის ხელახლა გარჩევა სიჭინავას სასტიკად დასჯის მიზნით და გარდა ამისა იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა, ვინც გამფლანგველს მეორე გაფლანგვის ჩადენის საშუალება მისცა.

ზერ.

რ ა დ ი ო - გ ა დ ა ც ე მ ა

კვირა, 11 მაისი

თბილისის რადიო სადგურიდან გადაცემული იქნება: დილის 10 საათიდან—საბავშო ლიტერატურულ-მუსიკალური დილა, გადაცემა სოფლისათვის: აგრონომის საუბარი, ქართულ ენაზე; ექიმის საუბარი, ქართულ ენაზე, პოპულიარული გლეხური კონცერტი, საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა. კონცერტი, 17 საათიდან—კომკავშირის რადიო გაზეთი, ქართულ ენაზე, ლექცია ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად“, ქართულ ენაზე, საორკესტრო მუსიკის კონცერტი, 19 საათიდან საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა რუსულ ენაზე, საუბარი „რელიგიის როლი კაპიტალისტურ ქვეყნებში“, რუსულ ენაზე, დროის შემოწმება და გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები, 19 ს. 45 წუთიდან ოპერის ტრანსლიაცია და უკანასკნელი ამბები.

ორშაბათი, 12 მაისი

დილის 8 ს. 30 წუთიდან—მუშათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი, 17 საათიდან—მუსიკის მოსმენა სადილის შემდეგ და რეკლამა. პიონერისა და მოსწავლის საათი. რადიო გაზეთი, ქართულ ენაზე, 19 ს. 85 წ.—გაზ. „წითელ არმიელი“, ქართულ ენაზე, 19 ს. 35 წუთიდან დაუსწრებელ კომუნივერსიტეტის ლექცია „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორია“, რუსულ ენაზე, დროის შემოწმება და ობსერვატორიის ცნობები, 20 ს. 10 წუთიდან—რადიო გაზეთი, რუსულ ენაზე, 21 საათიდან საგრამოფონო მუსიკა, 22 საათიდან—სრულიად საკავშირო კონცერტის ტრანსლიაცია, მოსკოვიდან 23 ს. 40 წუთიდან უკანასკნელი ამბები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 11 მაისს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო ბანკის კლუბში აღმასკომის ქ. № 5 **შესდგება კომუჯრედების და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების წარმომადგენელთა (კომპარტიის წევრების) თათბირი.** დღის წესრიგში სდგას საკითხი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების საანგარიშო საარჩევნო კამპანიის შესახებ.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მდივნების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) ყველა უჯრედების იმ მდივნებს, რომლებიც არჩეული არიან მე-12 პარტკონფერენციის დელეგატებად, გამოცხადდენ რაიკომში (ოთახი № 4), და თან მოიტანონ ამონაწერები ოქმიდან, სადელეგატო მანდატების მისაღებად.

—:—

დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის საკონფლიქტო კომისიის მორიგი სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ ქვემო ჩამოთვლილი ამხანაგები: ი. ხირსელი, ა. ჯაფარიძე, გ. სამველიანი, ბ. ჯიოევი, გ. კანდელაკი, ნ. გოგორიშვილი, ს. მებუკე, გ. დავიდოვი, გ. კარსელიევი, ა. ბარსეგოვი და ი. დანელიანი.

აპოლო
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
დადგმის მე 2 კვირა მხატვრული ფილმი
შ ი შ ი
სტეფან ცვეიგის რომანის მიხედვით
12 მაისიდან—დადგმა გრძელდება

პალასი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
ერთა დროშა
12 მაისიდან—დადგმა გრძელდება

სპარტაკი
ყოფ. არფასტო
მარიამ ტენაზი მხატვრ. სურათში
ღრუბელთა თავშესაფარი
12 მაისიდან—ი უ დ ა

რ. ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)
ამერიკული კომედია
1.00 ცხენის ძალა
12 მაისიდან—დადგმა გრძელდება

სოლეი
1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
ბიძია თომას ქოხი
ბიჩერ-სტოუს ცნობილი რომანის მიხედვით
12 მაისიდან—დადგმა გრძელდება

დარბაზი
1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
მხატვრული ფილმი **ვარიეტე**
ლია დე-პუტის, ე. იანინგსის მონაწილეობ. ტრიო ბრომენტალის გასტროლებში, სრულიად ახალი პროგრამა
12 მაისიდან—დადგმა გრძელდება

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი 1929—30 წ. სეზონი
ნ. 694
კვირას, 11 მაისს, მე-15 აბონემენტის მე-4 წარმოდგენა ლენინგრადის ოპერის პრემიერის მ. ო. რეიზენის მონაწილეობით **ბორის გოდუნოვი**
ორშაბათს, 12 მაისს, მე-16 აბონემენტის მე-3 წარმოდგენა ლენინგრადის ოპერის პრემიერის მ. ო. რეიზენის მონაწილეობით **კონცერტი**
ყველა მუდმივი შესასვლელი ბილეთები, კონტრამარკები და სტუდენტთა ბილეთები ამ დღეს გაუქმებულია.

თავისუფლების მოედანზე დაიკარგა
ღარიბი ბავშვის **ცალი ტუფლი,**
მნახველს სთხოვენ დაუბრუნოს ეკატერინე მილაურს არსენალის ქუჩა № 28 მიიღებს ჯილდოს. 2622

კინო-სპარტაკი
(ყოფ. არფასტო)
ხვალ
ორშაბათიდან,
12 მაისიდან
სეზონის
საუკეთესო
სურათი
იუდა
ნ. 723

**საჭიროა
გამოცდილი
მემანქანე**
„კომუნისტი“-ის
რედაქციაში.

ვეძებ ოთახს
8 20 მეტრამდე, რაიონი სულ ერთია, ქირა შეთანხმებით. ლომინაძის ქ. (ყოფ. იზმაილოვისა), მირსკის ჩიხი 7, ბინა № 1, პადიეზდიდან მე-2 სართ. სალ. 5—7 საათ. მაისის 14-მდე.
2638

ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის სახ. ინსტიტუტი
მიხა ცხაკაიას სახელობისა (ლენინის ქ., № 49).
მკურნალობა ამბულატორიული და სტაციონალური

მკურნალობის ფიზიკური მეთოდების ყველა სახეები: ელექტრომკურნალობა, ნახშირ-მჟავას აბაზანები, სინათლით მკურნალობა მექანოთერაპია, რენტგენო-რადიო თერაპია, ინგალიაცია, რენტგენოდიაგნოსტიკა

შინაგან სნეულებათა მკურნალობა (სპეციალურად გულის, ნივთიერებათა გაცვლის, საჭმლის მომნელებელი ორგანოების, რევმატიული და [illegible] და სხვ.) ნერვიული და ქალის სნეულებანი.

კონსულტაცია ქალის სნეულებაზე დღის 12—1 საათამდე. პროფ. ღამბარაშვილი—სამშ. და პარასკ., შინაგან სნეულებებზე—12 საათ. ექ. ი. კონიაშვილი—სამშ. და პარასკ., ნერვიულ ავადმყ. 11—12 ს. ექ. გ. პონდოევი—ყოველდღე.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდე

ავადმყოფთა ჩაწერა დილის 9-დან 11 საათამდე.

საღამოს ავადმყოფთა მიღება 5-დან 8 საათამდე, კვირას გარდა. ავადმყოფთა ჩაწერა 4-დან 7-ნახ. საათამდე, კვირას გარდა.

ნერვიულ ავადმყ.—7—8 საათ. პროფ. ს. ყიფშიძე—ყოველდღე.
შინაგან სნეულ.—5 6 საათ. ექიმი ნ. ყიფშიძე ყოველდღე.
ქალის სნეულ. და სამეანო—5 6 საათ. ექ. სებასტიანსკი—ყოველდღე.
ყური, ყელი, ცხვირი 7—9 საათ. პროფ. ნ. ახპიხოვი—სამშ., ხუთშ. და შაბ. 7—8 საათ. ექიმი დ. თევზაძე ორშ., ოთხშ. და პარასკ.
უროლოგია და ქირურგია 7—8 საათ. დოცენ. ა. წულუკიძე ყოველდღე.
ბავშთა ავადმყ.—5—6 საათ. ექიმი ი. ლორთქიფანიძე—ყოველდღე.

ქირა ავადმყოფთა გასინჯვისათვის პოლიკლინიკაში: პროფკავშირის წევრებისათვის 1 მან., სხვებისათვის—2 მანეთი.

ყოველგვარი კლინიკურ დიაგნოსტიური ანალიზების მიღება. მკურნალობის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში, აგრეთვე წერილობით და ტელეფონით 15—87.

25—5 ნ. 733.

**დაიბეჭდა და გამოვიდა ჟურნალი
„პროლეტარული მწერლობა“ № 4 (აპრილი)**
შინაარსი:
მ. გვასალია—ჩამქრალი კერა (მოთხრობა)
ქ. ბობოხიძე—ახალი კადრები (ლექსი)
გ. კაჭახიძე—საბჭოთა მინდვრები (ლექსი)
პ. ჩხიკვაძე—სართულები (რომანი)
მკრტიჩ არმენ—სიყვარული (მოთხრობა)
შ. დუდუჩავა—ყოფა-ცხოვრების რეკონსტრუქცია და სამხატვრო ტექნიკური განათლება
ბ. ბუაჩიძე—მხატვრული მწერლობის ამოცანები რეკონსტრუქციის პერიოდში (დასასრული)
გ. ნატროშვილი—განვითარების ახალ ეტაპთან.
მემარცხენე ფრონტის დეკლარაცია საქ. პრ. მწერ. ასოც. მე-3 პლენუმზე. მემარცხენე ფრონტის დეკლარაციის გამო. ბიბლიოგრაფია.

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და სალ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილიძის ქ. № 1. აღმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ი. ვ. ხანდამოვი იღებს სპეციალურად სიფილისი ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: 8—11 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოს, ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. საპიორის). 25—1

ქ: ქუთაისი **ო. ვ. აპოფაშვილი** შინაგანი სნეულება—სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7, (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით). 13—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ნინო მირიანაშვილი ექიმი—ვენეროლოგი იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს—ტრიპერი, სიფილისი, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6—8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ქ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. ეზოფაგოსკოპია და ბრონქოსკოპია აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მ ი ღ ე ბ ა: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩის) სოლოლ. ტელ. 25—73. 25—1

**საქართ. ს.მ.უ. საბჭოს ლითონტრესტის
26 კომუნარის სახელობის ქარხანა**
.... აცხადებს, ...
რომ 1 მაისიდან ხდება ა.-კ. რკინის გზის ელექტროფიკაციის ბიუროს საუღელტეხილო უბნის გადამცემი ხაზის საძირკვლების ჩასაყრელად და ანძების დასადგმელად წარმოებულ
სამუშაოთა 1-ლი რაიონის
(ქ. გორში) და მე-2 რაიონის (ქ. ზესტაფონში)
კონტორების ლიკვიდაცია
ყველა იმ პირებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც აქვთ პრეტენზიები აღნიშნული კანტორების მიმართ, წინადადება ეძლევათ წარმოადგინონ არა უგვიანეს ა/წ. 18 მაისისა.
აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება და დაკმაყოფილებული აღარ იქნება.
2—2 ნ. 670 ქარხნის დირექტორი ბერეში.

ჭიათურის შავი-ქვის სააქციო საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია ამით აცხადებს აქციონერთა საყურადღებოთ,
რომ თანახმად სააქციო საზოგადოებათა დებულების კანონთა კრებული 1927 № 49, 78 და 108 მუხლებისა,
**ჭიათურის შავი-ქვის სააქციო საზოგადოების
აქციონერთა საზოგადო კრება**
დანიშნულია ა. წ. 27 მაისს, ქ. თბილისში, აკაკი წერეთლის (ყოფ. განოვის) № 9, დილის 11 საათზე
დღის წესრიგი:
1) სალიკვიდაციო ვადის გაგრძელება და
2) მიმდინარე საკითხები,
თუ დანიშნულ დროზე აქციონერთა საკმაო რიცხვი არ გამოცხადდა, შემდეგი განმეორებითი საზოგადო კრება თანახმად სააქციო საზოგადოებათა დებულების 83 მუხლისა, შესდგება 28 მაისს ამავე ადგილას დღის 12 საათზე.
2628 სალიკვიდაციო კომისია.

11 მაისიდან თანახმად სრ. საქ. ც. ა. კ. დადგენილებისა ქალ. ტფილისში იწარმოებს
**ხმის უფლება ჩამორთმეულ მოქალაქეთა
სიების გადასინჯვა**
კომისიები იმუშავებენ რაიონების მიხედვით:
1) ლენრაიონში—1-ლ სამილიციო უბნის შენობაში. ამ რაიონში შედის 1-ლი და მე-2 სამილიციო უბნების მცხოვრებნი.
2) ქალაქის რაიონში—მე-4 სამილ უბნის შენობაში, ამ რაიონში შედის მე-4 და მე-5 სამილ. უბნების მცხოვრებნი.
3) 26 კომუნარების სახელობის რაიონში—მე-3 სამილ. უბნის შენობაში. ამ რაიონში შედის მე-3 სამილიციო უბნის მცხოვრებნი.
კომისიის შემადგენლობა:
ლენრაიონში—თავმჯდომარე ი. გელაშვილი
წევრები | ორჯონიკიძე. მაისურაძე.
ქალაქის რაიონში—თავმჯდომარე გ. კობიძე.
წევრები | ლ. ანდრიაძე. ს. ხელაშვილი.
26 კომუნარ. რაიონში—თავმჯდომარე შ. კილურაძე.
წევრები | ბახტაძე. პაპახჩიანცი.
კომისია ვალდებულია შეუდგეს მუშაობას 11 მაისიდან და აწარმოოს მუშაობა საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე, ყოველდღე მუშაობის საბოლოო დამთავრებამდე.
ყველა მოქალაქემ, ვისაც არ მიაჩნია მისი ხმის უფლების ჩამორთმევა სწორათ, უნდა მიმართოს აღნიშნულ კომისიას და წარუდგინოს მას სათანადო საბუთები.
ტფ. ოლქის აღმასკ. საორგ. განყ-ბა.

თბილისის მუშკოოპის გამგეობა იუწყება,
რომ ორშაბათს, 12 მაისს, ნაშუადღევს 3 საათზე მოხდება
მუშკოოპის პურის საცხობი ქარხნის გახსნა
(ფეიერვექტის და ორჯონიკიძის ქუჩების კუთხეში). ქარხნის გახსნას უნდა დაესწრონ მუშკოოპის რწმუნებულები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მუშკოოპის კოოპერატიული აქტივი.
ნ. 724 გამგეობა.

კვირას, 11 მაისს, საღამოს 5 საათზე, დიდუბის პანთეონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
პროფ. სპირიდონ სიმონის-ძე
ცირსალაძის
ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის დაობლებული ოჯახობა. 2604 2—2

დამწუხრებულნი: მეუღლე ფოფო, შვილები რუსუდანი, თამარი, ბარბალე და გიორგი, რძალი ანა, სიძეები მიშა ელიავა, იოსებ მელიქიშვილი და ნიკოლოზ კაკაბაძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 11 მაისს, საღამოს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი
სიმონ დავითის-ძე ლალიძის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 2626

დამწუხრებულნი: მეუღლე დუსა, შვილები, სერგო მეუღლით სონათი, ელისბარი, საშა, ანიჩკა და მარგალიტა მღებრიშვილები. აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 15 მაისს, 3 საათ. ქ. ხაშურში, მორათის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ
გიორგი მღებრიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად. 2627

დამწუხრებულნი შვილები: კონსტანტინე, მიხეილ, დავით, გრიგოლ, დიმიტრი სიმონის ძენი გუნცაძეები, ანნა გოცირიძისა და ეკატერინე გიორგობიანისა, ძმა ნიკოლოზ ალავიძე, დები: ანასტასია და ელისაბედ ალავიძე ასულნი, რძლები: ნინო, დარიკო და ცაცია გუნცაძისა, სიძეები: ნოე გამრეკელიძე, პორფილე გოცირიძე, ვლასი გიორგობიანი, რძალი ვალერია გუნცაძისა შვილებით და ყველა შვილიშვილები იუწყებიან მათი ძვირფასი
მარიამ დიმიტრის ასული გუნცაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 13 მაისს, ს. კვალთში.
ნ. 721

ლიუბა და აპალონ სვანიძეები შვილებით: ძუკუ, ვერა, არჩილ და ზურაბ, ნინა და შალვა რატიანები შვილებით: აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დედა და ბებია
ალათი ნიკოლოზის ას. მოსეშვილისა
დაკრძალვა სოფ. გუბში, კვირას, 11 მაისს. 2629

სოფიო და ვალერიან ჯაფარიძეები რუსიკოთი, ივანე და ვერა გოცირიძეები შვილებით, ანიკო და ალიოშა კოტრიკაძეები ცოლშვილით, ციმა გვარამია და კოხტა ბუკია იუწყებიან მათი საყვარელი ბებიას
ალათი ნიკოლოზის ას. მოსეშვილის
გარდაცვალებას. 2629

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩათვალოს გაუქმებულათ.

— კავშირის წიგნ. № 11812—ალექსი სვანიძის სახელზე.	2639
— მეტრიკ. ამონაწ.—სარა დავლოსტის ასული იაშვილის სახელზე.	2631
— ცეცხლფარეშობის დროებითი მოწმ. № 410—ზაქარია ვალერიანიძე მაღრაძის სახელზე.	2632
— მატრიკ. ტფ. სახ. უნ. გაცემ. № 1923 და მოწმობა პირად. № 1923—მარიამ ნოეს ასულ ურუშაძის სახელზე.	2626
— ქ. ფოთის კოოპერატივის წიგნაკი № 1269—ემილიან კოპეიშვილის სახელზე.	2625
— სამხ. აღრ. მოწმ.—გიორგი მიხეილის-ძე ჯიბაურის სახელზე.	2616
— 9 წლედის დამთავრ. მოწმ. № 858 გაცემ. ქუთაისის მე-2—9 წლედის მიერ—ნინო შათირიშვილის სახელზე.	2617
— სამხ. სააღრ. წიგნ. გაცემ. 1927 წელს 1-ლ უბნის კომისარიატიდან—ვასილი მაქსიმეს-ძე კახიძის სახელზე.	2622
— საბჭოების კავშ. საწევრო წიგნ. № 1168—ნიკოლოზ ასალოს-ძე კუპრაძის სახელზე.	2624
— პირად. მოწმ. № 38/25 და რკ. გზის ბილეთი № 0002098—გიორგი ალექსის-ძე შაქარაშვილის სახელზე.	2633
— საშუალო დამთ. მოწმ. № 327 და მეტრიკ. ამონაწ.—ბიძინა ბერიძის სახელზე.	2599
— რკ. გზ. პროფკავშ. წიგნ.—გრიგოლ შალიკაშვილის სახელზე.	2601
— დროებითი მოწმ. რკ. გზ. ტექნ. დამთავრ. შესახებ—ბორის პლესენინის სახელზე.	2600
— პურის წიგნ.—კალისტრატე შარაშენიძის სახელზე.	2602
— პურის წიგნ.—აკაკი ჟღენტის სახელზე.	2607
— პურის წიგნ.—ქეთო ასლამაზოვის სახელზე.	2605
— პურის წიგნ.—გრამიტონ მოწონელიძის სახელზე.	2606
— კომპარტ. ბილ. № 0850619, სახელმწიფო უნივერ. მოწმ. № 2468 და სამხ. აღრ. მოწმ. № 234—გრიგოლ კონსტანტინეს-ძე კვანტალიანის სახელზე.	2609
— პარტმანდატი № 0871767—რომანოზ გოგიბერიძის სახელზე.	2610
— პირად. მოწმ., მეტრიკ. ამონაწ. და სიღარიბის მოწმობა—ვალიკო თედორაძის სახელზე.	2611
— დამხ. სალ. წიგნ. № 2213—კოლა დარაშვილის სახელზე.	2614

საქ. კომპარტ. (ბ) თბილ. ორგან. ქალაქის რაიკომი ამით აცნობებს პარტორგანიზაციის წევრებს, რომ ა/წ. 9 მაისს ტრაღიკულათ დაიღუპა ძველი ბოლშევიკი 1903 წლიდან
მარო გოქორიძე (ჩიტოშვილი)
დასაფლავების და გამოსვენების დრო და დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 726

საქართველოს ფინსახკომის კომუჯრედის ბიურო მწუხარებით აცნობებს ამხანაგებს, რომ 9 მაისს ტრაღიკულად დაიღუპა ჩვენი უჯრედის აქტიური წევრი, ძველი ბოლშევიკი
**მარო ზაქარიას ასული
გოქორიძე (ჩიტოშვილი)**
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2636

საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურო მწუხარებით აცნობებს ამხანაგებს, რომ 9 მაისს ტრაღიკულათ დაიღუპა ძველი ბოლშევიკი 1903 წლიდან
ამხ. მარო გოქორიძე (ჩიტოშვილი)
გამოსვენება საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზიდან სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა ყოფ. ხუდადოვის ძმათა სასაფლაოზე. სამოქ. პანაშვიდი, ყოველ დღე საღ. 7 საათ. ნ. 722

თბ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის ელექტრო-ტექნიკური განყოფილების მე-4 კურსის მსმენელნი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგის, ამავე კურსის მსმენელის
სანდრო დავითის-ძე შენგელიას
უდროოდ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. 2635

თბ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის აღმასბიურო და მელითონეთა კავშირის პროფკომი აუწყებენ საზოგადოებას მელითონეთა კავშირის წევრის, ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის მსმენელის
ალექსანდრე დავითის-ძე შენგელიას
გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. 2634

თბ. ინდუსტრიალური ტექნიკუმის პედაგოგიური საბჭო აუწყებს საზოგადოებას ამავე ტექნიკუმის ელექტრო ტექნიკური განყოფილების უკანასკნელი კურსის მსმენელის
ალექსანდრე დავითის-ძე შენგელიას
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 13 მაისს. 2633

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა
მიშა (გიორგი) ქრისტეფორეს ძე ხუციშვილი
რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მწუხარებაში მყოფნი: მამა, ცოლი, შვილები, რძალი, სიძე და შვილიშვილები. გამოსვენება ბინიდან (აკ. წერეთლის ქ. № 8) დღეს, 11 მაისს 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2618

ძმა კოსტანტინე, ნიკოლოზი მეუღლე მარგალიტათი, ძმისწული ნელი ქმრით შალვა ეკვლეშვილით, ბიძაშვილი ელისაბედ კალანდაძისა და გაზრდილი რუსუდან ლაცაბიძე იუწყებიან ძვირფასი
ნადეჟდა ისაკის ას. გიორგობიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება მელიქიშვილის ქ. № 43, დღეს, კვირას ა. წ. 11 მაისს 5 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2608

საშა, სიკო და აკაკი ჩიგოგიძეები აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას
ნადია ისაკის ასული გიორგობიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (წყნეთის ქ. № 43) დღეს, 11 მაისს, ნაშუადღევის 5 საათზე. (ს)

ლიდა ნარუაშვილისა, ნინო ბილანიშვილისა, ნინო ბაგრატიონისა, შალვა და ნინო შავგულიძეები თავიანთ შვილით მედეათი, ლადო და ქეთო ფანიაშვილები ბაბულია კუპაიძე და ციციკო პატარაიასი იუწყებიან უახლოესი მეგობრის
ნადეჟდა ისაკის ასული გიორგობიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება წყნეთის ქუჩიდან № 43 ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს, 5 საათზე. (ს)

გაუბედურებული დედა კრისტინე, მამა ანდრია, დები [illegible] და ოლღა, ძმა ალექსანდრე (სანდრო), რძალი ხუცა ლოსაბერიძეები და სიძე სანდრო მატარაძე აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარ
ნინა ანდრიას ასულ ლოსაბერიძის
უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, მოსკოვის ქ. № 5 (გუბინის № 2). დაკრძალვა სამშაბათს, 13 მაისს—5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 2637

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მშობლები ნოე და ლიზა დოლიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 4 მაისს ამაღლებში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ერთად ერთი შვილი
გრიშა დოლიძე
დასაფლავება 13 მაისს, სოფ. ამაღლებაში (გურია). ნ. 727

ტირაჟი—55.896
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 904